



სოციალური მომსახურების სააგენტო

SOCIAL SERVICE AGENCY

წლიური ანგარიში

2017

სარჩევი

1. დირექტორის აპარატი (დეპარტამენტი)	3
2. კონტროლის დეპარტამენტი	8
3. იურიდიული დეპარტამენტი	12
4. სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტი	16
5. სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი	18
6. მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტი	25
7. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი	38
8. ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი	44
9. ეკონომიკური დეპარტამენტი	52
10. ადმინისტრაციული დეპარტამენტი	58
11. ლოჯისტიკის დეპარტამენტი	65
12. დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი	68
13. ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი	74
14. დანართები	87

1. დირექტორის აპარატი (დეპარტამენტი)

- ❖ დირექტორის აპარატი, სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, ახორციელებდა სააგენტოს დირექტორის საინფორმაციო მომსახურებას და ორგანიზაციულ-ტექნიკურ დახმარებას, კოორდინაციას უწევდა თანამშრომლობას სახელმწიფო დაწესებულებებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, აქტიურად თანამშრომლობდა მასმედიის საშუალებებთან, მუშაობდა საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ასამაღლებლად, შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით, უწევდა საინფორმაციო დახმარებას და კონსულტირებას მოქალაქეებს, სააგენტოს მიერ ადმინისტრირებულ სერვისებთან დაკავშირებით.

თანამშრომლობა საერთაშორისო, დონორ ორგანიზაციებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან

- ❖ დირექტორის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში ევროკავშირის დელეგაციასთან 2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირის შორის გაფორმებული „დასაქმების, პროფესიული განათლებისა და ტრენინგების“ საბიუჯეტო დახმარების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების საკითხებზე. 2017 წლის მარტის ბოლოს და აპრილის პირველ ნახევარში დირექტორის აპარატმა უმასპინძლა ევროკავშირის რევიზიის რიგით მეოთხე მისიას, რომლის მიზანი იყო ზემოაღნიშნული ხელშეკრულების ვალდებულებების შესრულების შეფასება. ამ მისიის ფარგლებში, მოხერხდა წინა მისიის მიერ სააგენტოს ვალდებულებების შესრულების შეფასებაში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრა. რევიზიის მისიამ და ევროკავშირმა გაითვალისწინა სააგენტოს შენიშვნები და ხელშეკრულებით 2015-2016 წლებში ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ჩაუთვალა.
- ❖ დირექტორის აპარატი 2017 წლის მე-3 და მე-4 კვარტალში აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენლებთან მუშაობაში ევროკავშირისა და საქართველოს მთავრობას შორის 2019–2022 წლებისთვის გასაფორმებელი საბიუჯეტო დახმარების პროგრამის მომზადებაში, რომელიც მომდევნო 4 წლის განმავლობაში მიმართული იქნება სააგენტოში დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შემდგომ განვითარებაზე. საანგარიშო წლის დასასრულისთვის მომზადდა საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ხელშეკრულებისათვის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2019– 2022 წწ. დასაქმების ხელშეწყობის სერვისების განვითარების მიმართულებით შესასრულებელი სამუშაოს ინდიკატორების და ე.წ. ინდიკატორების „პასპორტის“ (აღწერილობის) სამუშაო ვარიანტი.
- ❖ დირექტორის აპარატი ჩართული იყო ევროკავშირის საჯარო დაწესებულებების დამმობილების პროექტის (ე.წ. Twinning-ის პროექტი) – „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების შესაძლებლობების განვითარება საქართველოში“ განხორციელებაში. საანგარიშო პერიოდში პროექტი წარმატებით დაიხურა. განხორციელდა პროექტის ფარგლებში შემუშავებული

დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა ახალი მოდელის პილოტირების შედეგების ანალიზი, ჩატარდა მე-6, დასკვნითი, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომა, შემუშავდა რეკომენდაციები დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა შემდგომი განვითარებისათვის, ჩატარდა პროექტის დახურვის ღონისძიება, სადაც განმახორციელებელმა გუნდმა წარმოადგინა წელიწადნახევრიანი მუშაობის საბოლოო ანგარიში. ღონისძიებას 100-ზე მეტი სტუმარი დაესწრო, მათ შორის, სამთავრობო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციების, დამსაქმებლების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები. პროექტის დასკვნითი კონფერენცია ფართოდ გაშუქდა მედიასაშუალებებით.

- ❖ 2017 წელს აქტიურად წარიმართა თანამშრომლობა საპენსიო და სოციალური ფონდების საერთაშორისო ასოციაციასთან, სოციალური დაცვის სფეროში ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით. წლის განმავლობაში მომზადდა კვარტალური სტატისტიკური და საინფორმაციო მასალა სააგენტოს შესახებ, ასოციაციის ვებ-გვერდისა და ბეჭდური გამოცემებისთვის. 2017 წლის 11 და 12 მაისს სოციალური მომსახურების სააგენტომ, საპენსიო და სოციალური ფონდების საერთაშორისო ასოციაციასთან ერთად, ქ. ბათუმში უმასპინძლა 2 დღიან ფართომასშტაბიან საერთაშორისო კონფერენციას თემაზე: „საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის სისტემების განვითარების პერსპექტივა საქართველოსა და ევრაზიის ქვეყნებში“. ღონისძიება გაიმართა სასტუმრო „ინტურისტ პალასში“. მასში მონაწილეობა მიიღო კავკასიის, ცენტრალური აზიის და აღმოსავლეთ ევროპის 16 ქვეყნის, 24 სახელმწიფო უწყების 60-ზე მეტმა მაღალი რანგის სტუმარმა. კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს საკუთარი ქვეყნებისა და დაწესებულებების გამოცდილება საპენსიო და სოციალური უზრუნველყოფის სფეროში. დირექტორის აპარატმა 2017 წელს უზრუნველყო სააგენტოს ხელმძღვანელი პირების მონაწილეობა, საპენსიო და სოციალური ფონდების საერთაშორისო ასოციაციის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციაში, რომელიც გაიმართა 20-21 სექტემბერს, ქ. ასტანაში, ყაზახეთის რესპუბლიკაში. კონფერენციებზე სააგენტოს ხელმძღვანელებმა სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მეზობელი ქვეყნების სახელმწიფო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გააცნეს საქართველოში მიმდინარე რეფორმები და არსებული გამოწვევები.

- ❖ 2016 წლის 13 ნოემბერს სოციალური მომსახურების სააგენტო სოციალური დაცვის საერთაშორისო ასოციაციის წევრი გახდა. სააგენტოს საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრიანების საკითხს სააგენტოს დირექტორის აპარატი კურირებდა. სოციალური დაცვის საერთაშორისო ასოციაცია (ISSA) სოციალური უზრუნველყოფის სფეროში მთავარი საერთაშორისო ინსტიტუტია. იგი 1927 წელს დაფუძნდა და ამჟამად, 156 ქვეყნის 322 სოციალური დაცვის სააგენტოსა და ორგანიზაციას აერთიანებს. ასოციაცია წევრებისათვის უზრუნველყოფს ინფორმაციის, ექსპერტული ცოდნის, ბიზნეს სტანდარტების, პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და პლატფორმის ხელმისაწვდომობას. ორგანიზაციის მიზანია, დინამიური და მდგრადი სოციალური დაცვის სისტემების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მთელ მსოფლიოში. სოციალური დაცვის საერთაშორისო ასოციაციის წევრობა სოციალური მომსახურების სააგენტოს საშუალებას მისცემს, შეუზღუდავად გამოიყენოს ამ საერთაშორისო ინსტიტუტის ექსპერტების ცოდნა და გამოცდილება, მიიღოს კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, გაეცნოს და დანერგოს ინოვაციები სოციალური დაცვის

ადმინისტრირების სფეროში. თანამშრომლობა ორ ორგანიზაციას შორის საკმაოდ აქტიურად წარმართა. სააგენტოს დირექტორი არჩეულ იქნა ასოციაციის ჯანმრთელობის დაცვის ტექნიკური კომისიის ვიცე-პრეზიდენტად, რომელიც 2017-2019 წლების განმავლობაში, ჯანმრთელობის დაცვისა და დაზღვევის მიმართულებით იმუშავეს. პირველი სამუშაო შეხვედრა ტექნიკურმა კომისიამ 2017 წლის 2-3 მარტს გამართა ქალაქ ჟენევაში. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი, ზაზა სოფრომაძე. 2 დღიანი მუშაობის შედეგად, ტექნიკურმა კომისიამ შეიმუშავა ISSA-ს ჯანმრთელობის დაცვისა და დაზღვევის ადმინისტრირების გაიდლაინის პირველი სამუშაო ვარიანტი.

- ❖ ასოციაციის გენერალური მდივნის თხოვნით, გადაწყდა სოციალური მომსახურების სააგენტოს ორგანიზებით, კომუნიკაციის საკითხებზე, 2017 წლის მეორე კვარტალში, საქართველოში საერთაშორისო სემინარის ჩატარება. ღონისძიების ორგანიზება დირექტორის აპარატმა უზრუნველყო. სემინარი 2017 წლის 11-13 აპრილს, ქ. თბილისში, სასტუმრო „ციტრუსში“ ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო ასოციაციის 7 წევრი დაწესებულების 14-მა წარმომადგენელმა 6 ქვეყნიდან (აზერბაიჯანი, მოლდოვა, ლატვია, რუსეთი, ბულგარეთი და საქართველო). სემინარის მიზანი იყო ISSA-ს მიერ სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტებისთვის შექმნილი კომუნიკაციის სახელმძღვანელოს გაცნობა, სახელმძღვანელოში წარმოდგენილი საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მოწყობის მოდელების, მუშაობის პრინციპების, მეთოდოლოგიის, ინსტრუმენტების შესახებ მსჯელობა და გამოცდილების გაზიარება. სასწავლო სესიას უძღვებოდნენ ISSA-ის კომუნიკაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ალექსანდრე ბელოპოვსკი და ამ ორგანიზაციის აკადემიის კომუნიკაციის ექსპერტი - სოსო გალუმაშვილი. შეხვედრებზე განხილული იყო კომუნიკაციის ახალი სისტემების დანერგვის, მართვის და განხორციელების, ასევე არსებული სისტემების მოტივაციის და განახლების გზები. მონაწილეების მიერ შემუშავებული და პრეზენტაციის სახით წარმოდგენილი იქნა კომუნიკაციის გეგმები და პრობლემატური საკითხები, რომლებიც განიხილებოდა დისკუსიის ფორმატში.
- ❖ სააგენტოს დირექტორის აპარატმა უზრუნველყო სოციალური მომსახურების სააგენტოს 4 წარმომადგენლის მონაწილეობა სასწავლო ვიზიტში - „სამედიცინო და ჯანმრთელობის დაცვის ადმინისტრირება“, რომელიც გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, 2017 წლის 4-23 აგვისტოს. სასწავლო ვიზიტისას მონაწილეები გაეცნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სისტემასა და მისი ადმინისტრირების პროცესებს. თეორიული სწავლების გარდა, ჩატარდა შეხვედრები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებათა მიმწოდებლებისა და სახელმწიფოს პასუხისმგებელი უწყებების ხელმძღვანელ პირებთან.
- ❖ 2017 წლის 24-28 ივლისს, მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ბარსელონას ოფისის ეგიდით, ყირგიზეთის რესპუბლიკაში ჩატარდა საზაფხულო სკოლის კურსი თემაზე: „ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა“. საზაფხულო სკოლაში მონაწილეობა მიიღო სოციალური მომსახურების სააგენტოს ორმა წარმომადგენელმა.
- ❖ 2017 წლის მე-3 კვარტალში დირექტორის აპარატმა სლოვაკეთის რესპუბლიკის რეგიონული განვითარების სააგენტოსთან პარტნიორობით და Slovakiaid-ის ფინანსური მხარდაჭერით, დაგეგმა სასწავლო ვიზიტი სლოვაკეთის რესპუბლიკაში თემაზე: „საპენსიო სისტემის

რეფორმის საკანონმდებლო და პრაქტიკული გამოცდილება“. სასწავლო ვიზიტში მონაწილეობა უნდა მიეღო სოციალური მომსახურების სააგენტოს სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტის წარმომადგენლებს, თუმცა, Slovakiaid-ის თხოვნით, სასწავლო ვიზიტის განხორციელება გადაიდო 2018 წლის მარტისთვის.

- ❖ სოციალური მომსახურების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა უცხო ქვეყნების სოციალური დაცვის სახელმწიფო უწყებებთან საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. კერძოდ, 2017 წელს, სააგენტომ, ბავშვთა კეთილდღეობის რეფორმის, მიზნობრივი სოციალური დახმარებების ადმინისტრირების, ასევე, სახელმწიფო გასაცემლების ადმინისტრირების თაობაზე საქართველოს გამოცდილების გაზიარების მიზნით, უმასპინძლა სლოვაკეთის, უკრაინისა და სომხეთის რესპუბლიკების დელეგაციებს, რომლებიც წარმოდგენდნენ სოციალურ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ უწყებებს საკუთარ ქვეყნებში. მათთან შეხვედრაზე ქართულმა მხარემ სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებულ წარმატებულ რეფორმებსა და პროგრამებზე ისაუბრა.
- ❖ სააგენტოს დირექტორის აპარატმა, სლოვაკეთის რეგიონალური განვითარების სააგენტოსა და სლოვაკეთი-საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატასთან ერთად, მოამზადა პროექტი „ახალგაზრდების დასასაქმებლად“, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს დაუსაქმებელ ახალგაზრდებს, წამოიწყონ და განავითარონ კერძო ბიზნესი ტურიზმის, ბიო-პროდუქციის წარმოებისა და ტრადიციული ხელოსნობის სფეროებში. პროექტმა წარმატებით გაიარა კონკურსი და იგი სლოვაკეთის განვითარების სააგენტომ (SovakAid) დააფინანსა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, აქტივობები 2017 წლის დეკემბერს დაიწყო და მომდევნო 18 თვის მანძილზე გაგრძელდება. იგი საქართველოს 4 რეგიონში: კახეთში, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, იმერეთსა და გურიაში განხორციელდება, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით. პროექტის ბენეფიციარები 35 წლამდე ასაკის ახალგაზრდები იქნებიან.
- ❖ „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის (№6391-III) და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის 2013 წლის 4 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების“ შესაბამისად, სოციალური მომსახურების სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა სსიპ - მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახურთან, სააგენტოში ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვის მიმართულებით. საანგარიშო წელს სოციალური მომსახურების სააგენტოში ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანია, არსებული ინფორმაციული უსაფრთხოების მინიმალური მოთხოვნების შესაბამისად, სავალდებულო დოკუმენტაციის მომზადება. 2017 წელს სამუშაო ჯგუფმა შეადგინა ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი, ინფორმაციული უსაფრთხოების გავრცელების სფეროს დოკუმენტი და იმუშავა სააგენტოს ინფორმაციული აქტივების სიის შედგენაზე. აღნიშნული მიმართულებით, სამუშაოები 2018 წელსაც გაგრძელდება.
- ❖ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის აპარატი აქტიურად თანამშრომლობდა სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან (UNDP-ს პროგრამის - „საქართველოში საჯარო მმართველობის მხარდაჭერა“ ფარგლებში). საანგარიშო წლის განმავლობაში წარიმართა ერთობლივი მუშაობა საჯარო მმართველობის რეფორმის გზამკვლევის შესაქმნელად. ჩატარდა კვლევა სახელმწიფო სერვისების შექმნისა და მიწოდების საკითხებზე. ამ კვლევის საფუძველზე, შეიქმნა სახელმწიფო სერვისების მიწოდების შეფასების დოკუმენტი.

- ❖ დირექტორის აპარატის მასშტაბთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო აქტიურად თანამშრომლობდა მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან, სააგენტოს საქმიანობის შესახებ მათი მხრიდან მოთხოვნილი ინფორმაციის ოპერატიულად და სრულყოფილად მისაწოდებლად. საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის ხელშეწყობით, მომზადდა 132 სტატია ბეჭდური მედიისა და ინტერნეტ-გამოცემებისთვის, 197 სატელევიზიო სიუჟეტი, 22 ჩართვა სხვადასხვა ფორმატის სატელევიზიო გადაცემაში. სააგენტოს საქმიანობის შესახებ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები სტუმრად იმყოფებოდნენ 43 სატელევიზიო და 33 რადიოგადაცემაში. ზეპირი და წერილობითი ინფორმაცია მიეწოდა 15 მედიასაშუალებას, სატელევიზიო პროდუქტისათვის. პროაქტიულად სააგენტოს მიერ მიწოდებული ინფორმაცია 7 სხვადასხვა თემაზე გამოქვეყნდა 49 ელექტრონულ პლატფორმაზე.
- ❖ სამმართველოს ორგანიზებითა და თანამონაწილეობით, წლის განმავლობაში, გაიმართა რამდენიმე ღონისძიება. მათ შორის: – 1 ივნისს, მარნეულში, მოეწყო სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების და სამინისტროს სოციალური პოლიტიკის დეპარტამენტების შეხვედრა გამგეობაში. შეხვედრაზე გამგებელსა და თანამშრომლებს მიეწოდათ ინფორმაცია ბავშვზე ზრუნვისა და სოციალურად დაუცველთა უზრუნველყოფის მიმართულებით არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე. იგივე თემებზე შეხვედრა შედგა მარნეულის შშმ პირთა დღის ცენტრში. ასევე, მარნეულის ცენტრში დარიგდა სააგენტოს სერვისების შესახებ არსებული ბეჭდური მასალები (სხვადასხვა ენებზე).
- ❖ მასშტაბთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო აქტიურად იყო ჩართული ახალგაზრდული დასაქმების ფესტივალის ორგანიზებასა და საინფორმაციო უზრუნველყოფაში. საანონსო პრესკონფერენცია სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა, ზაზა სოფრომაძემ გამართა, რომელიც 5-მა სატელევიზიო არხმა და 4-მა ელექტრონულმა მედიასაშუალებამ გააშუქა.
- ❖ ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის დასაწყებად, მომზადდა და დაიბეჭდა ბუკლეტები და პოსტერები, რომლებიც დაურიგდა მოსახლეობას, სააგენტოს ფილიალებს და სამედიცინო დაწესებულებებს. პროგრამის საინფორმაციო უზრუნველყოფისთვის, გაიმართა რამდენიმე შეხვედრა და განხორციელდა მედიააქტივობა.
- ❖ 2017 წლის ბოლოს, გაიმართა დასაქმების ყოველწლიური ფორუმი. მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა სახის მედიააქტივობა, ასევე ფართოდ გაშუქდა თვითდასაქმების ფორუმი.
- ❖ სააგენტოს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად გავრცელებისთვის, დირექტორის აპარატი მუდმივად ანახლებს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (ssa.gov.ge) განთავსებულ მასალას. 2017 წელს, ყოველთვიურად, სრულად ახლდებოდა სტატისტიკური მონაცემები სოციალური მომსახურების სააგენტოს ბენეფიციარებისა და ბენეფიციარების შესახებ. განთავსდა სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული 118 ნორმატიული აქტი და 25 სიახლე. მუდმივად ხორციელდებოდა სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების შესახებ ინფორმაციის განახლება. 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდს, რეგისტრაციიდან დღემდე, 1 791 924 უნიკალური მომხმარებელი ჰყავს (პოპულარული ქართული საიტების რეიტინგი Top.ge-ს

მონაცემები), აქედან, 94.3%-ი დაბრუნებული მომხმარებელია. სახელმწიფო ვებ-გვერდებს შორის, სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი, 2017 წლის ბოლოს, რეიტინგში მე-11 ადგილზე იმყოფება.

- ❖ დირექტორის აპარატი, ინფორმაციის გასავრცელებლად, ასევე აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს - Facebook. 2017 წლის იანვრიდან დეკემბრის ჩათვლით, სოციალური ქსელის მეშვეობით, 137 განცხადება გავრცელდა. 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სოციალური მომსახურების სააგენტოს გვერდს 14 388 მიმდევარი ჰყავს. ყოველდღიურად ხორციელდება Facebook Messenger-ის მეშვეობით, მოქალაქეთა კითხვებზე პასუხის გაცემა, გვერდის ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, მოქალაქეები კითხვაზე პასუხს საშუალოდ 1 საათის განმავლობაში იღებენ. გვერდის ჯამური რეიტინგი კი 3.4-ს შეადგენს.
- ❖ დირექტორის აპარატის საზოგადოებრივი მისაღები 2017 წლის 3 იანვრიდან 30 დეკემბრამდე 80 000-ზე მეტ მოქალაქეს მოემსახურა. საზოგადოებრივ მისაღებს ძირითადად სტუმრობდნენ კონსულტაციის მისაღებად, სოციალური დახმარების, საყოველთაო ჯანდაცვის და ჯანმრთელობის დაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურებების თაობაზე, ასევე, სახელმწიფო პენსიების, კომპენსაციების და მეურვეობა-მზრუნველობის საკითხებთან დაკავშირებით. მისაღები ასევე ახორციელებდა დაინტერესებული ფიზიკური პირებისათვის სააგენტოში დაცული ინფორმაციის დოკუმენტების სახით გაცემას. საანგარიშო პერიოდში, სააგენტოში დაცული მონაცემების საფუძველზე, გაიცა 20 000-ზე მეტი დოკუმენტი ფიზიკურ პირებზე. საზოგადოებრივი მისაღები კოორდინაციას უწევდა სააგენტოს ვიზიტორებისათვის საშვის დაშვების რეჟიმს. ამ მომსახურებით, 2017 წლის განმავლობაში, 16 664 პირმა ისარგებლა. ჯამში, საზოგადოებრივმა მისაღებმა სხვადასხვა ორგანიზაციისგან 7 577 კორესპონდენცია მიიღო.

2. კონტროლის დეპარტამენტი

- ❖ სააგენტოს კონტროლის დეპარტამენტის მიერ, 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე პერიოდში, ჩატარებული იქნა შემდეგი სამუშაოები:

შემოწმდა:

- **23 450**– სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა პირადი და საპენსიო საქმე;
- **4392**– ორსულობა–მშობიარობისა და ბავშვის მოვლის განაცხადი;
- **2626**– "ბავშვზე ზრუნვის" და სხვა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მონაწილეთა პირადი საქმე;
- **11524** – ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) მიმღებ ბენეფიციართა პირადი საქმე;
- **2009** – ოჯახის სოციალურ–ეკონომიკური მდგომარეობა;

- **9164** - სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე განხორციელებული კორექტირება;
- **3203** - ოჯახში განხორციელებული ვიზიტის საფუძველი.

შეივსო:

- **173** - ფორმა N3
ვიზიტი განხორციელდა:
- **97** - "ბავშვზე ზრუნვის" და სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში.
განხილულ იქნა
- კონტროლის დეპარტამენტში შემოსული სხვადასხვა ორგანიზაციებისა და მოქალაქეების დოკუმენტაცია (განცხადება, საჩივარი, წერილი), სულ - 764 ერთეული
გამოვლინდა:
- ზედმეტად (არასწორად) ჩარიცხულია – **140 456,08 ლარი**;
- ნაკლები ოდენობით ჩარიცხულია – **210 ლარი**;
- ლეგალიზებას დაექვემდებარა - **78 923,68 ლარი**.
- ბიუჯეტში აღდგენილია - **56 178 ლარი**;
- სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენას ექვემდებარება - **5 354,4 ლარი**;
- ჯანმრთელობის დაცვის და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიმწოდებლის მიმართ გამოყენებული საჯარიმო სანქციების ჯამურმა ოდენობამ შეადგენა - **14 086 353,44 ლ.**, მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებას დაექვემდებარება უკვე ანაზღაურებული - **6 065 418.62 ლარი** და დამატებითი ფინანსური ჯარიმა - **8 020 934.82 ლარი** სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენილ იქნა - **4 874 263.62 ლარი**.
- ❖ საქართველოს მასშტაბით რეგისტრირებულ 152 მიმწოდებელთან ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, გეგმიური შემოწმებები, რის შედეგადაც, სახელმწიფო ბიუჯეტში აღსადგენმა თანხამ შეადგინა - **14 065 458.05 ლარი**, აქედან, უკვე ანაზღაურებული - **6 065 418.62 ლარი** და დამატებითი ფინანსური ჯარიმა - **8 000 039.43 ლარი**. სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენილ იქნა - **4 874 263.62 ლარი**.
- ❖ შემოსული ინფორმაციის და მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, ჯანმრთელობის დაცვის და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების 8 მიმწოდებლის მიერ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის გამო, დარიცხულმა საჯარიმო სანქციამ შეადგინა - **20895.39 ლარი**.
- ❖ სააგენტოს 2017 წლის 9 იანვრის №04-12/ო ბრძანებით დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის თანახმად, შესწავლილ იქნა სააგენტოს გურიის (01.11.2013 წლიდან 01.07.2017 წლამდე) სამცხე-ჯავახეთის (01.08.2014 წლიდან 01.10.2017 წლამდე) და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის (01.11.2013 წლიდან 01.09.2017 წლამდე) სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრებისა და მათში შემავალი ტერიტორიული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობა. ასევე დასრულდა სააგენტოს 2016 წლის 16 დეკემბრის №04-621/ო ბრძანების საფუძველზე, სააგენტოს

სამეგრელო-ზემო სვანეთის (01.01.2010 წლიდან 01.12.2016 წლამდე) სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრსა და მასში შემავალი ტერიტორიული ერთეულების მიერ გაწეული საქმიანობის შესწავლა.

კერძოდ:

- ❖ **სააგენტოს გურიის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი** - შემოწმდა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა - **5468** პირადი საქმე, ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) მიმღები ოჯახების - **1933** პირადი საქმე, "ბავშვზე ზრუნვის" და სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში - **528** პირადი საქმე, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ასანაზღაურებლად წარმოდგენილი **494** განაცხადი, **708** ოჯახში განხორციელებული ვიზიტის საფუძველი, სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე განხორციელებული კორექტირება - **1824**. გადამოწმდა **126** ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და "ოჯახის დეკლარაციებში" განთავსებული ფ/№100-ის კანონიერება - **1599** შემთხვევა, სააგენტოს გურიის სამხარეო ცენტრსა და მასში შემავალ ტერიტორიულ ერთეულებში დასაქმებულ **23** უფლებამოსილ პირზე (უფროსი სოციალური და სოციალური აგენტი), შრომის ანაზღაურების გაცემის საფუძვლიანობის შემოწმება (პერიოდი - 2013 წლის სექტემბრიდან 2017 წლის ივნისამდე). განხორციელდა ვიზიტი **3** მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში, მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამის ფარგლებში მონაწილე ბენეფიციარების - **38** ოჯახში. შემოწმების შედეგად, გამოვლინდა **40825.68** ლარის ზედმეტად ჩარიცხვის ფაქტები, საიდანაც, ლეგალიზაციას დაექვემდებარა **35695.68** ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენას ექვემდებარება - **5130** ლარი.
- ❖ **სააგენტოს რაჭა - ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი** - შემოწმდა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა **2994** პირადი საქმე, ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) მიმღები ოჯახების - **2190** პირადი საქმე, "ბავშვზე ზრუნვის" და სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში - **442** პირადი საქმე, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ასანაზღაურებლად წარმოდგენილი **313** განაცხადი, **865** ოჯახში განხორციელებული ვიზიტის საფუძველი, სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე განხორციელებული კორექტირება - **2443**. გადამოწმდა **91** ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და "ოჯახის დეკლარაციებში" განთავსებული ფ/№100-ის კანონიერება - **1205** შემთხვევა, სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სამხარეო ცენტრსა და მასში შემავალ ტერიტორიულ ერთეულებში დასაქმებულ **27** უფლებამოსილ პირზე (უფროსი სოციალური და სოციალური აგენტი), შრომის ანაზღაურების გაცემის საფუძვლიანობის შემოწმება (პერიოდი - 2013 წლის სექტემბრიდან 2017 წლის სექტემბრამდე). განხორციელდა ვიზიტი ამბროლაურში მდებარე მცირე საოჯახო ტიპის სახლში. მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამის ფარგლებში განთავსებული ბენეფიციარების **3** ოჯახში. შემოწმების შედეგად გამოვლინდა **13659.4** ლარის ზედმეტად ჩარიცხვის ფაქტები, საიდანაც, ლეგალიზაციას დაექვემდებარა **13633**

- ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენას ექვემდებარება - **26.4** ლარი. ნაკლები ოდენობით ჩარიცხულია - **210** ლარი.
- ❖ **სააგენტოს სამცხე - ჯავახეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი** - შემოწმდა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა **3867** პირადი საქმე, ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) მიმღები ოჯახების - **1951** პირადი საქმე, "ბავშვზე ზრუნვის" და სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში - **821** პირადი საქმე, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ასანაზღაურებლად წარმოდგენილი **1256** განაცხადი, სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე განხორციელებული კორექტირება - **271**. გადამოწმდა **105** ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და "ოჯახის დეკლარაციებში" განთავსებული ფ/№100-ის კანონიერება - **683** შემთხვევა, სააგენტოს სამცხე - ჯავახეთის სამხარეო ცენტრსა და მასში შემავალ ტერიტორიულ ერთეულებში დასაქმებულ **22** უფლებამოსილ პირზე (უფროსი სოციალური და სოციალური აგენტი), შრომის ანაზღაურების გაცემის საფუძვლიანობის შემოწმება (პერიოდი - 2013 წლის აგვისტოდან 2017 წლის ოქტომბრამდე). განხორციელდა ვიზიტები მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამის ფარგლებში განთავსებული ბენეფიციარების **53** ოჯახში.
 - ❖ **სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრი** - შემოწმდა სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა - **11 121** პირადი საქმე, ორსულობა-მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების ასანაზღაურებლად წარმოდგენილი **2 329** განაცხადი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან და სს „ლიბერთი ბანკიდან“ მოწოდებული ინფორმაცია - **15 000** ბენეფიციარზე, ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) მიმღები ოჯახების - **5 450** პირადი საქმე, "ბავშვზე ზრუნვის" და სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში - **835** პირადი საქმე, **1630** ოჯახში განხორციელებული ვიზიტის საფუძველი, სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე განხორციელებული კორექტირება - **4 626**. გადამოწმდა **270** ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, "ოჯახის დეკლარაციებში" განთავსებული ფ/№100-ის კანონიერება - **2 843** შემთხვევა, სააგენტოს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ცენტრსა და მასში შემავალ ტერიტორიულ ერთეულებში დასაქმებულ **46** უფლებამოსილ პირზე (უფროსი სოციალური და სოციალური აგენტი), შრომის ანაზღაურების გაცემის საფუძვლიანობის შემოწმება (პერიოდი - 2013 წლის ოქტომბრიდან 2016 წლის დეკემბრამდე). შემოწმების შედეგად გამოვლინდა **85 971** ლარის ზედმეტად ჩარიცხვის ფაქტები, საიდანაც, **170** შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენილ იქნა **56 178** ლარი. ლეგალიზაციას დაექვემდებარა **29 595** ლარი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტში აღდგენას ექვემდებარება - **198** ლარი.
 - ❖ **სააგენტოს თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის გლდან-ნაძალადევის სერვის ცენტრში** შერჩევით გადამოწმდა უფროსი სოციალური აგენტებისა და სოციალური აგენტების მიერ შესრულებული სამუშაოები. სულ გადამოწმდა - **450** ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
 - ❖ **სააგენტოს ხელვაჩაურის რაიონულ განყოფილებაში** შერჩევით გადამოწმდა უფროსი სოციალური აგენტისა და სოციალური აგენტების მიერ შესრულებული სამუშაოები. სულ გადამოწმდა - **94** ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

- ❖ სააგენტოს დუშეთის რაიონულ განყოფილებაში შერჩევით გადამოწმდა უფროსი სოციალური აგენტებისა და სოციალური აგენტების მიერ შესრულებული სამუშაოები. სულ გადამოწმდა - **279** ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (სააგენტოს 03.07.2017 წ. N04-268/მ ბრძანება). „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ **16** ბენეფიციარ ოჯახს გაუუქმდა რეგისტრაცია.
- ❖ სააგენტოს ახმეტის რაიონულ განყოფილებაში შერჩევით გადამოწმდა უფროსი სოციალური აგენტებისა და სოციალური აგენტების მიერ შესრულებული სამუშაოები. სულ გადამოწმდა - **278** ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (სააგენტოს 17.11.2017 წ. N04-542/მ ბრძანება). „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ **51** ბენეფიციარ ოჯახს გაუუქმდა რეგისტრაცია.
- ❖ სააგენტოს ლაგოდეხის რაიონულ განყოფილებაში შერჩევით გადამოწმდა უფროსი სოციალური აგენტებისა და სოციალური აგენტების მიერ შესრულებული სამუშაოები. სულ გადამოწმდა - **316** ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (სააგენტოს 01.06.2017 წ. N04-191/მ ბრძანება). „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ **58** ბენეფიციარ ოჯახს გაუუქმდა რეგისტრაცია.
- ❖ **54** შემთხვევაში, მასალები გადაეცა სამართალდამცავ ორგანოებს.
- ❖ წარმოდგენილ მასალებში დაფიქსირებული დარღვევების გამო, სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში დასაქმებულ პირებზე განხორციელდა ადმინისტრაციული ღონისძიებები,

კერძოდ:

- 3 თანამშრომელს - შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება;
- 9 თანამშრომელს - გამოეცხადა სასტიკი საყვედური;
- 19 თანამშრომელს - გამოეცხადა საყვედური;
- 38 თანამშრომელს - მიეცა შენიშვნა;
- 71 თანამშრომელს - მიეცა გაფრთხილება.

3. იურიდიული დეპარტამენტი

- ❖ დეპარტამენტის სტრუქტურა:
 - სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველო;
 - სასამართლო საქმეების წარმოების სამმართველო.
- ❖ იურიდიული დეპარტამენტი უზრუნველყოფს:
 - სააგენტოს საქმიანობის კანონშესაბამისად წარმართვის, სააგენტოსთან სადავო სამართლებრივი ურთიერთობების გადაწყვეტისა და სააგენტოს კომპეტენციის ფარგლებში, სამართლებრივი ბაზის შემუშავება/ცვლილების წინადადებების მომზადებას;

- სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (ბრძანებები, გადაწყვეტილებები), სააგენტოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების და სხვა შეთანხმებების მომზადებას და/ან მომზადებული პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას;
- ბავშვის გადაცემასთან ან/და შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებული სააღსრულებო და შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოებას;
- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კოორდინაციას;
- მოთხოვნისამებრ, სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების ინფორმირებას ნორმატიული სიახლეებისა და მათი გამოყენების მეთოდოლოგიის თაობაზე;
- ადმინისტრაციული საჩივრების წარმოების ორგანიზებას (საქმის მასალების განსახილველად მომზადება და მიღებული გადაწყვეტილების პროექტის ჩამოყალიბება);
- უფლებრივ და სამართლებრივ საკითხებზე დაინტერესებულ პირთა მომართვების (განცხადებები, წერილები) განხილვას;
- სააგენტოს სახელით, სასამართლო პროცესებში მონაწილეობა და სააგენტოს კანონიერი ინტერესების დაცვას.

ძირითადი აქტივობები:

- სააგენტოს საქმიანობის კანონშესაბამისობის ხელშეწყობა;
- სააგენტოს ფუნქციების რეალიზაციისას წამოჭრილი სადავო საკითხების სამართლებრივ გადაწყვეტასთან დაკავშირებით, წინადადებების შემუშავება;
- სააგენტოს სახელით გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში და დადგენილი წესით, დაინტერესებულ პირთა განცხადებების, წერილების და ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა და მათზე გადაწყვეტილებების (პასუხების) პროექტების მომზადება;
- კომპეტენციის ფარგლებში, სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;
- სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე დაინტერესებულ პირთათვის კონსულტაციების გაწევა;
- სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მოთხოვნისამებრ, ადმინისტრაციული გარიგებების სამართლებრივი ექსპერტიზა;
- მოთხოვნისამებრ, სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება, სააგენტოს ადმინისტრაციული აქტების მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად, ძალადაკარგულად ცნობის ან არარად აღიარების, მათში სათანადო ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წინადადებებისა და შესაბამისი პროექტების მომზადება ან პროექტების მომზადებაში მონაწილეობის მიღება;
- სისტემის უზრუნველყოფა სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული საკანონმდებლო სიახლეებით;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი ვადების დაცვის მიზნით, სააგენტოში დაცული საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

- ადმინისტრაციული საჩივრების განხილვა–გადაწყვეტის პროცედურების ორგანიზაციული უზრუნველყოფა;
- საჭიროების შემთხვევაში (ხელმძღვანელობის დავალებით), სამართლებრივი კუთხით, მეთოდური და საინსტრუქციო ხასიათის წინადადებების შემუშავება და ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;
- სასამართლო წარმოებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება.

2017 წლის განმავლობაში შესრულებული კორესპონდენცია

- ❖ 2017 წლის განმავლობაში სააგენტოს იურიდიულ დეპარტამენტში რეგისტრირებული კორესპონდენციის ჯამი შეადგენს - **5628** ერთეულს.

აქედან:

- იურიდიული პირებისაგან შემოსული კორესპონდენცია - **1283**;
- წერილები, განცხადებები, შიდა მიმოწერა - **1094**;
- სასამართლო გზავნილი - **583**;
- სასამართლოს განჩინება/გადაწყვეტილება - **683**;
- ბრძანებები სხვადასხვა საკითხებზე - **1985**.

მათ შორის:

- სახელმწიფო პენსიის საკითხზე - **195**;
- სახელმწიფო კომპენსაციის საკითხზე - **198**;
- სხვადასხვა საკითხზე (ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) – **2189**;
- დემოგრაფია - **249**;
- სოციალური პაკეტი - **100**;
- მეურვეობა-მზრუნველობის საკითხებზე - **49**;
- საჯარო ინფორმაციის შესახებ - **81** მოთხოვნა;
- საკადრო ბრძანებების ექსპერტიზა - **781**;
- შვებულებების ბრძანებების ექსპერტიზა-**2437**;
- მივლინებების ბრძანებების ექსპერტიზა-**616**;
- წახალისების ბრძანებების ექსპერტიზა-**60**.
- ❖ ადმინისტრაციული საჩივრების რაოდენობამ შეადგინა – **582** ერთეული.

მათ შორის:

- სამედიცინო დავებთან დაკავშირებით განხილულ იქნა - **429**.

აქედან:

- დაკმაყოფილდა – 79;
- უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე – 196;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 133;
- შეჩერებულია – 21.
- სახელმწიფო პენსია, კომპენსაცია, სტიპენდია, ბავშვზე ზრუნვა, ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა) – 153.

აქედან:

- უარი საჩივრის დაკმაყოფილებაზე – 85;
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 30;
- წარმოებაში მიღებაზე უარი – 9;
- შეწყდა წარმოება – 14.

შესრულებული კორესპონდენცია - 10159;

- ❖ სააგენტოსა და სხვადასხვა დაწესებულებებს შორის გაფორმდა - 36 ხელშეკრულება;
- ❖ იურიდიულ დეპარტამენტში ექსპერტიზა სახელმწიფო შესყიდვების გაფორმებასთან დაკავშირებით - 555 ხელშეკრულება;
- ❖ მომზადდა საინსტრუქციო მეთოდური მითითება - 3.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

- ❖ იურიდიულ დეპარტამენტში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, 2017 წლის განმავლობაში (1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით) შემოსულია სულ – 81 განცხადება (წერილი). აქედან, დადებითი პასუხი გაცემულ იქნა – 40 განცხადებაზე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 32 განცხადება, უარი ეთქვა – 9 განმცხადებელს, ვინაიდან, მოთხოვნილი ინფორმაცია ეხებოდა პირის პერსონალურ მონაცემებს.
- ❖ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციის 41 მუხლის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 27-ე და 44-ე მუხლების, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე, 28-ე მუხლების საფუძველზე.
- ❖ საჯარო ინფორმაციის დამუშავების, გაცემის ან გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებებიდან არცერთი გასაჩივრებულა. ასევე არ ჰქონია ადგილი სააგენტოში დასაქმებულთა მიმართ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა დარღვევაზე დისციპლინური სახდელის დადებას.

**2017 წლის სასამართლო საქმეების წარმოების სამმართველოს
დავების სტატისტიკა:**

- ❖ 2017 წლის განმავლობაში სასამართლო საქმეების წარმოების სამმართველომ მონაწილეობა მიიღო 912 სასამართლო დავაზე.

მათგან:

- სახელმწიფო გასაცემლები: (პენსია - 147, კომპენსაცია - 77) სულ - 224 საქმეზე;
- სოციალური დახმარება, საარსებო შემწეობის დანიშვნა - 66 საქმეზე;
- სამედიცინო კლინიკების საქმიანობასთან დაკავშირებული საქმეები - 500 საქმეზე;
- შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება (საწარმოო ტრავმა - დანიშვნა, უფლებამონაცვლის დადგენა) - 16 საქმეზე;
- მეურვეობა/მზრუნველობა, დროებითი მხარდამჭერის დანიშვნა და პირის მხარდაჭერის მიმღებად ცნობა, მშობლის უფლების ჩამორთმევა/აღდგენა, ოჯახური დავები - 21 საქმეზე;
- შრომითი დავა - 16 საქმეზე;
- სახელშეკრულებო დავა - 9 საქმეზე;
- სხვა - 60 საქმეზე.

4. სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტი

- ❖ 2017 წლის განმავლობაში, სოციალური დახმარებების ადმინისტრირების დეპარტამენტი კომპეტენციის ფარგლებში,
უზრუნველყოფდა:
 - სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მეშვეობით, ფულადი სოციალური დახმარების (საარსებო შემწეობა) გაცემას;
 - დევნილთა და ლტოლვილთა დახმარების ანაზღაურებას;
 - დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით განსაზღვრული ფულადი დახმარების ანაზღაურებას;
 - „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამას დაემატა 2016 წლის პირველი იანვრიდან დაბადებული ცოცხლადშობილი ბავშვი (ტყუპით მშობიარობის შემთხვევაში - ბავშვები), რომლის ერთ-ერთი მშობელი არის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე. ბენეფიციარს ენიშნება ყოველთვიური ფულადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, ერთი წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი პირველი ან მეორე შვილია - 200 ლარის ოდენობით, 2 წლის განმავლობაში, თუ ბენეფიციარი მე-3 ან მომდევნო შვილია (მეორე და მესამე ტყუპის შემთხვევაში, ერთ-ერთ ტყუპის ცალს ენიშნება 100 ლარის ოდენობით ერთი წლის განმავლობაში, ხოლო მეორეს - 200 ლარის ოდენობით, 2 წლის განმავლობაში). შესაბამისად, დეპარტამენტი უზრუნველყოფდა, მაღალმთიანი რეგიონების განვითარების პროგრამის ფარგლებში, ფულადი დახმარების ანაზღაურებას.

დეპარტამენტი მონაწილეობდა:

- ❖ მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით, ფულადი სოციალური დახმარების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში შესატანი ცვლილებებისა და დამატებების პროექტების მომზადებაში, რომლითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საარსებო შემწეობისა და შესასწავლი ოჯახების ადმინისტრირების პროცესი;
- ❖ კომპეტენციის ფარგლებში, ბენეფიციარებისათვის არასწორად ჩარიცხული თანხების საბიუჯეტო ანგარიშზე აღდგენის პროცესში;
- ❖ სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის“ ფორმირებაში პრაქტიკული და მეთოდური დახმარების გაწევაში;
- ❖ საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტთან თანამშრომლობით, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“ განხორციელდა რიგი ტექნიკური ცვლილებები, რამაც მნიშვნელოვნად დახვეწა და გააუმჯობესა საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების ადმინისტრირების პროცესი;
- ❖ ტერიტორიულ ერთეულებს, ელექტრონული ვერსიის სახით, ეგზავნებოდათ „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების მონაცემები, რომლებსაც სარეიტინგო ქულის ოდენობიდან გამომდინარე, მოპოვებული აქვთ საარსებო შემწეობის დანიშვნის უფლება და ამავე დროს, რომელთა:
- წევრ(ებ)მაც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სამ თვეზე მეტი ხნით გადაკვეთეს ქვეყნის საზღვარი, რაც ოჯახმა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებისას არ დააფიქსირა „ოჯახის დეკლარაციაში“ ან სამ თვეზე მეტი ხნით გადაკვეთეს ქვეყნის საზღვარი და არ აცნობეს სააგენტოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში;
- წევრ(ებ)საც, შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, უფიქსირდებოდათ გარკვეული შემოსავალი და არ აცნობეს სააგენტოს;
- წევრ(ებ)ზეც, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, რეგისტრირებულია სატრანსპორტო საშუალებები;
- წევრ(ებ)საც, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებით, უფიქსირდებოდათ სხვადასხვა სტატუს(ებ)ი;
- წევრ(ებ)ი სსიპ-ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისა და მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, განთავსებული არიან სპეციალიზებულ დაწესებულებაში, სრულ სახელმწიფო კმაყოფაზე და ამავედროულად რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“;
- წევრ(ებ)ი მონაწილეობენ "დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში.
- ❖ დეპარტამენტი ჩართული იყო „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილების თანახმად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 მაისის №01-153/ო ბრძანებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახების გადამოწმების პროცესში.

- ❖ დეპარტამენტი მონაწილეობს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 25 ივლისის №04–228/ო ბრძანებით შექმნილი კომისიის სხდომებში ოჯახებისათვის „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის ერთწლიანი აკრძალვის გაუქმებასთან დაკავშირებით და სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული საჩივრების ზეპირი განხილვის პროცესში.

დანართის სახით, წარმოდგენილია დეპარტამენტის მიერ წლის განმავლობაში გადარიცხული თანხების სტატისტიკა. (იხ. დანართი N1)

5. სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი

- ❖ სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი ფუნქციონირებს 3 სტრუქტურული ერთეულით: საპენსიო უზრუნველყოფის სამმართველო; საინფორმაციო სისტემების ადმინისტრირების სამმართველო; საინფორმაციო სისტემების ტესტირების, დანერგვის და კონსულტაციების სამმართველო.
- ❖ დეპარტამენტი, ტერიტორიულ ერთეულებთან ერთად, ყოველთვიურად ახორციელებს 1 024 486 ბენეფიციარისათვის 10 სხვადასხვა სახის გასაცემლით უზრუნველყოფის ადმინისტრირებას. გადასარიცხი სახელმწიფო გასაცემლის ოდენობა, ყოველთვიურად, შეადგენს საშუალოდ 164 329 852 ლარს.
- ❖ სულ 2017 წლის 12 თვეში გადარიცხულმა თანხამ შეადგინა 1 971 958 225 ლარი.
- ❖ სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი, 2017 წლის 12 თვის განმავლობაში, კომპეტენციის ფარგლებში, ადმინისტრირებას უწევდა შემდეგ სახელმწიფო გასაცემლებს (იხ. დანართი N2):
 1. სახელმწიფო პენსია - თვეში საშუალოდ 725 803 ბენეფიციარი;
 2. სოციალური პაკეტი – თვეში საშუალოდ 166 751 ბენეფიციარი;
 3. სახელმწიფო კომპენსაცია – თვეში საშუალოდ 21 559 ბენეფიციარი;
 4. საყოფაცხოვრებო სუბსიდია – თვეში საშუალოდ 27 398 ბენეფიციარი;
 5. მინდობით აღზრდა – თვეში საშუალოდ 1 421 ბენეფიციარი;
 6. რეინტეგრაცია – თვეში საშუალოდ 433 ბენეფიციარი;
 7. “ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების” ასანაზღაურებელი დახმარება – თვეში საშუალოდ 1 109 ბენეფიციარი;
 8. „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური დახმარება – 1014 ბენეფიციარი;
 9. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა დანამატი–თვეში საშუალოდ 77 518 ბენეფიციარი;

10. მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული /დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატი – თვეში საშუალოდ 1 478 ზენეფიცირი.

დეპარტამენტის მიერ ადმინისტრირებადი გასაცემლების დაფინანსება “2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, ხორციელდებოდა 3 პროგრამით:

1. “საპენსიო უზრუნველყოფის” პროგრამა (პროგრამული კოდი 35 02 01), რომლის ფარგლებშიც, ფინანსდება სახელმწიფო პენსიისა და სახელმწიფო კომპენსაციის თანხები.
2. “სოციალური დახმარების” პროგრამა (პროგრამული კოდი 35 02 02), რომლის ფარგლებშიც, ფინანსდება სოციალური პაკეტი, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, რეინტეგრაცია, “ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების” ასანაზღაურებელი დახმარება, „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ენების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური დახმარება.
3. “სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში” (პროგრამული კოდი 35 02 04), რომლის ფარგლებშიც, ფინანსდება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატი.

სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტი ზემოაღნიშნული გასაცემლების ადმინისტრირებისათვის ხელმძღვანელობდა შემდეგი საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით:

- საქართველოს კანონი „სახელმწიფო პენსიის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება “სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2007 წლის 11 იანვრის №4 დადგენილება „სოციალური შეღავათების მონეტიზაციის შესახებ“;
- საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 10 თებერვლის N46/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო პენსიის, სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესები“;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს N231/ნ ბრძანება „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის შესახებ“;

- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N51/ნ ბრძანება “მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ”;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 20 მარტის N01-20/ნ ბრძანება „რეინტეგრაციის შემწეობის დანიშვნის, შეჩერების, განახლებისა და შეწყვეტის წესისა და პირობების, აგრეთვე მის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობების განსაზღვრის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის №45 დადგენილება „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 ივნისის N264 დადგენილება “მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის გაცემის წესისა და პირობების შესახებ”;
- საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს საარჩევნო კოდექსი”;
- საქართველოს კანონი “საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“.

სახელმწიფო გასაცემლების მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში 2017 წლის 12 თვეში განხორციელებული ცვლილებები და შედეგები

- ❖ “საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონის 28-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო პენსიის ოდენობა განისაზღვრა 180 ლარის ოდენობით. აღნიშნულის გათვალისწინებით, ხდება სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობების გამოთვლაც. სხვა დანარჩენი კატეგორიის გასაცემლების ოდენობები (შშმპ, მარჩენალდაკარგულები, რეპრესირებულები და სხვა) განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 279-ე დადგენილების მე-5 მუხლის შესაბამისად.
- ❖ “მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირებისა და მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის დანამატის გაცემის წესისა და პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 ივნისის N264 დადგენილების საფუძველზე, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სახელმწიფო პენსიის/სოციალური პაკეტის მიმღებ პირთათვის დანამატის ოდენობა შეადგენს გასაცემლის 20%-ს.
- ❖ ამავე დადგენილების თანახმად, მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალის დანამატის ოდენობა შეადგენს საქართველოს შესაბამისი წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო პენსიის ორმაგ ოდენობას (ექიმებისათვის) და ერთმაგ ოდენობას (ექთნებისათვის).
- ❖ 2017 წლის დეკემბრის ბოლოსთვის, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის N45 დადგენილების თანახმად, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, დახმარება დანიშნული აქვს 980 ბენეფიციარს. მათ შორის, სს "ჭიათურმანგანუმში" დაზარალებულ - 416

ბენეფიციარს; სს "საქნახშირში" დაზარალებულ - 402 ბენეფიციარს; "სამოქალაქო ავიაციის სისტემაში" დაზარალებულ - 18 ბენეფიციარს; სს "რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში" დაზარალებულ - 102 ბენეფიციარს; "ჟინვალჰესის სამშენებლო სამმართველოში" დაზარალებულ - 23 ბენეფიციარს; "ბათუმის მანქანათმშენებლობის ქარხანაში" დაზარალებულ - 7 ბენეფიციარს; „ჩორდის ბარიტის მადართა სამმართველოში" დაზარალებულ - 7 ბენეფიციარს; შპს „ადმშენებელში“ დაზარალებულ - 4 ბენეფიციარს; "მესტიის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური სამშობიარო სახლის გაერთიანებაში" დაზარალებულ -1 ბენეფიციარს.

დეპარტამენტის მიერ შესრულებული ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური სამუშაოების შესახებ

- ❖ მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების გაუმჯობესების მიზნით, ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებების მოთხოვნათა რეალიზაციისათვის, გასაცემლის დასარიცხად და ფინანსური განაცხადის ფორმირებისათვის სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტმა უზრუნველყო სახელმწიფო გასაცემლების ავტომატიზებულ პროექტებში შესაბამისი პროგრამული ცვლილებების შეტანა და ახალი პროგრამული პაკეტის სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში ტირაჟირება, სწავლება და დანერგვა.
- ❖ 2017 წლის განმავლობაში, პროგრამული ცვლილებები განხორციელდა შემდეგი გასაცემლების სადარიცხვო სისტემებში:
 - სახელმწიფო კომპენსაციისა, სახელმწიფო პენსიისა და სოციალური პაკეტის ავტომატიზებულ პროექტებში:
 - მხარდამჭერი პირებისა და მხარდაჭერის მიმღებთა კონკრეტიზაციის და მონაცემთა დაზუსტების მიზნებისათვის;
 - რაოდენობრივი და თანხობრივი გათვლები ავიაციის მუშაკებისთვის;
 - წლის დასახურად საჭირო პროგრამული ცვლილებები.
 - საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ლეგალიზაციასთან დაკავშირებული ცვლილებების ასახვა, შესაბამის ავტომატიზებულ სისტემებში.
 - „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 აგვისტოს 231/ნ ბრძანებაში, 2017 წლის 30 ივნისის 01-43/ნ ბრძანებით შეტანილი ცვლილებებიდან გამომდინარე, ე.წ. „დეკრეტის“ ავტომატიზებული აღრიცხვის პროგრამაში შევიდა ცვლილებები, რომლებიც დაიტესტა და გაიგზავნა სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში. ამასთან, შემუშავდა და ტერიტორიულ ერთეულებში გაიგზავნა საინსტრუქციო წერილი ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების 2017 წლის 1 ივლისიდან ანაზღაურების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით და საჯარო სამსახურებზე გასაგზავნი წერილის ნიმუში. აღნიშნული ცვლილებები სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა თბილისის რაიონების თანამშრომლებთან, ხოლო დანარჩენ ტერიტორიულ ერთეულებს გაეწიათ სატელეფონო კონსულტაცია.

- „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის 671 დადგენილებას, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 ივლისის 356 დადგენილებით დაემატა მთელი რიგი სოფლები, რამაც განაპირობა სახელმწიფო გასაცემლების დეპარტამენტის მიერ ადმინისტრირებადი სახელმწიფო გასაცემლების პროგრამული უზრუნველყოფის ცვლილებები. ამასთან, სახელმწიფო გასაცემელზე დანამატის დარიცხვა უკვე განხორციელდა „მთის განვითარების ეროვნული საბჭოს დებულების“ მე-8 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, ჰიფსომეტრიული სიმაღლის მიხედვით, ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე ან მის ზევით მდებარე და „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ მხარეში მცხოვრებ ბენეფიციარებზე.
- მაღალმთიან დასახლებათა ნუსხას დამატებული სოფლების გამო, 2017 წლის ნოემბერში განხორციელდა დამატებითი პროგრამული ცვლილებები, 2018 წლის 1 იანვრიდან შესაბამისი გასაცემლებით უზრუნველყოფის მიზნით.
- მაღალმთიანი დასახლების ექიმი/ექთანის დანამატის თანხების სტატისტიკისათვის საჭირო პროგრამული ცვლილებების შემუშავება.

**გარე წყაროებიდან ინფორმაციის მომწოდებლებთან ურთიერთობა და
მიღებული ინფორმაციის სახელმწიფო გასაცემლების
ადმინისტრირების პროცესში გამოყენება**

- ❖ სააგენტოს მიერ ადმინისტრირებადი სახელმწიფო გასაცემლების კანონშესაბამისად წარმართვის მიზნით, დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, თანამშრომლობს და რეგულარულად აწარმოებს ინფორმაციების ურთიერთგაცვლას – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსთან; საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურთან; საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შესაბამის სამსახურთან; ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურთან; სს „ლიბერთი ბანკთან“. აღნიშნული სამსახურებიდან მიღებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით, ხორციელდება შემდეგი სახის სამუშაოები:
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო: ყოველთვიურად, სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა სააღრიცხვო ბაზებისა და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული სააღრიცხვო ბაზის ურთიერთშედარების შედეგად, ბენეფიციართა მოქალაქეობრივი მდგომარეობის შესახებ ამსახველი ინფორმაციისა (გარდაცვალება, პატიმრობა, მოქალაქეობრივი მდგომარეობა და სხვა) და პირად რეკვიზიტებში გამოვლენილი შეუსაბამობების ტერიტორიული ერთეულებისათვის მიწოდება და შესრულებული სამუშაოს ანალიზი;
- სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, დგინდება პენსიის/სოციალური პაკეტის მიმღებთა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.

- **საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო:** პერიოდულად, სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა სააღრიცხვო ბაზებისა და სამინისტროს შესაბამისი სამსახურებიდან წარმოდგენილ, საპენსიო ასაკს მიღწეულ მსჯავრდებულთა მონაცემების ურთიერთშედარების შედეგად, ტერიტორიულ ერთეულს მიეწოდება იმ ბენეფიციართა მონაცემები, რომლებთანაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, პატიმრობის (ან წინასწარი პატიმრობის) გამო უნდა შეუწყდეთ (ან შეუჩერდეთ) სახელმწიფო გასაცემელი.
- **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური:** ყოველთვიურად, სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა სააღრიცხვო ბაზებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ მოწოდებული დასაქმებულთა სახელობითი მონაცემების ურთიერთშედარების შედეგად, ტერიტორიულ ერთეულს მიეწოდება იმ ბენეფიციართა მონაცემები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო საქმიანობას და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა შეუწყდეთ სახელმწიფო გასაცემელი.
- **ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახური:** ყოველთვიურად, სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა სააღრიცხვო ბაზებისა და ვეტერანთა საქმეების სახელმწიფო სამსახურის მიერ მოწოდებული სააღრიცხვო ბაზის ურთიერთშედარების შედეგად, ვეტერანთა პირად რეკვიზიტებში გამოვლენილი შეუსაბამოებების ტერიტორიული ერთეულებისათვის მიწოდება.
- **სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო:** პერიოდულად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოდან დეპარტამენტში შემოსული წერილების საფუძველზე, შშ სტატუსის მქონე იმ პირებზე, რომლებიც არ გამოცხადდნენ საკონტროლო გადამოწმებაზე ან არ დაუდგინდათ შშმ სტატუსი, შესაბამისი რეაგირებისათვის, სააგენტოს შესაბამისი განყოფილებისათვის მონაცემების მიწოდება.
- **მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სამედიცინო დაწესებულებები:** ყოველთვიურად, აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებებიდან მათთან დასაქმებული/დაკონტრაქტებული სამედიცინო პერსონალისათვის (ექიმი, ექთანი) დანამატის გაცემის მიზნით, წარმოდგენილი სახელობითი მონაცემების (სიები), შედარება სსგს-ს ბაზებთან და გადასარიცხი რეესტრების მომზადება;
- **სს “ლიბერთი ბანკი”:** ყოველთვიურად, სს “ლიბერთი ბანკიდან”, „ფულადი გასაცემლების საბანკო მომსახურების შესახებ“ ინსტრუქციის 3.2.3. პუნქტის შესაბამისად, დეპარტამენტი იღებს ინფორმაციას იმ ბენეფიციარების შესახებ, რომელთა პირად ანგარიშებზე ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ განხორციელებულა აქტიური ოპერაცია, ან როდესაც საპენსიო ანგარიშებიდან თანხები გაიცემა მინდობილობით და მინდობილობის გაცემიდან 1 წლის გასვლის შემდეგ, არ მომხდარა მინდობილობის განახლება. აგრეთვე, როდესაც პირი ახორციელებს პენსიის გადატანას დეპოზიტზე და 1 წლის გასვლის შემდეგ, პირადად არ მიუმართავს პენსიის გამცემი საბანკო დაწესებულებისათვის, შესაბამისი განცხადებით. ცენტრალურ ოფისში ხდება ამ ინფორმაციის მიღება, პროგრამული დამუშავება და ტერიტორიულ ერთეულებს მიეწოდება პროგრამული პაკეტის სახით, შემდგომი რეაგირებისათვის;
- ხორციელდება სახელმწიფო გასაცემლის მიმღებთა სახელობითი მონაცემების ნაერთი ინფორმაციის (რაიონულ ჭრილში) ელექტრონული ვერსიისა და ჩასარიცხი თანხების

- ოდენობის შესახებ დოკუმენტაციის სს „ლიბერთი ბანკისათვის“ გადაცემა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში;
- მიმდინარეობს უკანდასაბრუნებელი თანხების შესახებ ბენეფიციართა საბანკო ანგარიშზე არაკორექტულად (შეცდომით) ჩარიცხულ თანხებზე ინფორმაციის მიღება-დამუშავება, ამ თანხების სახაზინო ანგარიშზე აღდგენისათვის, ცენტრალიზებული წესით, უკანდასაბრუნებელ თანხებზე სს „ლიბერთი ბანკისათვის“ მოთხოვნის მიწოდება.
 - 2017 წლის 12 თვის განმავლობაში, სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე დასაბრუნებლად გამოთხოვილმა თანხამ სულ შეადგინა 1 338 518.55 ლარი, უკანდაბრუნებულია – 1 024 077.89 ლარი. ბანკიდან დაუბრუნებელი თანხების (ე.წ. სადავო თანხა) ბიუჯეტში აღდგენა ხორციელდება სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ “ზედმეტად ჩარიცხული და სს „ლიბერთი ბანკიდან“ დაუბრუნებელი (ე.წ. მოთხოვნამდე გაცემული) თანხების სააგენტოს სახაზინო ანგარიშზე დაბრუნების სააღრიცხვო სისტემის ამოქმედებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებების თაობაზე” სააგენტოს 2015 წლის 2 აპრილის N04-97/ო ბრძანებით დამტკიცებული მეთოდის შესაბამისად.
 - გარდა აღნიშნულისა, სს “ლიბერთი ბანკიდან” გამოთხოვილია ამონაწერები იმ გარდაცვლილ ბენეფიციართა ანგარიშებზე თანხების მოძრაობის შესახებ, რომელთა გარდაცვალებიდან 2017 წლის 1 იანვრისათვის გასულია 1 წელზე მეტი და არ არის გატანილი ჩარიცხული თანხა მემკვიდრის მიერ. სულ ამონაწერების დამუშავების შემდეგ, დეპარტამენტის მიერ, ბიუჯეტში აღდგენის მიზნით, ბანკში გაგზავნილია მოთხოვნა 2 351 910,40 ლარის დაბრუნებაზე და დაბრუნებულია 2 088 456,16 ლარი.

დეპარტამენტის მიერ შესრულებული ორგანიზაციულ-მეთოდოლოგიური საქმიანობა

- ❖ ყოველთვიურად, სახელმწიფო გასაცემლების დასაფინანსებლად, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების მიერ სააგენტოს შიდაკორპორაციულ ქსელში განთავსებული მიმდინარე თვის სახელმწიფო პენსიის, სოციალური პაკეტის, სახელმწიფო კომპენსაციის, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, რეინტეგრაცია, ბავშვთა ზრუნვის, “ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების” და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების“ სააღრიცხვო ბაზების სამუშაო ვერსიაში შეტანილ მონაცემებში შეუსაბამო /ალოგიკური ჩანაწერების გამოვლენა და სატელეფონო შეტყობინებით ტერიტორიული ერთეულების ინფორმირება;
- ❖ სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებიდან წარმოდგენილი, კორექტირებული ბაზებისა და ფინანსური განაცხადის საფუძველზე, გადასარიცხი თანხების ნაერთი რეესტრების მომზადება; ტერიტორიული ერთეულების მიერ წარმოდგენილი მონაცემების დამუშავების საფუძველზე, ერთიანი სააღრიცხვო ბაზის ცენტრალიზებულად განახლება-დამუშავება;
- ❖ მონაცემთა ბაზაში პენსიის/სუბსიდიის/კომპენსაციის/სტიპენდიის მიმღები, იდენტური მონაცემების მქონე პირთა გამოვლენა და შესაბამისი ღონისძიებების გატარება (ერთიანმა სააღრიცხვო სისტემამ შესაძლებლობა მოგვცა, ფაქტობრივად, აღმოფხვრილიყო იდენტურ ბენეფიციარებზე სხვადასხვა გასაცემლების გაცემა);

- ❖ სააღრიცხვო ბაზებთან მუშაობისათვის, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის საკონსულტაციო და პრაქტიკული დახმარების გაწევა;
- ❖ სააგენტოს ტერიტორიული ერთეულებისათვის სახელმძღვანელოდ საინსტრუქციო-მეთოდური წერილების შემუშავება/დაგზავნა, ადგილებიდან შემოსული შეკითხვების გათვალისწინებით. მოქალაქეთა და სხვადასხვა ინსტანციებიდან შემოსული კორესპონდენციის კომპეტენციის ფარგლებში განხილვა და პასუხების მომზადება;
- ❖ დეპარტამენტში მიღებული იქნა სულ 10 548 წერილი. ამათგან, პასუხის გაცემას ექვემდებარებოდა და პასუხგაცემულია 9163.
- ❖ 2017 წლის აპრილ-მაისში, დეპარტამენტმა უზრუნველყო “ფაშიზმზე გამარჯვების 72-ე წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ღონისძიებების შესახებ” საქართველოს მთავრობის N838 განკარგულებით განსაზღვრული მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა მარჩენალდაკარგულისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარების ადმინისტრირება (გარდა ქ. თბილისისა). ამ მიმართულებით, 883 პირზე გადაირიცხა 442 500 ლარი.

სტატისტიკური ინფორმაცია

- ❖ ინფორმაცია სახელმწიფო გასაცემლების მიმღებთა რაოდენობისა და 2017 წლის 12 თვეში გასაცემლების დასაფინანსებლად საჭირო თანხების შესახებ, მოცემულია *დანართში N2- „ინფორმაცია 2017 წლის 12 თვეში საპენსიო და სოციალური პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯისა და ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ“*.

6. მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური

პროგრამების დეპარტამენტი

- ❖ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური ორგანო ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით დამტკიცებულ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ 2017 წლის სახელმწიფო პროგრამას, რომლის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა (მათ შორის, ბავშვთა), ხანდაზმულთა და ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, ასევე კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება. ზემოაღნიშნული პროგრამიდან სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტი, სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებთან ერთად, ახორციელებს პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ ქვეპროგრამებს:

ა) კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამა;

- ბ) ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა;
 - გ) ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა;
 - დ) ომის მონაწილეთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა;
 - ე) დღის ცენტრების ქვეპროგრამა;
 - ვ) დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
 - ვ.ა) სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფისა და შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის კომპონენტი;
 - ვ.ბ) საპროთეზო-ორთოპედიული საშუალებებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ვ.გ) სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ვ.დ) კოხლერული იმპლანტით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ვ.ე) ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი;
 - ზ) ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა;
 - თ) დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
 - ი) მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა;
 - კ) მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა;
 - ლ) მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა;
 - მ) სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა;
 - ნ) მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა;
 - ო) მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა.
- ❖ გარდა პროგრამით გათვალისწინებული აქტივობებისა, მეურვეობისა და მზრუნველობის ცენტრალური და ტერიტორიული ორგანოები მუშაობენ შემდეგი მიმართულებებით:
- მეურვეობა/მზრუნველობა/მხარდაჭერის დაწესება და მონიტორინგი;
 - ქვეყნისშიდა და საერთაშორისო გაშვილება;
 - ოჯახური დავები;
 - სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულება;
 - მზრუნველობამოკლებული ბავშვების დოკუმენტაციის მოწესრიგება (დაბადების მოწმობის აღება, პირადი ნომრის მინიჭება);
 - საპროცესო წარმომადგენლობა;
 - ქვეყნისგარეთ მიტოვებული ბავშვების დაბრუნება;
 - ძალადობის შემთხვევებზე რეაგირება ბავშვთა დაცვის პროცედურების რეფერირების ფარგლებში.

მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველო

ჩატარებული სამუშაოები და მიღწეული შედეგები:

- ❖ ჩვილ ბავშვთა სახლიდან აღსაზრდელების დეინსტიტუციონალიზაციის მიზნით, "სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის" სახელმწიფო პროგრამის "მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა

- სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამის“ ფარგლებში, ქ. ქუთაისში გაიხსნა მცირე საოჯახო ტიპის სახლი;
- ❖ მიღებულ იქნა საქართველოს ახალი კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“, შეიქმნა ახალი კანონქვემდებარე აქტები, გადამზადდნენ ტრენერები, რომლებიც განახორციელებენ მშვილდებელი კანდიდატების გადამზადებას;
 - ❖ გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, ორგანიზაციის - „კონსალტინგი და აიტი ინოვაციები“ მიერ, სააგენტოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, ხორციელდება პროექტი - ბავშვთა ჯანმრთელობის და სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვის მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შექმნის მიზნით. სამუშაოების გარკვეული ნაწილი ჩატარებულია და რამდენიმე პროგრამა საპილოტე რეჟიმშია ჩაშვებული. სისტემის სრულად ამოქმედების შედეგად, მოხდება სხვადასხვა ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია და პროცედურების გამარტივება, როგორც სერვისებში ჩართული მომსახურების მომწოდებლების (პროვაიდერების), ასევე, ბენეფიციარებისათვისაც;
 - ❖ საანგარიშო პერიოდში სისტემატურად ტარდებოდა რთული შემთხვევების კონფერენციები;
 - ❖ ჩატარდა სოციალური მუშაკებისა და უფროსი სოციალური მუშაკების პროფესიული ზედამხედველობა და საქმიანობის შეფასება;
 - ❖ 2017 წლის განმავლობაში, მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის თანამშრომლები აქტიურად თანამშრომლობდნენ მასმედიის წარმომადგენლებთან და იღებდნენ მონაწილეობას საქართველოს ტელერადიომაუწყებლების მიერ სხვადასხვა თემებზე (შვილად აყვანა, ძალადობა, რეფერირების პროცედურები, შშმ პირები, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები და ა. შ.) მომზადებულ გადაცემებში;
 - ❖ დეპარტამენტის თანამშრომლები, სააგენტოს სახელით, ასრულებდნენ მეურვე/მზრუნველის ფუნქციებს უცხო ქვეყნის მოქალაქე იმ არასრულწლოვანი პირების მიმართ, რომლებმაც მოითხოვეს ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება;
 - ❖ დეპარტამენტის თანამშრომლები მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო კონფერენციებში და ესწრებოდნენ სასწავლო ვიზიტებს, ასევე სომხეთის, მოლდოვას, უკრაინისა და ალბანეთის წარმომადგენლობით დელეგაციებს გააცნეს ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მიმდინარე რეფორმის, დეინსტიტუციონალიზაციის პროცესისა და ალტერნატიული სერვისების განვითარების ქართული მოდელი და გაუზიარეს არსებული გამოცდილება.

ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველო

ჩატარებული სამუშაოები და მიღწეული შედეგები

- ❖ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის“ სახელმწიფო პროგრამის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში, თბილისის, რუსთავის და ქუთაისის მასშტაბით, კონტაქტი დამყარდა 332 (2014-2017 წლებში – 1054) მიუსაფარ ბავშვთან, დღის ცენტრის და სადღეღამისო თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა/სარგებლობს 270 ბენეფიციარმა, აქედან, დღის ცენტრით - 186, სადღეღამისო თავშესაფრით - 84 ბენეფიციარმა;

- ❖ 2017 წლის 1 თებერვლიდან ქუთაისში დარეგისტრირდა 1 სადღეღამისო თავშესაფარი, ხოლო 1 მარტიდან თბილისში დარეგისტრირდა კიდევ 1 სადღეღამისო თავშესაფარი და დღესდღეობით, თბილისში ფუნქციონირებს 4 დღის ცენტრი და 4 სადღეღამისო თავშესაფარი, რუსთავეში – 1 დღის ცენტრი და 1 სადღეღამისო თავშესაფარი, ქუთაისში – 1 დღის ცენტრი და 1 სადღეღამისო თავშესაფარი;
- ❖ თბილისის მასშტაბით, მოქმედებს 3 მობილური ჯგუფი, რუსთავეში - 1 მობილური ჯგუფი, ქუთაისში - 1 მობილური ჯგუფი;
- ❖ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო საჭიროებების მიღების „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობის (შანსი)“ ფარგლებში, სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებაში ჩაერთო მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრის ქვეპროგრამით მოსარგებლე 74 ბენეფიციარი;
- ❖ „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოში პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ კანონის ცვლილების შედეგად, დროებითი საიდენტიფიკაციო დოკუმენტი გაიცა 11 მიუსაფარ ბავშვზე, ხოლო დოკუმენტაცია მოუწესრიგდა 20 მიუსაფარ ბავშვს.

ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების და რეაგირებების სტატისტიკა:

- ❖ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელ ხაზზე (15-05) განხორციელდა 148 შეტყობინება, აქედან, მობილური ჯგუფის მიერ რეაგირება განხორციელდა 133 შემთხვევაზე, 15 ზარი გადამისამართდა საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრში „112“.
- ❖ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ფარგლებში, 2017 წელს ძალადობის ფაქტზე შემოვიდა 840 მომართვა (340 – მამრ. და 498 – მდედრ.), მათ შორის, 6 შშმ პირია (4 – მამრ. 2 – მდედრ., აქედან, 1 – სრულწლოვანი, 1 ხანდაზმულია. ძალადობის ფაქტი დადასტურდა 2 შემთხვევაში). I კვარტალში მომართვა იყო 226 ბავშვზე, II კვარტალში – 212, III კვარტალში – 172, IV კვარტალში - 230 ბავშვზე. ძალადობის ფაქტი დადასტურებულია 482 შემთხვევაში. პოლიციასთან რეფერირება განხორციელდა 303 შემთხვევაში, პოლიციიდან მომართვა განხორციელდა - 113 შემთხვევაში.

2017 წლის აქტივობები

- ❖ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ფონდ „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ გაფორმდა მემორანდუმი.
- ❖ მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტი ჩართულია ადამიანის უფლებათა დაცვის 2018-2020 წ.წ. სამთავრობო სამოქმედო გეგმის გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების სამუშაო ჯგუფში.
- ❖ ბავშვთა და ოჯახში ძალადობის ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი სოციალური მუშაკების მიერ მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ფარგლებში მოქმედ დღის ცენტრებსა და სადღეღამისო თავშესაფრების ბენეფიციარებთან (4 დღის ცენტრი და ამდენივე სადღეღამისო თავშესაფარი) ჩატარდა ტრენინგი თემაზე - „ტრეფიკინგის პრევენცია“ (მონაწილეობა მიიღო 42 ბენეფიციარმა).

- ❖ ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ფარგლებში, 2017 წელს ძალადობაზე შემოვიდა 840 მომართვა (340 – მამრ. და 498 – მდედრ.), მათ შორის, 6 შშმ პირია (4 – მამრ. 2 – მდედრ., აქედან, 1 – სრულწლოვანი, 1 ხანდაზმულია. ძალადობის ფაქტი დადასტურდა 2 შემთხვევაში). I კვარტალში მომართვა იყო 226 ბავშვზე, II კვარტალში – 212, III კვარტალში – 172, IV კვარტალში – 230 ბავშვზე. ძალადობის ფაქტი დადასტურებულია 482 შემთხვევაში. პოლიციასთან რეფერირება განხორციელდა 303 შემთხვევაში, პოლიციიდან მომართვა განხორციელდა - 113 შემთხვევაში.

სოციალური პროგრამების სამმართველო

- ❖ კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურება მიიღო 987 კრიზისულ მდგომარეობაში მყოფმა ბავშვიანმა ოჯახმა, რომლებიც საჭიროებდნენ გადაუდებელ პირველად დახმარებას.
- ❖ ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის ფარგლებში, მომსახურების მიმწოდებლად დარეგისტრირებული იყო 2 ორგანიზაცია: სს “გეფა” და შპს “ავერსი-გეოფარმა”. 2017 წლის განმავლობაში, მომსახურებით ისარგებლა 2293 ბავშვმა, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ 65 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა ან მათი ოჯახი რეინტეგრაციის შემწეობის მიმღებია.
- ❖ ინფორმაცია ქვეპროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ თვეების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში:

№	დაწესებულება	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1	შპს „ავერსი-გეოფარმა“	684	672	659	602	615	623	614	620	612	612	639	840
2	სს „გეფა“	326	318	307	271	247	244	254	245	247	267	248	52
	სულ	1010	990	966	873	862	867	868	865	859	879	887	892

- ❖ ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურების მიმწოდებლად დარეგისტრირებული იყო 20 ორგანიზაცია შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში: თბილისში-7, ქუთაისში-2, ბათუმში-1, ქობულეთში-1, თელავში-1, ლაგოდეხში-1, ზუგდიდში-2, ჩხოროწყუში-1, მარნეულში-1, გორში-1, ბორჯომში-1, ახალციხეში-1. 2017 წლის განმავლობაში, ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურებით ისარგებლა 828 ბავშვმა, ინფორმაცია ქვეპროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში მიღებული მომსახურების და ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ თვეების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში:

თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ბენეფიციარი	506	522	520	516	532	536	527	402	541	576	623	631

- ❖ **ბავშვთა რეაბილიტაციის** ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურების მომწოდებლად დარეგისტრირებული იყო 22 სარეაბილიტაციო ცენტრი, მათ შორის, თბილისში – 11 სარეაბილიტაციო ცენტრი, ქუთაისში-1, ბათუმში – 3, ქობულეთში-1, გორში – 1, თელავში – 1, გურჯაანში-2, მარნეულში-2 სარეაბილიტაციო ცენტრი. 2017 წლის განმავლობაში, ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურებით ისარგებლა 986 ბავშვმა.
- ❖ ქვეპროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში მიღებული მომსახურების და ჩატარებული კურსების რაოდენობის შესახებ თვეების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში:

თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
კურსები	274	297	341	674	668	728	745	127	791	751	477	301

- ❖ **ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის** ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმწოდებლად დარეგისტრირდა 2 ორგანიზაცია: თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი "თბილისი - SPA" ჯანმრთელობის და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი და შპს „ოქროს ველი“, სადაც წლის განმავლობაში რეაბილიტაცია გაიარა - 60-მა ომის ვეტერანმა.
- ❖ ინფორმაცია ქვეპროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში მიღებული მომსახურების და ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ თვეების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში:

თვე	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	დეკემბერი	სულ:
შპს „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი საქ. კურორტოლოგიის ფიზიოთერაპიის რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის ს/პ ცენტრი"		6	4	10	9	5	6	5	<u>45</u>
შპს „ოქროს ველი"			2	3	4	1	5		<u>15</u>
სულ									<u>60</u>

- ❖ **დღის ცენტრების** ქვეპროგრამის ფარგლებში, მომსახურების მომწოდებლად დარეგისტრირებული იყო 93 ცენტრი, მათ შორის, მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვებისთვის – 18 ცენტრი, 6–18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის – 48, 18 და უფროსი ასაკის შშმ პირებისთვის – 25 დღის ცენტრი, ხოლო მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შშმ ბავშვების – 2.
- ❖ სულ მომსახურება მიიღო 1980 ბენეფიციარმა, მათ შორის, მიტოვების რისკის ქვეშ მყოფმა – 609 ბავშვმა, 6–18 წლამდე - 785 შშმ ბავშვმა, 18 წელს ზემოთ - 530 შშმ პირმა, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე - 56 შშმ ბავშვმა.
- ❖ ინფორმაცია დღის ცენტრის ქვეპროგრამის ფარგლებში, წლის განმავლობაში მიღებული მომსახურების და ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ თვეების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილში.

თვე	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვი	477	495	491	499	497	501	476	200	467	438	453	449
6-დან 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი	591	590	485	597	586	613	619	456	614	618	623	607
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	463	477	479	480	482	491	484	361	491	485	496	497
6-დან 18 წლამდე ასაკის მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე ბავშვი	47	47	48	48	48	46	45	0	48	48	48	46
სულ ბენეფიციარი	1578	1609	1603	1624	1613	1651	1624	1017	1620	1589	1620	1599

სოციალური მომსახურების სააგენტოსთან გაფორმებული მემორანდუმები

- ❖ 2017 წლის 7 ივლისს სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოსა და უცხოური არასამეწარმეო პირის „არბაითერ-სამარიტერ-ბუნდის საქართველოს წარმომადგენლობას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია, სოციალური მომსახურების სფეროში თანამშრომლობა;
- ❖ 2017 წლის 17 აგვისტოს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია, მხარეთა შორის თანამშრომლობა ერთი მხრივ, თსუ ოკუპაციური თერაპიის სპეციალობის სტუდენტების პროფესიული განათლების ხელშეწყობის, ხოლო მეორეს მხრივ, სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი პირების ჯანმრთელობის გაუმჯობესებისათვის;
- ❖ 2017 წლის 10 აპრილს სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს, ორგანიზაციების: „აფხაზეთის ცენტრი“, „ბილიკი“ და „დივან ჩაილდ ფაუნდემენს“ შორის გაფორმდა

- მემორანდუმი, რომლის მიზანია, საგანმანათლებლო და დასაქმებისათვის ხელშემწყობი მომსახურების გაწევა სახელმწიფო მზრუნველობაში მყოფი ბავშვებისათვის;
- ❖ 2017 წლის 15 ნოემბერს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ასოციაცია - „ჩვენი სახლი-საქართველოს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები მოზარდებისა და ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების პროცესში დამატებითი მომსახურების გაწევა, 20 მოწვევადი ოჯახის გაძლიერება და სოციალური მუშაკების პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება;
 - ❖ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და ფონდ „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ შორის გაფორმდა მემორანდუმი.

სამუშაო ჯგუფები

- ❖ საქველმოქმედო - ჰუმანიტარული ფონდის „ბრეს საქართველოს“ მიერ ადმინისტრირებულ მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებულ მცირე საოჯახო ტიპის სახლთან დაკავშირებით:
 - პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს სოციალური პროგრამების და მომსახურებების დეცენტრალიზაციის საკითხს;
 - შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ კანონპროექტის განხილვაში მონაწილეობა (პარლამენტში მეორე მოსმენამდე);
 - საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში სამუშაო ჯგუფი, რომელიც განიხილავს სახელმწიფო სტრუქტურებში არსებული სოციალური მუშაკების ინსტიტუტის გაძლიერების საკითხებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფი;
 - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 254-ე მუხლში (პროსტიტუციის ხელშეწყობა) ცვლილებების შეტანის შესახებ სამუშაო ჯგუფი.
- ❖ გაეროს ბავშვთა ფონდის ფინანსური და ტექნიკური დახმარებით, ორგანიზაცია - „კონსალტინგი და აიტი ინოვაციების“ მიერ, სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, ხორციელდება პროექტი, ბავშვთა ჯანმრთელობის და სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვის მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის შექმნის მიზნით. სამუშაოების გარკვეული ნაწილი ჩატარებულია და რამდენიმე პროგრამა საპილოტე რეჟიმშია ჩაშვებული. სისტემის სრულად ამოქმედების შედეგად, მოხდება სხვადასხვა ბიზნეს პროცესების ოპტიმიზაცია და პროცედურების გამარტივება, როგორც სერვისებში ჩართული მომსახურების მომწოდებლების (პროვაიდერების), ასევე, ბენეფიციარებისათვისაც.
 - ❖ მიმდინარეობდა მუშაობა აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის საქართველოს (ფილიალი) წარმომადგენლობასა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს

შორის, ურთიერთთანამშრომლობის შესახებ განზრახულობათა ოქმის გაფორმებასთან დაკავშირებით, მცირე საოჯახო ტიპის სახლებსა და მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის საფასურის სრული ანაზღაურების თაობაზე.

- ❖ კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სამუშაო ჯგუფი.

ჩატარებული ტრენინგები

- 2017 წლის 23–27 იანვარი – ტრენინგი ჩაატარა საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდმა და ორგანიზაცია - ბავშვთა კეთილდღეობის ლიგამ, თბილისისა და აღმოსავლეთ საქართველოს (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მცხეთა-მთიანეთი) უფროსი სოციალური მუშაკებისთვის და იურისტებისთვის, ბავშვზე ძალადობის რეფერირების პროცედურებზე და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებულ საკითხებზე (23 მონაწილე), ხოლო 2017 წლის 6–10 თებერვალს, იგივე ტრენინგი ჩატარდათ ბათუმში, დასავლეთ საქართველოს (გურია, სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აჭარის ა/რ) და სამცხე-ჯავახეთის უფროსი სოციალური მუშაკებს და იურისტებს (13 მონაწილე); ყველა მონაწილემ გაიარა ტრენინგის მოდული, რომელიც მათ მისცემთ საშუალებას, მიღებული თეორიული ცოდნა გადასცენ და გაუზიარონ სააგენტოს სხვა თანამშრომლებს;
- 2017 წლის 24 მარტი - ტრენინგი (2016 წლის დეკემბრის თვეში დაწყებული ტრენინგის გაგრძელება) ჩაატარა ორგანიზაცია ააიპ „ვორლდ ვიჟენმა“, სოციალური მუშაკებისთვის თემაზე: შშმ (სპეციალური საჭიროების მქონე) ბავშვთა მინდობით აღზრდა (31 მონაწილე);
- 2017 წლის 27 მარტი - ტრენინგი ფსიქოლოგებისთვის ჩაატარა ორგანიზაციამ - საქართველოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ფონდი თემაზე: ბავშვთა და მოზარდთა სუიციდის პრევენცია და კრიზისული ინტერვენციის თავისებურებები (13 მონაწილე);
- 2017 წლის 10-11 აპრილს - ტრენინგი ფსიქოლოგებისთვის ჩაატარა ორგანიზაცია ააიპ „ვორლდ ვიჟენმა“ თემაზე: პოზიტიური დისციპლინირების შესახებ (11 მონაწილე);
- 2017 წლის 28 აპრილს - ტრენინგი ჩაატარა ორგანიზაციამ - „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“, სამცხე-ჯავახეთისა და შიდა ქართლის სოციალური მუშაკებისთვის თემაზე: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე (ქმედუნარიანობა, პერსონალური ასისტენტი, მიდგომები და ა.შ.) 21 მონაწილე.
- 2017 წლის 24-26 აპრილს - ტრენინგი ჩაატარა ორგანიზაციამ - „საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი“ სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და ბავშვთა დაცვის სხვა სპეციალისტებისთვის. ტრენინგის თემა იყო: სექსუალური ძალადობა ბავშვზე-კოორდინირებული რეაგირება ბავშვზე სექსუალური ძალადობის გამოვლენის შემთხვევებში, შემთხვევის შეფასება, ინტერვენციის დაგეგმვა და განხორციელება, კონსულტირებისა და თერაპიის მეთოდები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მშობლებთან ურთიერთობა, თანამშრომლობა სხვადასხვა დისციპლინის სპეციალისტებთან, სასამართლოსთვის დასკვნის მომზადება და ბავშვის ინტერესების დაცვა. ტრენინგზე მიღებული ცოდნის დასტურად, ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ ორენოვანი

- სერტიფიკატი და მარტინ ნისის წიგნი: „ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, დარღვეული დუმილის დადებითად გამოყენება“;
- 2017 წლის 4 მაისს - ტრენინგი ჩაატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, თბილისის სოციალური მუშაკებისთვის (11 მონაწილე) და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა – 21);
 - 2017 წლის 20 მაისს - ტრენინგი ჩაატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოციალური მუშაკებისთვის (15 მონაწილე) და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა – 25);
 - 2017 წლის 3 ივნისს - ტრენინგი ჩაატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, ჩაატარა ტრენინგი თბილისის სოციალური მუშაკებისა და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა – 22);
 - 2017 წლის 17 ივნისს, ტრენინგი ჩაატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, ჩაატარა ტრენინგი კახეთის რეგიონის სოციალური მუშაკებისთვის (10 მონაწილე) და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა – 20);
 - 2017 წლის 24 ივნისს, ტრენინგი ჩაატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, ჩაატარა ტრენინგი ქვემო ქართლის რეგიონის სოციალური მუშაკებისთვის და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა – 22);
 - 2017 წლის 26-28 ივნისს, ორგანიზაცია - „საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის“ მიერ ჩატარდა ფსიქოლოგებისთვის ტრენინგი თემაზე: „ადვოკატირება ბავშვთა და ახალგაზრდების დასაცავად“ (2 მონაწილე);
 - 2017 წლის ივნისიდან ნოემბრის თვის ჩათვლით, სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის“ მიერ სააგენტოს ყველა სოციალური მუშაკისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: - „ქუჩის ბავშვები და სოციალური მუშაობა“ (240 მონაწილე);
 - 2017 წლის 1 ივლისს, ტრენინგი ჩაატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, ჩაატარა ტრენინგი თბილისის სოციალური მუშაკებისთვის და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა -22);
 - 2017 წლის 8 ივლისს, ტრენინგი ჩაატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, ჩაატარა ტრენინგი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალური

- მუშაკებისა და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა - 22);
- 2017 წლის 19-20 ივლისს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ სოციალური მუშაკებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „მძიმე და ღრმა შშმ ბავშვებისთვის ალტერნატიული მომსახურების გაუმჯობესებისთვის პროფესიონალთა გადლიერება და ეფექტური სოციალური ადვოკატობის უნარ-ჩვევების განვითარება“ (16 მონაწილე);
 - 2017 წლის 21-24 ივლისს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ აჭარის სოციალური მუშაკებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „შშმ პირთა პოლიტიკისა და სოციალური ჩართულობის განვითარების ხელშეწყობა აჭარის რეგიონში (7 მონაწილე);
 - 2017 წლის 26 ივლისს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ თბილისის საბჭოს თავმჯდომარეებისა და საბჭოს წევრებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „შშმ ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა“ (25 მონაწილე);
 - 2017 წლის 27 ივლისს, საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ რეგიონების საბჭოს თავმჯდომარეებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „შშმ ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა“ (10 მონაწილე);
 - 2017 წლის 31 ივლისი - საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ უფროსი სოციალური მუშაკებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „შშმ ახალგაზრდების სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა“ (19 მონაწილე);
 - 2017 წლის 1-2 სექტემბერს, სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ სოციალური მუშაკებისთვის ჩატარა ტრენინგი თემაზე: „მასწავლებლები და სოციალური მუშაკები უსაფრთხო ოჯახისთვის“ (2 მონაწილე);
 - 2017 წლის 31 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით, ასოციაციამ - „ჩვენი სახლი საქართველო“, სოციალური მუშაკებისთვის ჩატარა ტრენინგი თემაზე: „მოზარდების დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების და მშობლებისთვის მშობლობის უნარების განვითარება“ (6 მონაწილე);
 - 2017 წლის 3-5 სექტემბერს, სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ სოციალური მუშაკებისთვის ჩატარა ტრენინგი თემაზე: „მასწავლებლები და სოციალური მუშაკები უსაფრთხო ოჯახისთვის“ (2 მონაწილე);
 - 2017 წლის 8 სექტემბერი - ორგანიზაციამ „ვორლდ ვიჟენ“ სოციალური მუშაკებისთვის ჩატარა ტრენინგი თემაზე: სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვთა მინდობით აღზრდის საკითხები (15 მონაწილე);
 - 2017 წლის 19-23 სექტემბერი და 6 ოქტომბერი - ორგანიზაციამ „ვორლდ ვიჟენ“ სამინისტროსა და სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების თანამშრომლებისთვის ჩატარა ტრენინგების გადამზადების ტრენინგი შვილად ამყვანი პირების დატრენინგების მიზნით - „მოსამზადებელი პროგრამა შვილად ამყვანათათვის“ (16 მონაწილე);
 - 2017 წლის 7 ოქტომბერს, ტრენინგი ჩატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, იმერეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის სოციალური მუშაკებისა და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა

- მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა – 22);
- 2017 წლის 12 ოქტომბერს, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და I -ის ფინანსური მხარდაჭერით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლების, სოციალური მუშაკების, პროკურორების და გამომძიებლებისთვის ქ. ბათუმში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „სექსუალური ექსპლუატაცია“ (5 მონაწილე სააგენტოდან);
 - 2017 წლის 28 ოქტომბერს ტრენინგი ჩატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, თბილისის სოციალური მუშაკებისა და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა - 20);
 - 2017 წლის 27-28 ოქტომბერს, ორგანიზაციამ „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრმა“ ჩატარა ტრენინგი მცხეთა-მთიანეთის რეგიონის სოციალური მუშაკებისთვის თემაზე: „ოჯახების გაძლიერება“, რომლის მიზანია, ოჯახების გაძლიერება და ბავშვთა მიტოვების პრევენცია, ასევე, რეგიონში სოციალური მუშაობის გაძლიერება (14 მონაწილე);
 - 2017 წლის 30-31 ოქტომბერს და 1 ნოემბერს, - თბილისის, 6-8 ნოემბერს - ზუგდიდის, 18-20 ნოემბერს - ბათუმის სოციალური მუშაკების, იურისტებისა და ფსიქოლოგებისათვის, ასევე, სააგენტოს თანამშრომლებისთვის საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდმა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ადვოკატირება ბავშვთა და ახალგაზრდობის დასაცავად“ ფარგლებში, ჩატარა ტრენინგი თემაზე: „ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვი - გამოკითხვა, გამოვლენა, რეაგირება, პრევენცია (სულ - 50 მონაწილე);
 - ჩატარდა რეგიონალური სემინარი ორგანიზებული საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ, ბავშვთა საერთაშორისო კათოლიკური ბიუროს მიერ კოორდინირებული საერთაშორისო პროგრამის „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის“ საკითხებზე;
 - 2017 წლის 8-10 ნოემბერს, სახალხო დამცველმა ჩატარა ტრენინგი სოციალური მუშაკებისთვის თემაზე: „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა მისი საპროცესო წარმომადგენლობის დროს სამართალწარმოების პროცესში“ (28 მონაწილე);
 - 2017 წლის 21 ოქტომბერს, ტრენინგი ჩატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, იმერეთის რეგიონის სოციალური მუშაკებისთვის (15 მონაწილე) და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა – 30);
 - 2017 წლის 28 ოქტომბერს, ტრენინგი ჩატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, თბილისის სოციალური მუშაკებისთვის (30 მონაწილე) და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა -50);
 - 2017 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში ტრენინგი ჩატარა ორგანიზაციამ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი“, თემაზე: სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელთა

(სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები) ცოდნის გაზრდა და უნარ-ჩვევების გაუმჯობესება შემდეგი მიმართულებებით:

- ბავშვზე ძალადობის (განსაკუთრებით, ოჯახში ძალადობის) შემთხვევების იდენტიფიცირება და პრევენციული ზომების განსაზღვრა ძალადობისგან ბავშვის დასაცავად;
- ძალადობის მსხვერპლი/რისკის ქვეშ მყოფი ბავშვის, ახალგაზრდის და მათი ოჯახების საჭიროებების გამოვლენა, ფსიქო-სოციალური მდგომარეობის შეფასება; მიზანმიმართული ინტერვენცია და მულტისექტორული თანამშრომლობა;
- ძალადობის მსხვერპლ/მოწმე ბავშვთან ურთიერთობა და მისი გამოკითხვა.
 - ტრენინგი ჩატარდა: თბილისში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და აჭარაში (60 მონაწილე);
 - 2017 წლის ოქტომბრის თვეში, მომსახურების მიმწოდებლებისა და მულტიდისციპლინური გუნდის (მ.შ. სოციალური მუშაკებისთვის) წევრებისთვის ტრენინგი ჩატარა ორგანიზაციამ - „გადავარჩინოთ ბავშვები“ თემაზე: „მულტიდისციპლინური გუნდური მიდგომა, შემთხვევის მართვა, მომსახურების ინდივიდუალური გეგმისა და ბავშვის განვითარების მონიტორინგი და მომსახურების განვითარების მიზნებისა და აქტივობების შემუშავება“ (10 მონაწილე);
 - 2017 წლის 28 ოქტომბერს, ტრენინგი ჩატარა ორგანიზაციამ - ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელი, თბილისის სოციალური მუშაკებისთვის (21 მონაწილე) და შსს-ს თანამშრომლებისთვის თემაზე: ოჯახში ძალადობისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტებზე პოლიციის და სოციალური მომსახურების სააგენტოს კოორდინაცია (მონაწილეთა საერთო რაოდენობა - 41);
 - 2017 წლის ნოემბრის თვეში, სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ სოციალური მუშაკებისთვის ჩატარა ტრენინგი თემაზე: „მძიმე და ღრმა შშმ ბავშვებისთვის ალტერნატიული მომსახურების გაუმჯობესებისთვის პროფესიონალთა გაძლიერება და ეფექტური სოციალური ადვოკატობის უნარ-ჩვევების განვითარება“ (43 მონაწილე);
 - 2017 წლის 4-5 ნოემბერს, ორგანიზაციამ - „ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი პერსონა“ სააგენტოს ფსიქოლოგებისთვის ჩატარა ტრენინგი თემაზე: „ფსიქოდიაგნოსტიკური მეთოდის ათვისება“;
 - 2017 წლის 4-6 დეკემბერს, ორგანიზაციამ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდმა“ ფრანგი ექსპერტის დახმარებით, ჩატარა ტრენინგი თემაზე: „ბავშვზე ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირება და რეაგირება“ (დეპარტამენტიდან 3 მონაწილე);
 - 2017 წლის 7-8 დეკემბერს, ორგანიზაციამ - „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი“ გურიის რეგიონის სოციალური მუშაკებისთვის და ფსიქოლოგისთვის ჩატარა ტრენინგი თემაზე: „გურიის რეგიონში სამოქალაქო საზოგადოების ადგილობრივი ორგანიზაციებისა და სოციალური მუშაკების როლის გაძლიერება ოჯახების მხარდაჭერის მიზნით“ (5 მონაწილე);
 - 2017 წლის 5-6 დეკემბერს, ჩატარდა ტრენინგი თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის პერსონალისა და სოციალური მუშაკებისთვის (4 მონაწილე).

იხ. დანართი: N3

7. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი

- ❖ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამამ“, არსებობის განმავლობაში, განვლო მოდიფიკაციის არაერთი ეტაპი და ამჟამად სტაბილურად ფუნქციონირებს. თუკი პროგრამის “პირველი ტალღის” მიზანი იყო ხელმისაწვდომობის გაზრდა, რაც წარმატებით შესრულდა, მეორე ტალღის პრიორიტეტად განისაზღვრა სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხარჯთეფექტიანობა (ოპტიმალური ფასწარმოქმნა), მათ შორის, შერჩევითი კონტრაქტირების მეშვეობით. დასახული ამოცანების განხორციელება მოითხოვს პროგრამის ადმინისტრირების შემდგომ სრულყოფასა და ეფექტიანობის ამაღლებას, პროვაიდერებისადმი განსაზღვრული მოთხოვნების დაწესებასა და კლინიკური მონიტორინგის მექანიზმების გაძლიერებას, სამედიცინო მომსახურების სტანდარტების იმპლემენტაციასა და ხარისხის მართვის პროგრესული სისტემის ჩამოყალიბებას, აღრიცხვა-ანგარიშგების მოქმედი ელექტრონული სისტემის სრულყოფასა და გამართულ ფუნქციონირებას, პროგრამის ლოჯისტიკური კომპონენტის სათანადო უზრუნველყოფას, ასევე პროცესების კონტროლისა და რეგულირების გაძლიერებას სამინისტროსა და სააგენტოს შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურების მიერ მინიჭებული კომპეტენციის სრულყოფილად და შეთანხმებულად განხორციელებით.
- ❖ **2017 წლის 1 მაისიდან**, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში, დიფერენცირებული (მოსარგებლის შემოსავლის მიხედვით) პაკეტი ამოქმედდა, პროგრამული დაფინანსების დიფერენცირებული თანაგადახდით. ამჟამად, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლენი არიან:
 - I. საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის, პირადობის ნეიტრალური მოწმობის, ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები; ასევე, საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირები, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე და თავშესაფრის მაძიებელი პირები (გარდა 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კერძო სადაზღვევო სქემებში ჩართული პირებისა, საბიუჯეტო სახსრებით დაზღვეული პირებისა და იმ ბრალდებული/მსჯავრდებული პირებისა, რომლებიც იმყოფებიან პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში), რომელთა სამედიცინო მომსახურების პირობები განსაზღვრულია დანართი N1.1-ით;
 - i. პირები, რომელთა ოჯახები რეგისტრირებულია „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მინიჭებული აქვთ 70 000-დან-100 000 სარეიტინგო ქულა;
 - ii. 6-დან 17 წლის (ჩათვლით) ასაკის პირები;
 - iii. წლიური 40,000 ლარზე ნაკლები და თვიური 1000 ლარი და მეტი შემოსავლის მქონე პირები;
 - iv. თვიური 1000 ლარზე ნაკლები შემოსავლის მქონე ან სხვა პირები.
 - პირებს, რომელთა წლიური შემოსავალი 40 000 ლარი და მეტია, შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მომსახურება პროგრამის მხოლოდ შემდეგი კომპონენტების ფარგლებში:

- მშობიარობა/საკეისრო კვეთა და მაღალი რისკის ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა სტაციონარული მომსახურება.
- პროგრამით გათვალისწინებული სრული მომსახურებით ისარგებლებენ საპენსიო ასაკის პირები, მათი შემოსავლისა და დაზღვევის სტატუსის მიუხედავად.
 - თუ 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კერძო სადაზღვევო სქემაში ჩართულ პირს ამა თუ იმ მიზეზით შეუწყდა სადაზღვევო კონტრაქტი, ამ შემთხვევაში, მოქალაქე ჩაერთვება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში და გარდამავალ პერიოდში მიიღებს კონკრეტული ტიპის შესაბამისი ე. წ. მინიმალური პაკეტის პირობებით გათვალისწინებულ სამედიცინო მომსახურებას. 6 თვის შემდეგ შეეძლება ისარგებლონ კატეგორიის შესაბამისი მომსახურების პირობებით. i და ii კატეგორიის ბენეფიციარებს შეუძლიათ ისარგებლონ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ე. წ. საბაზისო პაკეტით, მიუხედავად დაზღვევის სტატუსისა.
- II. ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანები - სამედიცინო მომსახურების პირობები განსაზღვრულია დანართი N1.4-ით (ვეტერანების პაკეტი);
- III. სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ყოფილი მოსარგებლეები, რომელთა სამედიცინო მომსახურების პირობები განსაზღვრულია დანართი N1.3-ის პირველი პუნქტით (მიზნობრივი ჯგუფი);
- IV. „ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, 60 წლის და ზემოთ ასაკის ქალების და 65 წლის და ზემოთ ასაკის მამაკაცების (საპენსიო ასაკის მოსახლეობა), სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის მიზნით გასატარებელი ღონისძიებებისა და სადაზღვევო ვაუჩერის პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 7 მაისის №165 დადგენილებით დამტკიცებული ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამების ყოფილი მოსარგებლეები რომელთა სამედიცინო მომსახურების პირობები განსაზღვრულია დანართი N1.3-ის მე-2 პუნქტით (ასაკობრივი ჯგუფი).

**2017 წელს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის
ზედამხედველობის გაძლიერებისა და ხარჯების სტაბილიზაციის კუთხით
განხორციელდა რიგი ღონისძიებები:**

- ❖ 2017 წლის 1 მაისიდან, კრიტიკული მდგომარეობები/ინტენსიური თერაპიით განსაზღვრული მომსახურების ანაზღაურება ხდება განმახორციელებლის მიერ დადგენილი ტარიფის ფარგლებში. ამასთან, კრიტიკული მდგომარეობების/ინტენსიური თერაპიის საწოლებზე

- უწყვეტად 14 დღემდე, 14-21, 21-45 და 45 დღეზე მეტი დაყოვნება ფინანსდება განსხვავებული ტარიფით.
- ❖ **2017 წლის 1 ნოემბრიდან** განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით დამტკიცებული დანართით N1.2-ით განსაზღვრული გადაუდებელ მდგომარეობათა ნუსხის ოპტიმიზაცია (მსგავსი ნოზოლოგიური კოდების გაერთიანებით) და დადგინდა შესაბამისი ტარიფები (დადგენილებით დამტკიცდა).
 - ❖ განისაზღვრა გადაუდებელი თერაპიული მდგომარეობების სრული ტარიფი ნოზოლოგიურ კოდზე საშუალო წლიური დაყოვნების მიხედვით (01.11.2017წ.-მდე ანაზღაურება ხდებოდა საწოლდღის ხარჯის მიხედვით არაუმეტეს 5 საწოლდღისა) და ანაზღაურება განხორციელდება დადგენილებით განსაზღვრული ტარიფის ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯის მიხედვით.
 - ❖ დაიხვეწა პროგრამული შემთხვევების მონიტორინგის განხორციელებისთვის შემთხვევების შერჩევის სისტემა, რომელიც დაფუძნებულია არსებული რისკების შეფასებასა და შერჩევის ობიექტურ კრიტერიუმებზე წინასწარ დადგენილი პრიორიტეტების ფარგლებში.
 - ❖ მიმდინარეობს მუშაობა პროგრამაში დაწესებულების ტიპის, სერვისების ხასიათისა და მოცულობის განსაზღვრული პირობებით ჩართვის კუთხით:
 - 2017 წლის 1 მარტიდან, თბილისში, ქუთაისში და ბათუმში პერინატალური სერვისის მიმწოდებლებთან გაფორმდა სელექტიური კონტრაქტი;
 - 2018 წლის 1 იანვრიდან, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტში, თბილისში, ქუთაისსა და ბათუმში **გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტით მიმწოდებლები უნდა ფლობდნენ გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების (EMERGENCY) და რეანიმაციის სანებართვო დანართს;**
 - ❖ 2017 წლის 1 მარტიდან ქ. თბილისში, ქ. ქუთაისში და ქ. ბათუმში გეგმური ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით მიმწოდებელთათვის განისაზღვრა პროგრამაში მონაწილეობის გარკვეული კრიტერიუმები (გეგმური ამბულატორიული მომსახურების მიმწოდებელს უფლება ექნება გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში მომსახურება გაწიოს მხოლოდ გარკვეული მცირე ქირურგიული ოპერაციებისა და მანიპულაციების შესაბამისად, რაც შეამცირებს არაკვალიფიციური და არასრული სერვისების მიწოდებას ზემოაღნიშნული კომპონენტის ფარგლებში).
 - ❖ 2017 წლის 1 მარტიდან, პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებისთვის უნიფიცირდა გეგმური ამბულატორიული მომსახურების მოცულობა.
 - ❖ 2017 წლის 1 მარტიდან მოხდა გადაუდებელი ამბულატორიული მდგომარეობების ნუსხის ოპტიმიზაცია.
 - ❖ 2017 წლის 27 იანვარს პროგრამაში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც მიზნად ისახავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის ამაღლებას, მის მიმართ გამოყენებული საჯარიმო სანქციების სამართლიან და ეფექტურ მართვას.
 - ❖ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მოსარგებლებს უფლება მიეცათ, უარი თქვან პროგრამულ მომსახურებაზე. შესაბამისად, გაიწერა მოსარგებლების სიიდან მათი ამოღების და შემდგომში ჩართვის წესი.
 - ❖ 2018 წლის 1 იანვრიდან, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში გეგმური სამედიცინო მომსახურების მისაღებად (გეგმური ქირურგიული ოპერაციები, კარდიოქირურგია, ქიმიო და ჰორმონოთერაპია, სხივური თერაპია, საკეისრო კვეთა) ინდივიდს შესაძლებლობა

ექნება, მომსახურება მიიღოს უფრო გამარტივებული გზით: პროგრამის მიმწოდებელისათვის მიმართვისა და პირის მიერ პროგრამის ფარგლებში განსაზღვრული მოსარგებლის კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, მიმწოდებელს შეეძლება, სამედიცინო საჭიროების მიხედვით, სპეციალურ ელექტრონულ სისტემაში მოახდინოს შესაბამისი ფორმის განაცხადის (რეკვიზიტები, სამედიცინო საჭიროების დამადასტურებელი ცნობა (ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ფორმა №IV-100/ა, კალკულაცია) შევსება, შესაბამისად, **პროგრამის ბენეფიციარს შეეძლება პროგრამის სერვის ცენტრის გვერდის ავლით მიიღოს გეგმური სამედიცინო მომსახურება**. სერვის ცენტრებში მიმართვა საჭირო იქნება მხოლოდ ქიმიო და ჰორმონოთერაპიების მატერიალიზებული ვაუჩერის მისაღებად. აღნიშნულ ცვლილებასთან ერთად, გაძლიერდება მონიტორინგის რგოლი უშუალოდ დაგეგმილი ინტერვენციის პერიოდში ზედამხედველობის განხორციელების მიმართებით.

- ❖ გეგმური ამბულატორიული მომსახურებისთვის 2014 წლის 1 აპრილამდე დარეგისტრირებული მოსარგებლების მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტით ხელახალი რეგისტრაციის ვადად განისაზღვრა 2018 წლის 1 აპრილი.
- ❖ 2017 წლის განმავლობაში, პროგრამის ფარგლებში დაფიქსირდა 1 200 000-ზე მეტი შემთხვევა.
- ❖ გეგმური ამბულატორიული მომსახურების სერვისით სარგებლობს 3 200 000-მდე ადამიანი.
- ❖ პროგრამის ზედამხედველობის პირველი ორი ეტაპის: მონიტორინგისა და ინსპექტირების განმახორციელებელია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტი. სამედიცინო შემთხვევის/მკურნალობის ეპიზოდის ცალკეული პროგრამული შემთხვევის შესახებ მონაცემების მონიტორინგის კვალობაზე, ფიქსირდება მონიტორინგის შედეგები: ასე მაგალითად, 2016 წელს გადამოწმდა პროგრამის ფარგლებში დაფიქსირებული შემთხვევების 30%-მდე (ამასთან, შემოწმდა დაფიქსირებული გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების შემთხვევების 45%-ზე მეტი) - დაფიქსირებული 1 325 766 შემთხვევიდან გადამოწმდა 357 432 შემთხვევა, პროგრამის მარეგულირებელი ნორმების დარღვევის გამო სრულად არ ანაზღაურდა 9403 შემთხვევა, ხოლო 4387 მკურნალობის ეპიზოდის ფარგლებში ცალკეულ პროგრამულ შემთხვევას (კოდს) მიენიჭა „არ ექვემდებარება ანაზღაურებას“ სტატუსი. მიმდინარე წლის განმავლობაში დაფიქსირდა 1 200 000-ზე მეტი შემთხვევა, განხორციელდა 380 000-მდე შემთხვევის მონიტორინგი; შემოწმებული შემთხვევებიდან სრულად არ ანაზღაურდა 9000-ზე მეტი შემთხვევა, ხოლო 4600-ზე მეტ ცალკეულ პროგრამულ შემთხვევას განესაზღვრა სტატუსი „არ ანაზღაურდება“. გარდა ამისა, მიმდინარე მონიტორინგის დროს კრიტიკული მდგომარეობების პერმანენტული ზედამხედველობის პროცესში იზღუდება მიმწოდებლების მიერ ასანაზღაურებლად დამატებითი საწოლდღეების ხარჯების წარმოდგენის შესაძლებლობა. აღნიშნულის დასტურია მიმწოდებლების მიერ ასანაზღაურებლად წარმოდგენილი თანხების დინამიკა.
- ❖ ზედამხედველობის შემდეგ ეტაპზე, საანგარიშგებო დოკუმენტაციის **ინსპექტირებისას** ხდება: წარდგენილი სამედიცინო და ფინანსური დოკუმენტაციის შედარება მიმწოდებლის მიერ შეტყობინებისას და ანგარიშგებისას დაფიქსირებულ მონაცემებთან და მონიტორინგის შედეგებთან (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შესრულებული სამუშაოს ინსპექტირების პროცესი განსაზღვრულია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მარეგულირებელი აქტებით. საანგარიშგებო დოკუმენტაციის დამუშავებისას (ინსპექტირება) ფიქსირდება შემთხვევის/მკურნალობის ეპიზოდის ცალკეული პროგრამული შემთხვევის ანაზღაურების

სტატუსი. 2016 წელს, პროგრამის ფარგლებში, ანაზღაურდა 677 552 415.41 ლარი. პროგრამის პირობების დარღვევის გამო, ცალკეული პროგრამული შემთხვევებისა და მკურნალობის სრული ეპიზოდის ფარგლებში, არ ანაზღაურდა 25 მლნ. ლარზე მეტი ჯამურად, რაც წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხის დაახლოებით 4%-ს შეადგენს. 2017 წელს, პროგრამის ფარგლებში, ანაზღაურებული თანხა შეადგენს 706 039 169 ლარს, დაკორექტირებული თანხის ოდენობა აღემატება 25 მლნ. ლარს.

- ❖ საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 იანვრის N51 დადგენილების მე-19¹ მუხლის (საჯარიმო სანქციების გადახდის ადმინისტრირება) ამოქმედების შემდგომ, ამ ეტაპზე, საბიუჯეტო სახსრების დანაზოგი 4 მლნ. ლარზე მეტია.
- ❖ მოსარგებლეთა რაოდენობის, თავისუფალი არჩევანის, ხარისხიანი სერვისების რაოდენობის ზრდის, ვალუტის კურსის ცვლილების მიუხედავად, ბოლო წლის განმავლობაში შეინიშნება ხარჯების სტაბილიზაცია. ასევე მცირედ მერყეობს ხარჯი ერთ შემთხვევაზე, როგორც ერთიანად, ასევე - ცალ-ცალკე, თითოეული კომპონენტის ფარგლებში. მიმდინარე წლის განმავლობაში, სტაბილიზდა და შემცირების ტენდენცია შეინიშნება მიმწოდებლების მიერ ასანაზღაურებლად წარმოდგენილი თანხების მხრივ (იხ. დანართი N4).

ზემოაღნიშნული ცვლილებების შედეგად, აღინიშნება ხარჯების სტაბილიზაცია მთლიანად პროგრამისა და თითოეული კომპონენტის ფარგლებში, თუმცა, კვლავ სახეზეა მნიშვნელოვანი გამოწვევები:

- ❖ ყოველთვიურად იზრდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამაში ჩართული დაწესებულებების რაოდენობა, ფართოვდება უკვე ჩართული დაწესებულებების მიერ მოწოდებული სერვისების არეალი, რაც თავისთავად იწვევს მოსარგებლეთა მხრიდან მოთხოვნის და შესაბამისად, მიწოდების გაზრდას;
- ❖ სუსტი პირველადი ჯანდაცვის რგოლი, რაც გარკვეულწილად განაპირობებს გადაუდებელი სამედიცინო შემთხვევების ზრდას და ჰოსპიტალური სერვისების უტილიზაციის ზრდას;
- ❖ ჯანდაცვაზე სახელმწიფო დანახარჯების მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, იგი კვლავ ჩამორჩება საშუალოზე მაღალი განვითარების ქვეყნებისა და რეგიონის ანალოგიური ქვეყნების მაჩვენებლებს;
- ❖ პრობლემას წარმოადგენს გაუმართლებელი/არამიზნობრივი ინტერვენციები. არც თუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც ხანდაზმულ ან/და ინოპერაბილურ პაციენტს უტარდება ოპერაციული მკურნალობა, რასაც თან მოსდევს ინტენსიური მკურნალობა/მოვლით გახანგრძლივებული ჰოსპიტალიზაცია ან/და ლეტალური გამოსავალი. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია, ხანდაზმულ პაციენტებთან ჩატარებული რთული კარდიოქირურგიული ოპერაციები და ავთვისებიანი სიმსივნის ტერმინალურ სტადიაზე ჩატარებული „რადიკალური“ ოპერაციები;
- ❖ ამ ეტაპზე, ამ კუთხით ინტერვენციული კარდიოლოგიის შემთხვევების ინსპექტირების ეტაპზე, მაისის თვიდან, აქტიურად არის ჩართული ექსპერტი. ამ ჩართულობის შედეგად, გამოვლინდა არამიზნობრივი ინტერვენციები (30-მდე), ასევე შემთხვევები, როდესაც პროგრამულად მოთხოვნილი ინტერვენციის მასშტაბი წარმოდგენილი დოკუმენტური მასალით არ დასტურდება (20-მდე);

- ❖ დიდ როლს თამაშობს ჯანმრთელობის დაცვის ბაზრისათვის დამახასიათებელი ინფორმაციის ასიმეტრია და ეროვნული, ხარჯთეფექტური გაიდლაინების/პროტოკოლების მწირი რაოდენობა.

**პროგრამის შემდგომი სრულყოფის, ხარჯების სტაბილიზაციისა და
ხარჯთეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს
მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით:**

- ❖ მიმწოდებელთა პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების გამკაცრება/სრულყოფა;
- ❖ სელექტიური კონტრაქტირება, პირველ რიგში, გადაუდებელი სტაციონარული მომსახურების კომპონენტში;
- ❖ საყოველთაო ჯანდაცვის პროვაიდერების ანაზღაურების მექანიზმების და თანაგადახდების წესის სტანდარტიზება (DRG, P4P);
- ❖ ხარჯთეფექტური მედიკამენტით მოცვის გაზრდა, მათ შორის, ქრონიკული მდგომარეობების სამკურნალო მედიკამენტებით;
- ❖ კერძო ან ნებაყოფლობითი დაზღვევის მოთხოვნის სტიმულირება;
- ❖ საყოველთაო ჯანდაცვისა და ჯანდაცვის სხვა სახელმწიფო პროგრამებში პროვაიდერების ანაზღაურების მექანიზმების გამარტივებით SSA-ს ადმინისტრირების გამარტივება და გამჭვირვალობის და აღქმადობის გაზრდა საზოგადოებისა და პაციენტებისთვის;
- ❖ არამიზნობრივი/არამართებული და მზარდი გადაუდებელი ინტერვენციების პრევენციის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხის მართვის მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება ეროვნული გაიდლაინების ბაზაზე და კონტროლის მექანიზმის რაციონალიზაცია საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული სტანდარტების გამოყენებით:
- სამკურნალო დაწესებულებების რეგულირების მექანიზმების გაუმჯობესება, მათ შორის, სალიცენზიო და სანებართვო პირობებისა და აკრედიტაციის მექანიზმების სრულყოფა;
- უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვა და შესაბამისი სტიმულირების მექანიზმის ამოქმედება სამედიცინო პერსონალის მოტივაციისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
- პაციენტთა უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის გაძლიერება სამედიცინო შეცდომების სისტემური მართვისა და დავების განხილვის ალტერნატიული მექანიზმების შექმნით;
- კლინიკური პრაქტიკის სტანდარტების რეგულარული განახლება და დანერგვა;
- პჯდ ექიმების გადამზადება და მოტივაციის სისტემის შექმნა;
- SSA-ს ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება ყოველდღიური ოპერაციების მხარდაჭერისთვის.

8.ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი

- ❖ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დეპარტამენტი, მის სტრუქტურაში შემავალი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების, მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის და C ჰეპატიტის მართვის სამმართველოებით, უზრუნველყოფს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირებასა და მართვას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.

კერძოდ:

- ❖ დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილია პროგრამების განხორციელების ზედამხედველობა, ანალიზი, ადმინისტრირება, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, კონტრაქტორების მიერ გაწეული მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტების კომპიუტერული აღრიცხვა–დამუშავება, დაწესებულებებისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობის განსაზღვრა. ამასთან, დეპარტამენტის მიერ ხორციელდება პროგრამების ფარგლებში, მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სააგენტოს სტრუქტურული და/ან ტერიტორიული ერთეულების მეთოდური მითითებების მომზადება, დეპარტამენტში შემოსული კორესპონდენციის განხილვა და პასუხების მომზადება; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, საჯარო ინფორმაციის მომზადება და გაცემა. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების ადმინისტრირებასთან და დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (ბრძანებები, ინსტრუქციები, წესები და სხვ.) მომზადება.
- ❖ ყოველდღიურად ხორციელდება „ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შერჩევითი მონიტორინგის წესის დამტკიცების შესახებ“ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის ბრძანების შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემთხვევათა შერჩევითი მონიტორინგი.
- ❖ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფარგლებში, მომსახურების დაფინანსება განხორციელდა „2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 და „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებებით დამტკიცებული, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ადმინისტრირებად, სხვადასხვა ჯანდაცვითი პროგრამების ფარგლებში.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების სამმართველო

- ❖ „C ჰეპატიტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, ანაზღაურდა 35526 ბენეფიციარისთვის ჩატარებული, მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი კვლევებისა და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისთვის აუცილებელი კვლევების ღირებულება. 2017 წლის მდგომარეობით, მიმწოდებლად დარეგისტრირებული იყო 31 დაწესებულება.

ინფექციური დაავადებების მართვა:

- ❖ პროგრამის მიზანია, მოსახლეობაში გადამდებ დაავადებათა სტაციონარული მკურნალობის ხელმისაწვდომობის გაზრდა. პროგრამის ფარგლებში გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხდებოდა თანაგადახდის პრინციპის გამოყენებით, სხვადასხვა ასაკის პირებისა და საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფარგლებში ინტეგრირებული მიზნობრივი ჯგუფებისთვის.
- ❖ 2016 წლიდან, ასაკით პენსიონერი ვეტერანის და მკვეთრად გამოხატული შშმ ვეტერანისთვის ინფექციური დაავადებების მართვის ფარგლებში გაწეული სამედიცინო მომსახურება ხორციელდებოდა პაციენტის მხრიდან თანაგადახდის გარეშე. 2017 წელს დაფიქსირდა და პროგრამის ფარგლებში ანაზღაურდა 19962 შემთხვევა, მომსახურება მიიღო 18760-მა ბენეფიციარმა.

აივ-ინფექცია/შიდსი:

- ❖ 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, აღნიშნული პროგრამის ამბულატორიული კომპონენტის ფარგლებში, მომსახურება მიიღო 4 040-მა ბენეფიციარმა (ვიზიტი 47 939), ხოლო სტაციონარული კომპონენტის ფარგლებში დაფიქსირდა 712 შემთხვევა (519 ბენეფიციარი).

ნარკომანიით დაავადებულ პირთა მკურნალობა:

- ❖ 2017 წლის ივლისის თვიდან პროგრამას დაემატა „ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის უზრუნველყოფის“ კომპონენტი, რომლის მიზანია, წამალდამოკიდებულ პირთა სოციალური ინტეგრაცია/რესოციალიზაცია, ნარკოტიკების მოხმარებასთან დაკავშირებული ზიანის შემცირება, წამალდამოკიდებულ პირთა და მათი ოჯახის წევრების კონსულტირება და სხვა.
- ❖ ამავე პერიოდიდან, პროგრამის ფარგლებში, ხორციელდება N2 და N8 პენიტენციურ დაწესებულებებში ჩამანაცვლებელი ფარმაცევტული პროდუქტით ხანმოკლე და ხანგრძლივი დეტოქსიკაციის უზრუნველყოფა, სადაც მომსახურება მიიღო 262-მა პირმა.
- ❖ 2017 წლის 1 ივლისიდან, "ჩანაცვლებითი თერაპიის განხორციელების" კომპონენტის ფარგლებში, მომსახურება ფინანსდება სრულად და აღარ ითვალისწინებს თანაგადახდას პაციენტის მხრიდან. 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, მომსახურება მიიღო 7 578-მა პირმა.
- ❖ 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, „სტაციონარული დეტოქსიკაცია და პირველადი რეაბილიტაციის“ კომპონენტის ფარგლებში, რეგიტობის დაცვით, მომსახურება მიიღო 570-მა ბენეფიციარმა. ალკოჰოლის მიღებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების სტაციონარული მომსახურების“ კომპონენტის ფარგლებში, დაფიქსირდა 427 პირი.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა:

- ❖ „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის „ანტენატალური მეთვალყურეობის“ კომპონენტის ფარგლებში, ორსულთა დარეგისტრირება და მოსარგებლედ ცნობა ხორციელდება „ორსულთა და ახალშობილთა ჯანმრთელობის მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში“. 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, „ანტენატალური მეთვალყურეობის“ ფარგლებში, მომსახურება მიიღო 60 969-მა ბენეფიციარმა (განხორციელდა 146 360 ვიზიტი), „გენეტიკური პათოლოგიების ადრეული გამოვლენა“ – 3 909 ბენეფიციარმა (შემთხვევა - 4 066), „ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიაზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე“ – 52030-მა ბენეფიციარმა (შემთხვევა - 53 671).

ტუბერკულოზის მართვა:

- ❖ პროგრამის ბიუჯეტი მზარდია წინა წლებთან შედარებით. 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, ამბულატორიული კომპონენტის ფარგლებში, პროგრამით მომსახურება მიიღო 19 255-მა ბენეფიციარმა (შემთხვევა - 37 642), ხოლო სტაციონარული მომსახურების ფარგლებში - 1 889-მა ბენეფიციარმა (საწოლდღე - 84 022).

დიაბეტის მართვა:

- ❖ დეპარტამენტისა და რეგიონალური სამხარეო ცენტრების მიერ გაცემული თანხმობის წერილების საფუძველზე, 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, აღნიშნული პროგრამის „სპეციალიზებული ამბულატორიული დახმარების“ ფარგლებში, მომსახურება მიიღო 5 120-მა შაქრიანი (ინსულინომომხმარებელი, არაინსულინომომხმარებელი) და უშაქრო დიაბეტით დაავადებულმა პირმა. „დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა მომსახურების“ ფარგლებში, მომსახურება მიიღო 1016-მა ბენეფიციარმა.

ფსიქიკური ჯანმრთელობა:

- ❖ 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, აღნიშნული პროგრამის „ამბულატორიული მომსახურების“ კომპონენტის ფარგლებში, მომსახურება მიიღო 19 940-მა ბენეფიციარმა, ბავშვთა ფსიქიკური ჯანმრთელობის კომპონენტის ფარგლებში, 385-მა პირმა, „ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის“ კომპონენტის ფარგლებში - 92-მა პირმა, „სტაციონარული მომსახურება - ბავშვთა და მოზრდილთა ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურება“ კომპონენტის ფარგლებში - 4 693-მა ბენეფიციარმა, „ფსიქიკური დარღვევების მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში კი 105-მა პირმა. „თემაზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურების“ კომპონენტის ფარგლებში, მომსახურება მიეწოდა 128 ფსიქიკური დარღვევების მქონე პირს.

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება:

- ❖ პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, მომსახურება მიიღო ონკოჰემატოლოგიური დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის 126-მა ბენეფიციარმა. იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა:
- ❖ 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, „იშვიათი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ამბულატორიული მომსახურების“ ფარგლებში, მომსახურება მიიღო 203-მა ბენეფიციარმა, „ჰემოფილით და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიებით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების“ კომპონენტის

ფარგლებში კი 225-მა ბენეფიციარმა. სტაციონარული მომსახურების კომპონენტის ფარგლებში, ფიქსირდება 835 შემთხვევა (532 ბენეფიციარი).

ინკურაბელური პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა:

- ❖ პროგრამით უზრუნველყოფილია იმ პაციენტების მომსახურება, რომელთაც სიცოცხლის დასასრულს ესაჭიროებათ სპეციალიზებული პალიატიური მზრუნველობა (პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმების გათვალისწინებით) და შიდსით დაავადებული ინკურაბელური პაციენტების მომსახურება. 2017 წლის განმავლობაში მოიმატა მომსახურების მიმწოდებელმა სამედიცინო დაწესებულებათა რაოდენობამ.
- ❖ 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, „ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის“ ფარგლებში, მომსახურება მიიღო 894-მა ბენეფიციარმა (ვიზიტი - 19 923), ხოლო „სტაციონარული პალიატიურ მზრუნველობის“ კომპონენტის ფარგლებში - 997-მა ბენეფიციარმა (10 455 საწოლდღე).

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია:

- ❖ დიალიზის საჭიროების მქონე ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილია შესაბამისი სერვისით, ყოველგვარი დაყოვნების გარეშე. გადაუდებელ შემთხვევებში, ხდება პაციენტის დაუყოვნებლივი ჩართვა, ხოლო გეგმიურ შემთხვევაში, რეგისტრაციის შემდეგ, მოლოდინის რეჟიმი ირთვება იმ პაციენტებისთვის, რომელთა ჩართვა მათთვის სასურველ დაწესებულებაში ვერ ხორციელდება ძირითადი ადგილის უქონლობის გამო. პროგრამული დიალიზით მოსარგებლეთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. 2017 წელს „ჰემოდიალიზით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, მომსახურების მიმწოდებლად დარეგისტრირდა თბილისში, ახალციხისა და ახალქალაქის რეგიონში არსებული დაწესებულებები, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა სერვისის ხელმისაწვდომობა.
- ❖ 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, აღნიშნული პროგრამის „ჰემოდიალიზით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში, მომსახურება მიიღო 2 905-მა ბენეფიციარმა (სეანსი - 351 813), „პერიტონეული დიალიზით უზრუნველყოფის“ კომპონენტის ფარგლებში - 115-მა ბენეფიციარმა. 2017 წელს ჩატარდა თირკმლის გადანერგვის 20 ოპერაცია.

სოფლის ექიმი:

- ❖ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 11 აგვისტოს N394 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა ინფორმაცია ყოველი თვის 1 რიცხვის მდგომარეობით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაკონტრაქტებული სოფლის ექიმების/ექთნების თაობაზე.
- ❖ მომზადდა საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 დეკემბრის N2681 განკარგულების შესაბამისად, „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტის ფარგლებში, მიმდინარე წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით დაკონტრაქტებული ფიზიკური პირების (სოფლის ექიმი/ექთანი) შესახებ ინფორმაცია.
- ❖ ქვეყნის მასშტაბით, დაიგეგმა პჯდ სერვისების მიმწოდებელთა რუკის შექმნა, სადაც მითითებული იქნება, თუ რომელ თემს რომელი სოფლის ექიმი ემსახურება და რა მოცულობისაა მასზე მიმაგრებული კონტინგენტი, ასაკობრივ და სქესობრივ ჭრილში.

- ❖ 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სააგენტოს მიერ დაკონტრაქტებული იყო 1209 ექიმი (2 ექიმის ვაკანსია - აჭარაში, 2 - ქვემო ქართლში და 1 ექიმის - რაჭაში) და 1448 ექთანის (1 ექთნის სამცხე-ჯავახეთში და 2 ქვემო ქართლში). სულ, პროვაიდერების ჩათვლით, დაკონტრაქტებული იყო 1278 ექიმი და 1541 ექთანი.
- ❖ **სასწრაფო გადაუდებელი დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირების სახელმწიფო** პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობდა ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სასწრაფო სამედიცინო დახმარების კომპონენტის ფარგლებში გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების დამუშავება და ანგარიშგება.
- ❖ 2017 წლის 1 ივნისამდე, სამედიცინო ტრანსპორტირება - რეფერალური დახმარების კომპონენტის ფარგლებში, დაფინანსდა 9 585 შემთხვევაზე (8 432 ბენეფიციარისთვის) გაწეული მომსახურების ხარჯი.
- ❖ **სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება:** პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოფილია სამხედრო ძალებში გასაწევ პირთა ამბულატორიული შემოწმება და დამატებით, სტაციონარული გამოკვლევები. 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, აღნიშნული პროგრამის ამბულატორიული შემოწმების ფარგლებში, მომსახურება მიიღო 18 324-მა პირმა, ხოლო სტაციონარული გამოკვლევის კომპონენტის ფარგლებში - 1 586 -მა პირმა.
- ❖ **რეფერალური მომსახურება:** „სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით, კომისიის შექმნისა და მისი საქმიანობის წესის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ნოემბრის №331 დადგენილების შესაბამისად შექმნილი კომისიის საოქმო გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირებისთვის, 2017 წლის ნოემბრის ჩათვლით, აღნიშნული პროგრამის „სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების“ ფარგლებში, ანაზღაურდა 12 441 შემთხვევა (9 012 ბენეფიციარი).

C ჰეპატიტის მართვის სამმართველო

- ❖ 2017 წლის განმავლობაში, C ჰეპატიტის მართვის სამმართველო შეუფერხებლად ახორციელებდა საქართველოს მთავრობის N169 დადგენილებით დამტკიცებული “C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის” ფარგლებში C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა რეგისტრაციას, პროგრამის მკურნალობის კომპონენტში პაციენტთა ჩართვას და მათ უზრუნველყოფას C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებით.
- ❖ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, C ჰეპატიტის მართვის სერვის ცენტრში, სააგენტოს თბილისის რაიონულ და რეგიონულ ოფისებში და C ჰეპატიტის მართვის სამმართველოში უწყვეტად მიმდინარეობდა ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციების დამუშავება (დიაგნოსტიკური კვლევების შედეგები, ფორმა NIV-100/ა) და ატვირთვა elimination.moh.gov.ge-ს ელექტრონულ ბაზაში. სამედიცინო დოკუმენტაციებს (ელექტრონულ რეჟიმში) ყოველთვიურად განიხილავს „C ჰეპატიტის მართვის პროგრამის მკურნალობის კომპონენტში პაციენტთა ჩართვის უფლების განმსაზღვრელი კომისია“. 2017 წლის განმავლობაში, C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში დარეგისტრირდა 14 234

პაციენტი. ჩატარებულ იქნა 13 კომისიის სხდომა, რომლის გადაწყვეტილებით, პროგრამის მკურნალობის კომპონენტში ჩაერთო 13 981 პაციენტი. მათ შორის, საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული 887 ბრალდებული/მსჯავრდებული. პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირდა დამატებით 4 სამედიცინო დაწესებულება (სულ რეგისტრირებულია 31 დაწესებულება), რამაც ხელი შეუწყო პროგრამის მოსარგებლეთა გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდას.

- ❖ საქართველოს მთავრობის N169 დადგენილებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, 2017 წლის მანძილზე, „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის“ მკურნალობის კომპონენტში ჩართული პაციენტებისთვის, ქალაქ თბილისსა და საქართველოს რეგიონებში განლაგებულ პროგრამის მიმწოდებლებს უწყვეტად გადაეცემოდათ C ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებები, კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული მედიკამენტები: პეგილირებული ინტერფერონი, რიბავირინი და დონორული მხარდაჭერით მიღებული მედიკამენტები: სოფოსბუვირი, ჰარვონი და ზეპატიერი (2017 წლის დეკემბრიდან). მედიკამენტების მიწოდება ხორციელდებოდა სავალდებულო პროცედურების დაცვით (C ჰეპატიტის სამმართველოს მიერ სააგენტოს კონტრაქტორ დაწესებულებაში დასაწყობებული C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტების სოფოსბუვირის, ჰარვონისა და ზეპატიერის გადათვლა, შეფუთვაზე (ყუთი, კოლოფი) ე.წ. შტრიხ-კოდის შემცველი სტიკერების დატანა და მომზადება-გადანაწილება სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებების მიხედვით. მედიკამენტების ტრანსპორტირება ბადრაგის თანხლებით).
- ❖ 2017 წლის განმავლობაში, C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა მკურნალობის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამის მიმწოდებლებს გადაეცათ: 4113 ამპულა პეგილირებული ინტერფერონი, 4063500 აბი რიბავირინი, 796 კოლოფი სოფოსბუვირი, 47299 კოლოფი ჰარვონი და 13 კოლოფი ზეპატიერი.
- ❖ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 16 მაისის N04-323/ო ბრძანების საფუძველზე, 2017 წლის განმავლობაში, პროგრამის მიმწოდებელ ყველა დაწესებულებაში განხორციელდა C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაცემული მედიკამენტების მონიტორინგი.
- ❖ C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში 2017 წლის განმავლობაში შეტანილი ცვლილების საფუძველზე, პროგრამის მოსარგებლეთა სიას დაემატა პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირები (საქართველოს მთავრობის დადგენილება N257), რომლის საფუძველზე, პროგრამის მკურნალობის კომპონენტში ჩაერთო 10 ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მქონე პირი. 2017 წლის 27 ივლისს, C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამაში განხორციელებული შემდგომი ცვლილების საფუძველზე, პროგრამის მკურნალობის კომპონენტში ჩაერთო დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამის თირკმლის ტერმინალური დავადების მქონე ((შემოდიალიზზე ან პერიტონეალურ დიალიზზე მყოფი) 13 ბენეფიციარი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N371).

მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველო

- ❖ მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სამმართველოს მიერ 2017 წლის განმავლობაში, უზრუნველყოფილია სახელმწიფო პროგრამების - „დიაბეტის მართვის“, „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“, „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“, „ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის“, „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“, „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობისა“ და „ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ ფარგლებში ბენეფიციართა რეგისტრაცია და მათზე შესაბამისი, პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების გაცემა.
- ❖ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებების ფარგლებში, მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნით, მიღებულია (ვარგისიანობის ვადის და ტემპერატურული რეჟიმის დაცვით) და ქვეყნის მასშტაბით (ცენტრის, რეგიონისა და რაიონულ დონეზე) განაწილებულია მედიკამენტები და სამკურნალო საკვები დანამატი.
- ❖ აღნიშნული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში, უწყვეტად მიმდინარეობს ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა და რეგისტრაცია (საფუძველი: ფორმა N100) „სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის ელექტრონულ პროგრამაში“.
- ❖ უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს ინსულინის ანალოგებით დაკმაყოფილების თაობაზე შემოსული განაცხადებების განხილვა „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის, „დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის“ ქვეკომპონენტის ფარგლებში ულტრახანმოკლე და ულტრახანგრძლივი მოქმედების ინსულინის ანალოგების განაწილების კომისიის შექმნის თაობაზე“ კომისიის მიერ.
- ❖ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N638 დადგენილებით დამტკიცებული 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის N22 დანართის თანახმად, დაიწყო მედიკამენტების გაცემა ქრონიკული დაავადებების მქონე იმ პირებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ და მათზე მინიჭებული სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 ერთეულს.
- ❖ პროგრამების მიხედვით, **მოსარგებლე ბენეფიციარების რაოდენობა განაწილებულია შემდეგნაირად** (პერიოდი 01.01.2017წ. - 31.12.2017წ.):

დიაბეტის მართვა - 28 774 ბენეფიციარი, მათ შორის:

- შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა და მოზარდთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 1033 ბენეფიციარი;
- შაქრიანი დიაბეტით დაავადებული 18 წლის და უფროსი ასაკის პაციენტების მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 27 335 ბენეფიციარი;
- უშაქრო დიაბეტით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით - 406 ბენეფიციარი.

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია - 3066 ბენეფიციარი, მათ შორის:

- ორგანოგდანერგილთა იმუნოსუპრესიული მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 320 ბენეფიციარი;
- ჰემო და პერიტონეული დიალიზისათვის საჭირო სადიალიზე საშუალებების, მასალისა და მედიკამენტების შესყიდვის და მიწოდების კომპონენტით მოსარგებლე - 2 986 ბენეფიციარი.

ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა - ინკურაბელურ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 2 900 ბენეფიციარი.

ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობა - მოსარგებლე 7 999 ბენეფიციარი.

იშვიათი დაავადების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა - 883 ბენეფიციარი, მათ შორის:

- ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 374 ბენეფიციარი;
- 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებულთა სამკურნალო საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 169 ბენეფიციარი;
- მუკოვისციდოზით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 109 ბენეფიციარი;
- მემკვიდრული ჰიპოგამაგლობულინემიით (ბრუტონის დაავადება) დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 2 ბენეფიციარი;
- ზრდის ჰორმონის დეფიციტისა და ტერნერის სინდრომის მქონე ბავშვთა და მოზარდთა ზრდის ჰორმონით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 159 ბენეფიციარი;
- იუვენილური რევმტოიდული ართრიტით დაავადებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვთათვის ბიოლოგიური პრეპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 39 ბენეფიციარი;
- დიდი თალასემიით დაავადებულთათვის რკინის შემზოჭავი პრეპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 31 ბენეფიციარი.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა - მედიკამენტებით და საკვები დანამატით უზრუნველყოფის კომპონენტით მოსარგებლე - 35 276 ბენეფიციარი,

მათ შორის:

- ფოლიუმის მჟავით უზრუნველყოფილია - 29 931 ორსული;
- რკინის პრეპარატებით უზრუნველყოფილია - 915 ორსული (რკინადეფიციტური ანემიის მქონე ორსულთა უზრუნველყოფა);
- მიკროელემენტებით უზრუნველყოფილია - 4430 6-23 თვის ასაკის ბავშვი.

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა – გულ–სისხლძარღვთა სისტემის ქრონიკული დაავადებების, დიაბეტის, ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა და ფილტვის ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფილია 13 010 ბენეფიციარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის №169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, განბაჟებულია, მიღებულია, დასაწყობებულია და გაცემულია C ჰეპატიტის სამკურნალო საშუალებები.

9. ეკონომიკური დეპარტამენტი

- ❖ ეკონომიკური დეპარტამენტი შედგება სამი სამმართველოსაგან:
- ფინანსური რესურსების მართვისა და ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველო;
- სახელმწიფო პროგრამების ფინანსური ადმინისტრირების სამმართველო;
- შესყიდვების სამმართველო.
- ❖ საქმიანობის პროცესში, სამმართველოები ახორციელებენ ფუნქციურად მათთვის დაკისრებულ მოვალეობებს.

ფინანსური რესურსების მართვისა და ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველო

- ❖ ცენტრალიზებულად ახორციელებს შესყიდვების სამმართველოს მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ვალდებულებების აღებას და გადარიცხვების განხორციელებას სახაზინო სამსახურის მეშვეობით.
- ❖ სააგენტოს წლიური დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 307 663 517 ლარით. საკასო ხარჯმა შეადგინა 3 306 289 743 ლარი (შესრულების % - 99,96). საანგარიშო პერიოდში, სამმართველოს მიერ სახაზინო სამსახურში, ანგარიშსწორების მიზნით, დარეგისტრირებულია ადმინისტრაციული ხარჯების (35 01 04) გაწევაზე გაფორმებული 225 ხელშეკრულება, რის საფუძველზეც, აღებულია 506 ვალდებულება, გაგზავნილია 29 508 საგადახდო მოთხოვნა.
- ❖ ყოველთვიურად სააგენტოს თანამშრომლებზე, მათ შორის, შტატიან და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულებზე, საშუალოდ 2552 თანამშრომელზე ხდება შრომის ანაზღაურების (ხელფასის, პრემიის, დანამატის) დარიცხვა და პირად ანგარიშებზე გადარიცხვა; აღნიშნული გასაცემლების ოდენობამ შეადგინა 24 037 464 ლარი. ასევე, წლის დასაწყისიდან გაწეულია სამივლინებო ხარჯი 689 362 ლარის ოდენობით; შერეული და არაკლასიფიცირებული შემოსავლების კუთხით, შესრულებულია ყველა საჭირო ბუღალტრული ოპერაცია.

- ❖ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებაში შესული ცვლილებით, 2017 წლის 11 თებერვლიდან ხორციელდება ჯარიმების დარეგისტრირება ფინანსურ მოდულში, რამაც შეადგინა 15 187 563 ლარი.
- ❖ ძირითადი აქტივების შეძენაზე წლის დასაწყისიდან გაწეულია 841 149 ლარის ხარჯი. აქედან, მანქანა-დანადგარების შეძენაზე – 292 200 ლარი, სადაც არაკლასიფიცირებულ ინვენტარზე გახარჯულია 7 950 ლარი და სხვა მანქანა-დანადგარებსა და ინვენტარის შეძენაზე – 284 250 ლარი, ხოლო შენობა-ნაგებობებზე გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 548 949 ლარი, კერძოდ, 53 583 ლარი - სააგენტოს ზუგდიდის რაიონული ოფისის სარემონტო სამუშაოები; 73 924 ლარი - ხობის რაიონული ოფისის სარემონტო სამუშაოები; 1 777 ლარი ქ.თბილისის დიდუბის რაიონული ოფისის სარემონტო სამუშაოები; 188 002 ლარი გადაირიცხა ქ.თბილისის სარაჯიშვილის ქ.N1-ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოებზე, ონის რაიონული ოფისის სარემონტო სამუშაოები – 168 501 ლარი; ჩოხატაურის რაიონული ოფისის სარემონტო სამუშაოები – 13 097 ლარი; ქ.ბათუმის ტაბიძის ქ.N2^ა ში მდებარე შენობის სარემონტო სამუშაოებზე – 30 765 ლარი; ქობულეთის რაიონული ოფისის სარემონტო სამუშაოებზე -375 ლარი; ხელვაჩაურის რაიონული ოფისის სარემონტო სამუშაოებზე – 515 ლარი; შუახევის რაიონული ოფისის სარემონტო სამუშაოებზე - 6 299 ლარი; გათბობის ქვებების შეძენაზე გაიხარჯა 11 256 ლარი, ქ.თბილისში, ჯავახიშვილის ქ.N51-ში მდებარე შენობაში გაკეთდა მოაჯირი 450 ლარის ღირებულების, საჯარო რეესტრში ფართის რეგისტრაციის - 405 ლარი.
- ❖ სამმართველო ახორციელებს სააგენტოს ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების აღრიცხვასა და მათზე ცვეთის დარიცხვას; სახაზინო დოკუმენტების დამუშავებას (გადარიცხული და უკან მობრუნებული თანხების შესაბამის ანგარიშებზე გატარებას), N2,N5, N6 N8 N9, N10, N13 მემორიალური ორდერების წარმოებას, ბრუნვითი ბალანსების, მთავარი წიგნისა და საფინანსო ანგარიშის შედგენას;
- ❖ სოციალური მომსახურების სააგენტო წარუდგენს 6 თვის და წლიურ ანგარიშს (ბალანსი) - კონტროლის განმახორციელებელს - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, თანდართულ ფორმებთან ერთად, კანონით გათვალისწინებულ ვადებში.
- ❖ მომზადდა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გაიგზავნა 2018 წლის ბიუჯეტის პროექტი და 2017 წლის კვარტალური ანგარიშები. აღნიშნული ინფორმაცია, ელექტრონული ბიუჯეტის ფორმატით, ყოველკვარტალურად იგზავნება ასევე ფინანსთა სამინისტროში. გარდა ამისა, სააგენტოს სამხარეო ცენტრების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ცენტრის უფროსების წერილობითი მომართვების საფუძველზე, განხორციელდა ცვლილებების შეტანა სააგენტოს დამტკიცებულ ბიუჯეტში.
- ❖ საკუთარი სახსრების ანგარიშზე ნაშთი წლის ბოლოსათვის განისაზღვრა 176 359,92 ლარით.
- ❖ ნოემბრის თვეში დაიწყო და 28 დეკემბერს დასრულდა 2017 წლის ინვენტარიზაციის ჩატარებასთან დაკავშირებული პროცედურები.
- ❖ დროში გაწერილია და მიმდინარეობს საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა, რომელიც მოიცავს სააღრიცხვო პოლიტიკის შეფასებას და ცვლილებების განხორციელებას. იქიდან გამომდინარე, რომ ვალდებულება 2020 წლამდე უნდა შესრულდეს, ეტაპობრივად ხდება საჯარო სექტორში დასაქმებულ ბუღალტერთა

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უნარ-ჩვევების ფორმირება. საბიუჯეტო-საფინანსო სფეროში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ეტაპობრივად ხდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება ფინანსთა სამინისტროს აკადემიის მიერ ჩატარებულ და სხვა ტრენინგებზე დასწრების გზით.

სახელმწიფო პროგრამების ფინანსური ადმინისტრირების სამმართველო

- ❖ სახელმწიფო ხაზინის ელექტრონულ სისტემაში არეგისტრირებს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ ანგარიშსწორებისთვის წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში არსებულ ვალდებულებებს და საგადასახადო მოთხოვნებს, რიგი პროგრამების შემთხვევაში, აღნიშნული პროცესი ხორციელდება „ჰესპერუსის“ და „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფინანსური მართვის მოდულის“ საშუალებით.
- ❖ **2017 წელს დარეგისტრირებულია:**
 - საპენსიო უზრუნველყოფა (35 02 01) – 57 ვალდებულება, 469 საგადასახადო მოთხოვნა;
 - სოციალური დახმარება (35 02 02) – 118 ვალდებულება, 24356 საგადასახადო მოთხოვნა, 2 ხელშეკრულება;
 - კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების ქვეპროგრამა (35 02 03 01) – 36 ვალდებულება, 284 საგადასახადო მოთხოვნა; 11 ხელშეკრულება;
 - ბავშვთა ადრეული განვითარების ქვეპროგრამა (35 02 03 02) – 180 ვალდებულება, 182 საგადასახადო მოთხოვნა;
 - ბავშვთა რეაბილიტაციის/აბილიტაციის ქვეპროგრამა (35 02 03 03) – 168 ვალდებულება, 168 საგადასახადო მოთხოვნა;
 - ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა (35 02 03 04) – 12 ვალდებულება, 12 საგადასახადო მოთხოვნა;
 - დღის ცენტრების ქვეპროგრამა (35 02 03 05) – 623 ვალდებულება, 628 საგადასახადო მოთხოვნა;
 - დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (35 02 03 06) – 89 ვალდებულება, 89 საგადასახადო მოთხოვნა, 7 ხელშეკრულება;
 - ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამა (35 02 03 07) – 12 ვალდებულება, 12 საგადასახადო მოთხოვნა, 4 ხელშეკრულება;
 - დედათა და ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (35 02 03 08) – 41 ვალდებულება, 41 საგადასახადო მოთხოვნა;
 - მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა (35 02 03 09) – 4 ვალდებულება, 6803 საგადასახადო მოთხოვნა;
 - მცირე საოჯახო ტიპის სახლების ქვეპროგრამა (35 02 03 10) – 144 ვალდებულება, 144 საგადასახადო მოთხოვნა;
 - მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა (35 02 03 11) – 89 ვალდებულება, 81 საგადასახადო მოთხოვნა, 9 ხელშეკრულება;

სათემო ორგანიზაციების ქვეპროგრამა (35 02 03 12) – 184 ვალდებულება, 184 საგადასახადო მოთხოვნა;

მძიმე და ღრმა გონებრივი შეფერხების მქონე ბავშვთა ბინაზე მოვლის ქვეპროგრამა (35 02 03 13) - 24 ვალდებულება, 24 საგადასახადო მოთხოვნა;

მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურების ქვეპროგრამა (35 02 03 14) - 13 ვალდებულება, 13 საგადასახადო მოთხოვნა;

სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში- სახელმწიფო პენსიის მიმღებ პირთა დანამატი (35 02 04 01) - 4 ვალდებულება, 12 საგადასახადო მოთხოვნა;

სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში-სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა დანამატი (35 02 04 02)- 4 ვალდებულება, 12 საგადასახადო მოთხოვნა;

სოციალური შეღავათები მაღალმთიან დასახლებაში - სხვა დანარჩენი კატეგორიებისათვის (35 02 04 03) - 5 ვალდებულება, 17752 საგადასახადო მოთხოვნა;

მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური (35 02 04 03) -20 ვალდებულება, 17 საგადასახადო მოთხოვნა;

მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა (35 03 01) – 40583 ვალდებულება, 45013 საგადასახადო მოთხოვნა;

ინფექციური დაავადებების მართვა (35 03 02 06 01) – 257 ვალდებულება, 257 საგადასახადო მოთხოვნა;

ტუბერკულოზის მართვა (35 03 02 07 01) – 873 ვალდებულება, 873 საგადასახადო მოთხოვნა, 2 ხელშეკრულება;

აივ-ინფექცია/შიდსი (35 03 02 08 01) – 99 ვალდებულება, 99 საგადასახადო მოთხოვნა;

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა (35 03 02 09 01) – 3321 ვალდებულება, 3309 საგადასახადო მოთხოვნა, 14 ხელშეკრულება;

ნარკომანია (35 03 02 10) – 142 ვალდებულება, 135 საგადასახადო მოთხოვნა, 18 ხელშეკრულება;

C-ჰეპატიტის მართვა (35 03 02 12) - 818 ვალდებულება, 1245 საგადასახადო მოთხოვნა, 19 ხელშეკრულება;

ფსიქიკური ჯანმრთელობა (35 03 03 01) – 540 ვალდებულება, 540 საგადასახადო მოთხოვნა, 90 ხელშეკრულება;

დიაბეტის მართვა (35 03 03 02) – 389 ვალდებულება, 389 საგადასახადო მოთხოვნა, 17 ხელშეკრულება;

ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება (35 03 03 03) – 12 ვალდებულება, 12 საგადასახადო მოთხოვნა, 3 ხელშეკრულება;

დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაცია (35 03 03 04) – 456 ვალდებულება, 452 საგადასახადო მოთხოვნა, 17 ხელშეკრულება;

ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა (35 03 03 05) – 177 ვალდებულება, 178 საგადასახადო მოთხოვნა, 9 ხელშეკრულება;

იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობა (35 03 03 05) – 123 ვალდებულება, 118 საგადასახადო მოთხოვნა, 29 ხელშეკრულება;

- სამედიცინო ტრანსპორტირება და რეფერალური დახმარება** (35 03 03 07 01) – 197 ვალდებულება, 197 საგადასახადო მოთხოვნა, 13 ხელშეკრულება;
- სოფლის ექიმი** (35 03 03 08) – 34206 ვალდებულება, 34376 საგადასახადო მოთხოვნა, 5538 ხელშეკრულება;
- რეფერალური მომსახურება** (35 03 03 09) – 2315 ვალდებულება, 2315 საგადასახადო მოთხოვნა, მათ შორის, 359 სავალუტო, 2 ხელშეკრულება;
- სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება** (35 03 03 10) – 96 ვალდებულება, 96 საგადასახადო მოთხოვნა, 31 ხელშეკრულება;
- ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა** (35 03 03 11) – 79 ვალდებულება, 79 საგადასახადო მოთხოვნა, 30 ხელშეკრულება;
- დასაქმების ხელშეწყობის მომსახურების განვითარების პროგრამა** (35 05 02) – 255 ვალდებულება, 849 საგადასახადო მოთხოვნა, 26 ხელშეკრულება;
- სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება** (35 05 04) – 77 ვალდებულება, 478 საგადასახადო მოთხოვნა;
- ❖ „ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 17 დეკემბერის N01-254/ო ბრძანების შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდში მომზადდა 12 ანგარიში - დანართი N4 – 12.
 - ❖ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში გადაიგზავნა 4 კვარტალური და წლიური ანგარიში.
 - ❖ „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სააგენტოსათვის გამოყოფილი ასიგნებების რაციონალური და ეკონომიკური ხარჯვის მიზნით, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მომზადდა 31 გეგმის ცვლილების პროექტი.
 - ❖ „რეფერალური მომსახურების პროგრამის“ ფარგლებში, გაფორმდა 359 შეთანხმება პაციენტებთან, რომელთაც სამკურნალო თანხა კომისიის მიერ გამოეყო საზღვარგარეთ-სამედიცინო დაწესებულებაში;
 - ❖ 2013 წლიდან, სამმართველო IT სამსახურთან ერთად, ჩართულია „ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ფინანსური მართვის მოდულის“ შექმნის პროცესში. სამმართველოს მიერ განხორციელდა აღნიშნული პროგრამის რიგი ცვლილებები, რის შედეგადაც, შეიქმნა მოქნილი სისტემა, რომელიც იძლევა საშუალებას, არამართო სწრაფად განხორციელდეს გადარიცხვები, არამედ, ინახავს, წლების მიხედვით, სრულყოფილ ინფორმაციას ანგარიშებისათვის. მიმდინარე მდგომარეობით, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სისტემატურად ხორციელდება ცვლილებები სააგენტოს საჭიროების შესაბამისად.

სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო

- ❖ ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების გზით გაფორმებულია 154 ხელშეკრულება (როგორც სახელმწიფო პროგრამების, ისე სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯის ფარგლებში).
- ❖ „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 2 662 ხელშეკრულება;

- ❖ „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სპეცდაფინანსებაზე მყოფი სამედიცინო დაწესებულებებისათვის – 36 ხელშეკრულება;
- ❖ „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სპეცდაფინანსებაზე მყოფი რიგი სამედიცინო დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით, დამატებითი ღონისძიებების განხორციელების უზრუნველყოფის კომპონენტის ფარგლებში – 28 ხელშეკრულება;
- ❖ „ფსიქიკური ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 28 ხელშეკრულება;
- ❖ „ტუბერკულოზის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 2 ხელშეკრულება;
- ❖ „ბავშვთა ონკოპემატოლოგიური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია 1 ხელშეკრულება;
- ❖ „სასწრაფო გადაუდებელი დახმარებისა და სამედიცინო ტრანსპორტირების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 6 ხელშეკრულება;
- ❖ „იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 6 ხელშეკრულება;
- ❖ „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში (ახალშობილთა და ბავშვთა სკრინინგი ჰიპოთირეოზზე, ფენილკეტონურიზზე, ჰიპერფენილალანინემიასა და მუკოვისციდოზზე) – 6 ხელშეკრულება;
- ❖ „სამხედრო ძალებში გასაწევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 48 ხელშეკრულება;
- ❖ „ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 7 ხელშეკრულება;
- ❖ „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამა - 11 ხელშეკრულება;
- ❖ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული „C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში – 8 ხელშეკრულება;
- ❖ „დიალიზისა და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - 2 ხელშეკრულება;
- ❖ „რეფერალური მომსახურების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - 1 ხელშეკრულება;
- ❖ „დიაბეტის მართვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში - 3 ხელშეკრულება;
- ❖ „დასაქმების ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გაფორმებულია 27 ხელშეკრულება;
- ❖ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გაფორმებულია 14 ხელშეკრულება;
- ❖ სააგენტოს მიერ შესყიდულ საქონელზე (მომსახურებასა და სამუშაოებზე) ფორმდება მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია და ეგზავნება ფინანსური რესურსების მართვისა და ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველოს, „მომწოდებელთან“ ანგარიშსწორების მიზნით.
- ❖ სისტემატურად ხორციელდება ადმინისტრაციული ხარჯების და ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ხელშეკრულებისა და საჭიროების შემთხვევაში, მათში განხორციელებული ცვლილებების პროექტების მომზადება და 10 დღის ვადაში, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში

- ატვირთვა. ასევე, აღნიშნული სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში სატენდერო დოკუმენტაციის, ოქმების, დაზუსტებული მონაცემების, ხელშეკრულებების, ა ხელშეკრულებების ცვლილებების მომზადება და ატვირთვა.
- ❖ სამედიცინო დაწესებულებების მონაცემების და/ან მათთან განხორციელებული ცვლილებების (საბანკო რეკვიზიტები, დასახელება და ა. შ.) ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური მართვის მოდულში ასახვა და გაფორმებული ხელშეკრულებების ავტომატიზებულ კომპიუტერულ ბაზაში („ჰესპერუსში“) შეტანა.
 - ❖ წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე, ხდება ახალი სამედიცინო ორგანიზაციების დარეგისტრირება ჯანმრთელობის დაცვის ფინანსური მართვის მოდულში.
 - ❖ გაფორმებული ხელშეკრულებების და მათზე წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების აქტების ატვირთვა ხდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
 - ❖ ეკონომიკური დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ, მათზე დაკისრებული ფუნქციების ფარგლებში, მაქსიმალურად მოკლე ვადაში, ხდება დეპარტამენტში შემოსულ კორესპონდენციაზე რეაგირება.

10. ადმინისტრაციული დეპარტამენტი

- ❖ დეპარტამენტის სტრუქტურა:
 - საქმისწარმოების სამმართველო;
 - ადამიანური რესურსების სამმართველო;
 - არქივი (სამმართველო);
 - ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველო.
- ❖ დეპარტამენტის ფუნქციები:

საქმისწარმოების სამმართველო

- ❖ 2017 წლის განმავლობაში სოციალური მომსახურების სააგენტოს მთლიანმა დოკუმენტბრუნვამ შეადგინა - 1780663 ერთეული.

აქედან:

- სააგენტოს საქმისწარმოების სამმართველო - 856780;
- ❖ ტერიტორიული ერთეულები – 923883.
- ❖ დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვის პროგრამაში საქმისწარმოების სამმართველოს მიერ დარეგისტრირდა სააგენტოში ქაღალდზე შემოსული 57880 დოკუმენტი (წერილები, მოქალაქეთა განცხადებები და სხვა).
- ❖ "დეს"-ში აღრესატებზე გადამისამართდა 75301 დოკუმენტი.

მათ შორის:

- საჩივარი – 167;
- ადმინისტრაციული საჩივარი – 648.
- ❖ სააგენტოს ცენტრალური ოფისის სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადდა და ადრესატებზე დაიგზავნა ფოსტით – 338806 დოკუმენტი;
- ❖ ხელზე გაიცა – 11892 დოკუმენტი;
- ❖ 2016 წლის განმავლობაში, საქმისწარმოების სამმართველოს მიერ რეგისტრირებული და განსახილველად ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველოზე, აგრეთვე საქართველოს ეროვნულ არქივზე გადაცემული იქნა რუსეთის ფედერაციის საპენსიო ფონდის ტერიტორიული ერთეულებიდან შემოსული 5944 წერილი;
- ❖ 2016 წლის განმავლობაში, სააგენტოს მიერ საფოსტო საკურიერო მომსახურებაზე დახარჯული იქნა 326738 ლარი, არსებული ხელშეკრულების ფარგლებში (2017 წელს დახარჯული იყო 336098 ლარი);
- ❖ 2017 წლის ნოემბერში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა სააგენტოს საქმისწარმოების სამმართველოში საიდუმლო საქმისწარმოების კომპლექსური შემოწმება. შედეგების საფუძველზე, სააგენტოს განუახლდა საიდუმლო საქმისწარმოების ნებართვა და დამტკიცდა საიდუმლო დოკუმენტებზე სამუშაოდ დასაშვები თანამდებობების ახალი ნომენკლატურა.
სტატისტიკური ინფორმაცია წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი N5).

ადამიანური რესურსების სამმართველო

- ❖ სააგენტოს ადმინისტრაციული დეპარტამენტის, ადამიანური რესურსების სამმართველო თავის საქმიანობას ახორციელებს სააგენტოს დებულებით განსაზღვრული უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში, საბოლოო შედეგზე ორიენტირებული აქტივობების უზრუნველსაყოფად.
- ❖ სააგენტოს სისტემაში, ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიისა და ერთიანი საკადრო პოლიტიკის შემუშავების მიზნით, მიმდინარეობს:
- სააგენტოს სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ანალიზის საფუძველზე, სააგენტოს საშტატო ნუსხის პროექტების შემუშავება; ორგანიზაციული ცვლილებების აუცილებლობის შემთხვევაში, საშტატო განრიგის კორექტირება;
- სააგენტოს ბიზნეს პროცესების საჭიროებაზე მორგებული, მოტივირებული, კომუნიკაბელური და კვალიფიციური საკადრო რესურსის შერჩევა;
- საკადრო როტაციის სქემების განხორციელება და პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- სააგენტოში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება.
- ❖ სააგენტოს ამოცანების რეალიზაციაზე ორიენტირებული, მოქნილი სტრუქტურის ჩამოყალიბებისათვის, ადამიანური რესურსების სამმართველო, ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ყოველი წლის ბოლოს, ამზადებს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების თანამშრომელთა საშტატო განრიგისა და სახელფასო ანაზღაურების ნუსხის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს მინისტრს.

- ❖ 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, სააგენტოში დასაქმებულთა საერთო რაოდენობაა 2318, მათ შორის, 761 შტატგარეშე თანამშრომელია.
- ❖ სააგენტოს ბიზნეს პროცესების საჭიროებაზე მორგებული, მოტივირებული, კომუნიკაბელური და კვალიფიციური საკადრო რესურსის შერჩევის, საკადრო როტაციის სქემების გახორციელებისა და პერსონალის მართვის გამჭვირვალე სისტემის შექმნის მიზნით, ადამიანური რესურსების სამმართველო უშუალოდ ჩართულია საჯარო კონკურსების პროცედურების აქტივობების განხორციელების პროცესში.
- ❖ 2017 წელს, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, საჯარო სამსახურის ბიუროს ვებ-გვერდზე - www.hr.gov.ge სააგენტოს საკონკურსო – საატესტაციო კომისიის მიერ გამოქვეყნდა სააგენტოს სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებში არსებული ვაკანტური თანამდებობების თაობაზე 140 განაცხადი, ვაკანტურ თანამდებობებზე შემოვიდა სულ 3604 აპლიკანტის განაცხადი, რომელიც განხილულ იქნა საჯარო კონკურსის პროცედურების შესაბამისად და კომისიის გადაწყვეტილებით, კონკურსის შემდეგ ეტაპზე (ტესტირება/გასაუბრება) დაშვებულ იქნა 799 პირი. კონკურსის შედეგებით, ცალკეულ თანამდებობებზე დაინიშნა 78 პირი.
- ❖ კონკურსების საჯაროობის, გამჭვირვალობისა და აპლიკანტებისათვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, კონკურსანტების ტესტირებები ტარდება შსს პოლიციის აკადემიასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. აპლიკანტთა ტესტირებისა და გასაუბრების შედეგები ჯამდება ქულათა ერთობლიობის პრინციპით. კანდიდატთა ანონიმურობის დაცვისა და ობიექტური შეფასების მიზნით, მონაცემები მუშავდება კომპიუტერული ელექტრონული მოდულის მეშვეობით.
- ❖ სააგენტოს თანამშრომელთა კარიერული განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში, დაწინაურდა სააგენტოს 21 დასაქმებული.
- ❖ სოციალური აგენტების კანდიდატების შერჩევის პროცესში აქტიურად არიან ჩართული ტერიტორიული ერთეულები, რომელთა რეკომენდაციით, 2017 წელს უნარ-ჩვევების ტესტირება გაიარა 37 პირმა, მათ შორის, 26-მა კანდიდატმა გაიარა ტრენინგები პროფესიული მოდულის შესაბამისად და საველე პრაქტიკა. შემდგომ ეტაპზე, 19-მა პირმა წარმატებით გადალახა პროფესიული კომპიუტერული ტესტების მინიმალური ზღვარი.
- ❖ სააგენტოში დადგენილი სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის განხორციელების მიზნით, 2017 წლის განმავლობაში, სხვადასხვა სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულში სტაჟირება და სასწავლო პრაქტიკა გაიარა 73-მა პირმა, მათ შორის, სამთავრობო პროგრამის ფარგლებში - 15-მა სტაჟიორმა.
- ❖ ადამიანური რესურსების სამმართველო კოორდინაციას უწევს და წარმართავს დასაქმებულთა სამუშაო აღწერილობების შემუშავების პროცესს.
- ❖ 2017 წლის მაისის თვეში დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა, ცენტრალური აპარატის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობები. ხოლო, 2017 წლის ივნისში – უფროსი სოციალური მუშაკებისა და სოციალური მუშაკების სამუშაო აღწერილობები.
- ❖ სააგენტოში დასაქმებულთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით, 2017 წლის განმავლობაში, სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომელთათვის, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უწყებებთან თანამშრომლობით, ჩატარდა ტრენინგები სოციალური მუშაკების, იურისტების,

- ფსიქოლოგებისა და ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებისათვის, მეურვეობა-მზრუნველობის მიმართულებების თემატიკის შესაბამისად:
- ბავშვზე ძალადობის რეფერირების პროცედურებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან დაკავშირებით; ბავშვზე სექსუალური ძალადობის შემთხვევების გამოვლენის, შეფასების, ინტერვენციის დაგეგმვის, მსხვერპლი ბავშვის მშობლებთან ურთიერთობისა და ბავშვის ინტერესების თაობაზე; „სექსუალური ექსპლუატაციის“ თემატიკაზე; ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სააგენტოსა და პოლიციის საქმიანობის კოორდინაციის საკითხებზე - „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა მისი წარმომადგენლობის დროს სამართალწარმოების პროცესში;
 - განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრენინგების დაგეგმვისა და ორგანიზების პროცესში, სახალხო დამცველის ინსტიტუციის, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის და INL – “ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის“ მხარდაჭერა და განხორციელებული აქტივობები.
 - 2017 წლის განმავლობაში, საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობით, გააქტიურდა საქმიანობა დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით ტრენინგების ორგანიზების თვალსაზრისით.
 - ჩატარდა ტრენინგები სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ხელმძღვანელებისა და დასაქმებული თანამშრომლებისათვის, ასევე საზოგადოების დაინტერესებული მხარეებისთვის (დასაქმებულების, პროფესიული კავშირების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების), კერძოდ: უწყვეტი პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მიმართულებით, სამუშაოს მაძიებლისა და დასაქმებულთათვის სერვისების მიწოდების თემატიკის თაობაზე მხარდაჭერითი დასაქმების საკითხების შესახებ“, ევროკავშირის დამოხმობილების პროექტის – დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის (ESS) შესაძლებლობათა განვითარება საქართველოში – ფარგლებში შემუშავებული ახალი სერვისის მოდელის დანერგვის განხილვის მიზნით, შშმ პირთა ინდივიდუალურ უნარებზე დაფუძნებული დასაქმების სერვის მოდულების პრაქტიკაში იმპლემენტაციის და გამოწვევების თაობაზე.
 - ამასთან, 2017 წლის მანძილზე, პერმანენტულად მიმდინარეობდა მოკლევადიანი პროფესიული ტრენინგები სხვადასხვა მიმართულებებით.
 - ❖ ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონულ პროგრამაში ინტეგრაციისათვის, ადამიანური რესურსების სამმართველო, უზრუნველყოფს სააგენტოს ელექტრონული საქმისწარმოების სისტემაში (დეს) კადრების მოდულის ადმინისტრირების, თანამშრომლის სამუშაო პოზიციებზე გადაადგილების, მივლინების, შვებულების, მოვალეობის დროებით შესრულების შემთხვევების „დეს“-ში გადართვის და გადამისამართების შესაბამის პროცედურებს. 2017 წლის დეკემბრის მონაცემებით, დეს-ში ჩართულია 2518 პირი.
 - ❖ ადამიანური რესურსების სამმართველოს საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა დოკუმენტების წარმოება და მათი შესრულების კონტროლი, საქმისწარმოების მოთხოვნების დაცვით.
 - ❖ 2017 წლის განმავლობაში, ადამიანური რესურსების სამმართველოს მიერ მომზადდა დირექტორის ბრძანებები:
 - საკადრო – 781;

- შვებულების – 2437;
- მივლინების – 616;
- დისციპლინური და წახალისების – 60.
- სააგენტოს თანამშრომლებზე მომზადდა და გაიცა 271 ცნობა სამუშაო ადგილიდან.
- ❖ სააგენტოში დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ადამიანური რესურსების სამმართველოს მიერ ყოველთვიურად მზადდება სააგენტოს ცენტრალური აპარატისა და თბილისის სოციალური მომსახურების ცენტრების თანამშრომელთა სახელფასო ტაბელები და ეგზავნება სააგენტოს ეკონომიკურ დეპარტამენტს.
- ❖ ადამიანური რესურსების სამმართველო უზრუნველყოფს დასაქმებულთა კორპორაციულ სამედიცინო დაზღვევაში ჩართვის ლოჯისტიკურ ღონისძიებებს (2017 წელს დაზღვეულია 900 თანამშრომელი).
- ❖ სამმართველო ახორციელებს დასაქმებულთა კორპორაციული მობილური სატელეფონო მომსახურების ორგანიზაციულ აქტივობებს: მომხმარებელთა კომპიუტერული ბაზის წარმოება, ჩართვა, შეწყვეტა, ლიმიტის დაწესების ბრძანებების მომზადება, „მაგთიკომისგან“ წარმოდგენილი თანხების დადარება ბაზასთან, ანგარიშ-ფაქტურების დადასტურება. სააგენტოს კორპორატიულ ქსელში ჩართულია 3550 ნომერი.

არქივი (სამმართველო)

- ❖ „2017 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, სსიპ- სოციალური მომსახურების სააგენტოს დოკუმენტებისა და საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის შესახებ“ 2017 წლის 15 ივნისის N1 აქტის დამტკიცებისა და მასში გათვალისწინებული დოკუმენტების/საქმეების განადგურებისათვის საჭირო ღონისძიებების თაობაზე, დირექტორის 2017 წლის 20 მაისის N04-422/ო ბრძანების შესაბამისად, უტილიზაცია ჩაუტარდა სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებში საქმისწარმოებით დასრულებულ იმ საარქივო მასალას, რომელსაც გაუვიდა შენახვის ვადა, არ გააჩნია ისტორიულ-პრაქტიკული ღირებულება და დაექვემდებარა განადგურებას.
- ❖ სულ განადგურდა 13 430 (ცამეტი ათას ოთხას ოცდაათი) კგ. მაკულატურა, მთლიანმა რაოდენობამ შეადგინა 1838 ლ 40 თ. (ათას რვაას ოცდათვრამეტი ლარი და ორმოცი თეთრი). აღნიშნული თანხა ჩაირიცხა ხაზინაში (საბიუჯეტო შემოსულობის სახაზინო კოდი: 707037519 და ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022), რომლის დამადასტურებელი დოკუმენტი გადაეცა ეკონომიკურ დეპარტამენტს, ხოლო დოკუმენტაციის სრული პაკეტი - სააგენტოს არქივს (სამმართველო).
- ❖ აღნიშნული ღონისძიებების შემდეგ დაიწყო არქივის ინვენტარიზაცია, განხორციელდა საქმეების თემატური განლაგება საცავებში, რის შედეგადაც შესაბამის საცავებში, წლების მიხედვით, განცალკევდა მუდმივი და დროებითი შენახვის საქმეები.
- ❖ სულ არქივში მუდმივი შენახვის საქმეების რაოდენობა არის შემდეგი:
 - ფსიქონევროლოგიური საქმეები – 10 456;
 - რეგრესირებული საქმეები – 485;
 - პირადი საქმეები (კადრები) – 117 ბაინდერი, 44 ჟურნალი;

- დიდი წიგნები (სსეპ კომისიის სხდომის ოქმები, რეესტრები) – 134;
- ბალანსები, ბრძანებები – 129 წიგნი;
- ბაინდერები (სხვადასხვა) – 8 ბაინდერი;
- სსეპ პირადი საქმეები – 21 ბაინდერი;
- ბავშვთა ზრუნვის საქმეები - 484 საქმე.
- ❖ დროებითი შენახვის დოკუმენტაციის მთლიანი რაოდენობა შეადგენს:
 1. ყუთი (A4) – 232 ცალი;
 2. წიგნი – 4197 ცალი;
 3. ბაინდერები – 2241 ცალი;
 4. ჟურნალი – 10 ცალი;
 5. ასაკინძი შენაკრავი მასალები - 159 შეკვრა.
- ❖ არქივმა ყველა აუცილებელი ღონისძიება ჩაატარა და დამტკიცდა 2018 წლის ნომენკლატურა 2017 წლის 15 დეკემბრის N04-905/ო ბრძანებით.

ორგანიზაციული უზრუნველყოფის სამმართველო

- ❖ დებულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში სამმართველო ახორციელებდა:
- ❖ სახელმწიფო გასაცემლების ადმინისტრირების საკითხებთან დაკავშირებით, საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, დაინტერესებული იურიდიული და ფიზიკური პირებისგან არასახელმწიფო ენაზე შემოსულ საინფორმაციო მოთხოვნებზე რეაგირების უზრუნველყოფას, წერილების მომზადებას და თარგმნას, სააგენტოს შესაბამის სტრუქტურულ და ტერიტორიულ ერთეულებთან კოორდინაციისა და წერილობით მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე;
- ❖ დაინტერესებული პირებისა და სხვადასხვა უწყებებიდან (მ.შ. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან - არასახელმწიფო ენებზე - რუსული, ინგლისური) შემოსული განცხადებების და წერილების განხილვა-რეაგირებას სააგენტოს მიერ არაადმინისტრირებად საკითხებზე (შრომის სტაჟის, ხელფასის, სოც. ანარიცხების, სამხედრო სამსახურის გავლის, სამხედრო წოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდების და ა.შ) - შესაბამისად, საპასუხო წერილების მომზადებას ან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა საფუძველზე, კომპეტენტურ ორგანოებში წერილობით გადაგზავნას, აღნიშნულის თაობაზე დაინტერესებული მხარის შემდგომი ინფორმირების გათვალისწინებით.
- ❖ დაინტერესებულ პირთა წერილობითი მომართვების შესაბამისად, ცნობების მომზადებას შემდეგ საკითხებზე:
 - სახელმწიფო გასაცემლების მიღება/არმიღების მდგომარეობის თაობაზე (სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებო სუბსიდია, სოციალური პაკეტი, რეინტეგრაციის შემწეობა, მინდობით აღზრდის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო ანაზღაურება, შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარება);

- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციის/არრეგისტრაციის არსებობის და სოციალური დახმარებით სარგებლობის/არსარგებლობის შესახებ.
- **ცნობების მომზადება ხორციელდება:**
- დაინტერესებული პირის მიერ ცნობების გასაცემად საჭირო დოკუმენტების სრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის და „საზოგადოებრივ მისაღებში დოკუმენტბრუნვის ზოგადი ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის N04-173/ო (15.06.2014) ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად;
- სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში დაცული ინფორმაციის საფუძველზე, სამოქალაქო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზებში პირის სათანადო იდენტიფიცირების გათვალისწინებით;
- ცნობები, წერილობითი მომართვების შესაბამისად, გაიცა ხელზე ან გაიგზავნა განცხადებაში მითითებულ მისამართზე.
- ❖ სააგენტოს დირექტორის ხელმოსაწერი წერილებისა და ბრძანებების პროექტების კორექტირება/რედაქტირებას;
- ❖ საოქმო წარმოებას;
- „შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დახმარების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 1 მარტის N45 დადგენილების შესრულების უზრუნველსაყოფად შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის ფარგლებში;
- „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ განმეორებითი რეგისტრაციის აკრძალვის თაობაზე“ სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების მიზნით, სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2011 წლის 25 ივლისის N04-228/ო ბრძანებით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისიის ფარგლებში.
- ❖ სააგენტოს ელექტრონული ფოსტის (info@ssa.gov.ge) მართვას, რომელიც მოიცავს:
- სააგენტოს ელექტრონული ფოსტით შემოსული წერილებისა და განცხადებების მიღებას, ფორმატის გადასინჯვას და ოპერატიულ გადაცემას საქმისწარმოების სამმართველოსათვის, შემდგომი რეაგირების მიზნით;
- სააგენტოში მომზადებული წერილების, მოთხოვნისამებრ, შესაბამის ელექტრონულ მისამართზე გადაგზავნას, ელექტრონული ფოსტის საშუალებით;
- სააგენტოს ელექტრონული ფოსტით შემოსულ კითხვებთან დაკავშირებით, დაინტერესებულ პირთა შემდგომ ინფორმირებას, სააგენტოს სტრუქტურული ერთეულებიდან გამოყოფილ საკონტაქტო პირებთან კონსულტირების საფუძველზე.
- ❖ სააგენტოს საქმიანობის შესახებ კრებსითი ანგარიშების მომზადებას;
- ❖ საინსტრუქციო და განმარტებითი წერილების მომზადებას, კომპეტენციის ფარგლებში;
- ❖ სააგენტოს მიერ გასამართი სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვაში მონაწილეობას, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებას;
- ❖ დაინტერესებულ პირთა უშუალო ინფორმირებას და კონსულტირებას, სამმართველოს კომპეტენციაში შემავალი საკითხების ფარგლებში;

- ❖ დაქვემდებარებულ საკითხებზე სააგენტოს სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების საკონსულტაციო დახმარებას და კოორდინაციას;
- ❖ მიმდინარეობდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, სააგენტოს სერვისებთან დაკავშირებით, საზოგადოებრივი ცენტრების ოპერატორებისათვის გამოცდილების გაზიარების მიზნით, სააგენტოს ცენტრალურ აპარატსა და ტერიტორიულ ერთეულებში აღნიშნული ოპერატორების მიმაგრება და პრაქტიკული სწავლების ორგანიზაციული უზრუნველყოფა.
- ❖ სამმართველოში დოკუმენტების წარმოება და მათი შესრულების კონტროლი ხორციელდებოდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, „საქმისწარმოების ერთიანი წესებისა“ და სხვა, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

სტატისტიკური ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში:

- ❖ შესრულებული კორესპონდენცია:
 - 4702 - დოკუმენტი (წერილი; სამსახურებრივი ბარათი)
 - 2421 - ცნობა;
 - 10 - ოქმი.
- ❖ განხორციელდა სააგენტოს დირექტორის ხელმოსაწერი წერილებისა და ბრძანებების პროექტების კორექტირება/რედაქტირება,

მათ შორის:

- ❖ 2693 - წერილის პროექტი;
- ❖ 2525 - ბრძანების პროექტი.
- ❖ მომზადდა კრებისათი ანგარიში სააგენტოს მიერ 2016 წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ, რომელიც, შემდგომში, პროაქტიულად განთავსდა სააგენტოს “საჯარო ინფორმაციის გვერდზე”.
- ❖ სააგენტოს ელექტრონული ფოსტით (info@ssa.gov.ge) მიღებული და გაგზავნილი იქნა დაახლოებით 1310 წერილობითი ინფორმაცია, მათ შორის: განცხადება, წერილი, კითხვა-პასუხის რეჟიმში - დაინტერესებულ პირთა საინფორმაციო უზრუნველყოფა - დაახლოებით 1200.

11. ლოჯისტიკის დეპარტამენტი

- ❖ ლოჯისტიკის დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს შემდეგი სახის სამუშაოებს:
 - სააგენტოს ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-შენახვა, ექსპლუატაციას;
 - სააგენტოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ უზრუნველყოფას;

- მატერიალურ ფასეულობათა და სამეურნეო უზრუნველყოფის სფეროში მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით, სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების პროექტების (მ.შ. ტექნიკური დავალებების) შედგენაში მონაწილეობას;
 - სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების სარეაბილიტაციო ოფისების და მოძიებული ფართების შეფასებას, საინჟინრო და არქიტექტურულ-დაგეგმარებითი თვალსაზრისით;
 - საპროექტო/სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისათვის ტექნიკური დავალების შედგენას და/ან მის შედგენაში მონაწილეობის მიღებას;
 - სამშენებლო/საპროექტო ორგანიზაციის მიერ შესრულებული სამუშაოს აღრიცხვას, შუალედური და საბოლოო, შესრულებული სამუშაოს ინსპექტირებასა და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას;
 - სააგენტოს ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციის პროცესში მონაწილეობას და სააგენტოს ცენტრალური აპარატის ძირითადი საშუალებებისა და მცირეფასიანი ინვენტარის მოძრაობა-განთავსებაზე ზედამხედველობის განხორციელებას;
 - სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ოფისებში დაზიანებული გათბობის სისტემის, წყლის სისტემის გამართვის და ელ.გაყვანილობის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას;
 - სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ოფისებში დაცვის სისტემების მონტაჟისა და მომსახურების უზრუნველყოფასა და ინსპექტირებას.
- ❖ **ლოჯისტიკის დეპარტამენტმა, დაკისრებული მიზნებისა და ამოცანების განხორციელების მიზნით, 2017 წელს, სააგენტოში დაგეგმა და განახორციელა სხვადასხვა სახის სამუშაოები:**
- ცენტრალური აპარატის და რეგიონალური საკოორდინაციო ცენტრების უზრუნველყოფა საკანცელარიო და სახარჯი მასალებით;
 - პულტით დაცვის სისტემით 65 ოფისის აღჭურვა, ხოლო 4 ოფისის - ცოცხალი ძალის დაცვით;
 - სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ოფისებში დასუფთავების მომსახურების უზრუნველყოფა;
 - თბილისის სოციალური მომსახურების საქალაქო ცენტრის, აჭარის ა/რ ფილიალის ოფისების, სამეგრელო-ზემო სვანეთის და კახეთის სამხარეო ცენტრების ოფისების დაზიანებული გათბობისა და გაგრილების სისტემის შეკეთება;
 - სააგენტოს ბალანსზე რიცხული 48 ერთეული ავტომანქანიდან 48 ავტომანქანაზე ტექმომსახურების გაწევა;
 - საოფისე ავეჯის და სკამების შესყიდვა და მათი განთავსება სამხარეო ცენტრების და საქალაქო განყოფილების ოფისებში;
 - ქ. ხობში, დადიანის ქ. N212-ში მდებარე ოფისის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - აჭარის ა/რ ფილიალის ბათუმის რაიონული განყოფილების (ტაბიძის ქ. N2ა) ოფისის პირველი სართულის (ნაწილის) სარეაბილიტაციო სამუშაოები;
 - ქალაქ ჩოხატაურის რაიონული განყოფილების (მის.: დუმბაძის ქუჩა N19) სარეაბილიტაციო სამუშაოები და ოფისის ეზოს ღობის მოსაწყობი სამუშაოების დასრულება;
 - ქ. თბილისში, ჯავახიშვილის ქ. N51-ში არსებულ (პირველ სართულზე) ოფისში ალუმინის მოაჯირის მოსაწყობი სამუშაოები;
 - მომზადდა სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის ტერიტორიული ერთეულის ქ. ონის ოფისის სარემონტო სამუშაოებისათვის საჭირო პროექტი - მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები;

- სააგენტოს იმერეთის ტერიტორიული ერთეულის, ქ. სამტრედიაში განთავსებული შენობის სარემონტო სამუშაოების შესყიდვის განსახორციელებლად პროექტის მომზადება;
- ქ. ზუგდიდში, აღმაშენებლის ქ. N106-ში სარემონტო სამუშაოები;
- დაბა შუახევში, რუსთაველის ქ. N25-ში სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მიმდინარეობს ქ. ლანჩხუთში ფასადის სარეკონსტრუქციო სამუშაოები;
- მიმდინარეობს ქ. თბილისში, სარაჯიშვილის ქ. N1-ში პირველ და მეორე სართულზე განთავსებული ოფისის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- მცირე სარემონტო სამუშაოები ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზ. N140ა-ში;
- თეთრიწყაროს რაიონული განყოფილების ოფისის წყალმომარაგების გარე და შიდა ქსელის რეკონსტრუქციის, ასევე საქვაბე დანადგარისა და თბომეურნეობის სისტემის რეაბილიტაცია;
- ქარელის რაიონული განყოფილებისა და ძველი თბილისის მომსახურების ცენტრში დაზიანებული 20 კვტ -იანი დენისა და ძაბვის სტაბილიზატორების რეაბილიტაცია;
- მომზადდა ჯავახიშვილის ქუჩა N51-ში, სასმელი წყლის დაზიანებული ცენტრალური მკვებავი მაგისტრალის შეკეთებისათვის, ინდივიდუალური კვებისა და აღრიცხვიანობის კვანძის მოწესრიგებისა და რეკონსტრუქციის მიზნით, შიდა ეზოს ტერიტორიაზე განთავსებული ოთხი სანიაღვრე ჭის გაწმენდის სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო დოკუმენტაცია;
- აღდგა გურჯაანის რაიონული განყოფილების წყლის საქაჩი ტუმბოს მართვის პულტი წყალმომარაგების სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად;
- რუსთავის რეგიონალურ ოფისში დაზიანებული ძაბვისა და დენის რეგულატორის რეაბილიტაცია;
- სააგენტოს ჯავახიშვილის ქ. N51-ში განთავსებული ოფისის დაზიანებული სალიფტე მეურნეობის ელ. კვების რეაბილიტაცია;
- ძველი თბილისის ოფისში კონდენციონერებისათვის განკუთვნილი ელ. ქსელისა და აღრიცხვიანობის კვანძის მონტაჟი და მოწყობა;
- დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების ახალი ფართის ელ. ქსელის მოწყობა;
- გლდანი-ნამალადევის საქალაქო ცენტრში დაზიანებული წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- დმანისის და ქარელის რაიონული განყოფილებებისათვის დაზიანებული საქვაბე დანადგარის შესყიდვა;
- ზუგდიდის რაიონული განყოფილების ოფისის განათების სისტემის სარეაბილიტაციოდ ამსტრონგის ჭერის განათებების დანადგართა სრული რეაბილიტაცია 45 ცალის ოდენობით;
- სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის სოციალური მომსახურების სამხარეო ცენტრის ოფისის, ქ. მცხეთაში, მირიან მეფის ქუჩა N35-ში, კედლის საყოფაცხოვრებო საქვაბე დანადგარისა და გათბობის სისტემის სამონტაჟო სამუშაოთა შესყიდვა;
- ჯავახიშვილის ქუჩა N51-ში განთავსებული შენობის ელ. დანადგართა მომსახურების დადგენილი წესის გათვალისწინებით, სააგენტოს კუთვნილებაში არსებული სატრანსფორმატორო დანადგარის ტექნიკური მდგომარეობის შეფასებისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება;
- საარქივო თაროების (სტელაჟი) და ფარდა-ჟალუზების შესყიდვა;

- სააგენტოს მარნეულის რაიონულ განყოფილებაში თბომეურნეობის სისტემის რეაბილიტაცია, პანელური რადიატორების მონტაჟი და ცხელი წყლის ცირკულარული სისტემის რეკონსტრუქცია.

12. დასაქმების პროგრამების დეპარტამენტი

- ❖ დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 02 აგვისტოს №199 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის“, „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის“ და „სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განახორციელა შემდეგი აქტივობები:

შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემის – www.worknet.gov.ge-ს განვითარება

- ❖ შემუშავდა სისტემაში დამსაქმებელთა, ვაკანსიების რეგისტრაციისა და მონაცემთა ბაზების განვითარების გეგმა. პარალელურად, მიმდინარეობდა ტექნიკური სამუშაოები სისტემის „ბექ პორტალის“ ფუნქციონალის განსავითარებლად.
- ❖ 2017 წელს, სისტემაში რეგისტრაცია გაიარა 63 316 სამუშაოს მაძიებელმა, სულ სისტემაში დარეგისტრირებულია 138 388, მათ შორის, 66 693 ქალი, 36 949 ახალგაზრდა - 15 წლიდან 29 წლის ჩათვლით. 58 136 – „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ პირი, 3 535 - სოციალური პაკეტის მიმღები შშმ პირი, 8 730 დევნილის სტატუსის მქონე პირი. ასევე, 141 დამსაქმებელმა დაარეგისტრირა 1080 თავისუფალი სამუშაო ადგილი.

შრომის ბაზარზე ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტირების გაწევა

მუნიციპალურ დონეზე

- ❖ „შრომის ბაზარზე ქცევის წესების“ გაცნობის მიზნით, სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონულ განყოფილებებში სამუშაოს მაძიებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური და ჯგუფური ზოგადი კონსულტირებები. შედეგად, 2017 წელს დეპარტამენტში შემოსული ინფორმაციის მიხედვით, სააგენტოს 51 რაიონულ განყოფილებაში ჯგუფურ კონსულტაციებში მონაწილეობა მიიღო 1068 სამუშაოს მაძიებელმა. მათ შორის: იძულებით გადაადგილებული პირი - 141, შშმ პირი - 9, ქალი - 832. ინფორმაციის მიღება ჩატარებული ჯგუფური კონსულტირებების შესახებ გრძელდება. ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა 5187 სამუშაოს მაძიებელმა (თბილისი - 4626, რეგიონი- 561).

საშუამავლო მომსახურების გაწევა/განვითარება

- ❖ 2017 წელს, სულ საშუამავლო მომსახურების გაწევის (სამუშაოს მაძიებელთა შერჩევის) მიზნით, დამსაქმებლების მიერ წარმოდგენილი იქნა 5711 სამუშაო ადგილი (მათ შორის, სისტემაში დარეგისტრირებული-1080).
- ❖ ვაკანსიების შესახებ ინფორმაცია მიეწოდა სისტემაში რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებლებს. ვაკანსიების ფარგლებში, შეირჩა და დამსაქმებლებთან გაიგზავნა 2469 სამუშაოს მაძიებელი. აქედან, თბილისში - 882, ხოლო რეგიონებში-1587. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებულ პირთა რაოდენობა- 543, სოციალური პაკეტის მიმღები შშმ პირების რაოდენობა - 26, დევნილის სტატუსის - 62. სულ, საშუამავლო მომსახურების ფარგლებში, დასაქმდა 399 სამუშაოს მაძიებელი.

პროფკონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის მომსახურების დანერგვა და გაწევა მუნიციპალურ დონეზე

- ❖ 2017 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოს პროფესიული კონსულტირებისა და კარიერის დაგეგმვის სპეციალისტების მიერ კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული კონსულტირების მომსახურებები ჩატარდა თბილისისა და საქართველოს ექვს რეგიონში (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, იმერეთი, აჭარა).
- ❖ კონსულტირება ჯამში გაეწია 493 ბენეფიციარს. მათ შორის, ქალი - 296, იძულებით გადაადგილებული პირი - 54, შშმ პირი - 7.

მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმების შემუშავება და დანერგვა

- ❖ საქართველოს მასშტაბით, კონსულტანტების მიერ მოხდა 70-მდე საინფორმაციო და სამუშაო სახის შეხვედრა დამსაქმებლებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან. დამსაქმებლებთან შეხვედრის შედეგად, მხარდაჭერითი დასაქმების კონსულტანტებმა შშმ პირთათვის მოიძიეს 134 ვაკანსია. 7 რაიონულ განყოფილებაში, სულ (2016 წლიდან დღემდე) მხარდაჭერითი მომსახურება გაეწია 519 შშმ პირს (მათ შორის, შეივსო პროფესიული პროფილი), აქედან, 2017 წელს მხარდაჭერითი მომსახურება მიიღო 385 შშმ პირმა (თბილისი - 150, რეგიონი - 235), 142 ბენეფიციართან ჩატარდა ინდივიდუალური კონსულტირება, რომლის დროსაც მათ შეუდგინეს პირადი რეზიუმე (CV).
- ❖ ასევე, დასაქმების კონსულტანტების მხარდაჭერით, 2017 წელს, სუბსიდირების კომპონენტში ჩაერთო 23 დამსაქმებელი და 53 შშმ პირი. მიმდინარე მდგომარეობით, დასაქმებულია 22 შშმ პირი. სუბსიდირების დასრულების შემდეგ, დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება დამატებით.
- ❖ მიმდინარე წელს, მოწყვლადი, დაბალკონკურენტუნარიანი ჯგუფების საშუამავლო მომსახურების ფარგლებში, დასაქმდა 42 შშმ პირი, აქედან: თბილისში - 13, აჭარაში -15, შიდა ქართლში-6, გურიაში -3, კახეთში -3 და იმერეთში - 2.

- ❖ სხვადასხვა აქტივობების შედეგად, სულ დასაქმებულია 103 შშმ პირი. აქედან: თბილისში - 37, აჭარაში - 22, შიდა ქართლში-8, გურიაში - 5, კახეთში - 7 და იმერეთში - 24.

დასაქმების ფორუმების მოწყობა

- ❖ 2017 წლის განმავლობაში, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის თანამონაწილეობით, ჩატარდა 13 და 1 უშუალოდ დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული დასაქმების ფორუმი. (მათ შორის, ერთი ახალგაზრდობის დასაქმების ფესტივალი). თანამონაწილე კომპანიები იყვნენ: კომპანია „GPI“, კომპანია „GWP“, ევროკავშირისა და „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი“, HR hub, studentjob.ge და განათლებისა და დასაქმების გამოფენის სახელწოდებით „მომავალი შენია 2017“ პროექტი.

2017 წელს ჩატარებული ფორუმები

- ❖ 2017 წლის თებერვლის თვეში, კომპანია GPI-სთან ერთად, ჩატარდა დასაქმების ფორუმები თბილისსა და რეგიონებში (ქუთაისი, ზუგდიდი, ფოთი, ბათუმი), რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2500-მდე სამუშაოს მაძიებელმა. წარმოდგენილი იყო 300 ვაკანსია (თბილისი - 200, რეგიონი - 100).
- ❖ ასევე, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა ფორუმის ორგანიზების ფორმატში მხარდაჭერა გაუწია ქ. თბილისსა და ქ. რუსთავეში კომპანია GWP-ს მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმს, სადაც მონაწილეობა მიიღო 1200-მდე სამუშაოს მაძიებელმა. წარმოდგენილი იყო 200 ვაკანსია. 6 თვის მონიტორინგის შედეგების მიხედვით, აღნიშნულ ფორუმებში დასაქმებულია 548 სამუშაოს მაძიებელი (კომპანია GWP-ში დასაქმდა 181, კომპანია GPI-ში - 367).
- ❖ 2017 წლის აპრილსა და მაისში მხარდაჭერა გაეწია ევროკავშირისა და „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ შშმ პირთა დასაქმების ფორუმს, რომელიც ჩატარდა ქ. თბილისსა და რეგიონებში (ბათუმი, ქუთაისი, თელავი). ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 108 დამსაქმებელმა და 197 შშმ სამუშაოს მაძიებელმა. წარმოდგენილი იყო 162 ვაკანსია. მონიტორინგის შედეგების მიხედვით, აღნიშნულ ფორუმებში დასაქმებულია 35 შშმ პირი.
- ❖ 2017 წლის ივნისის თვეში, HR hub-ისა და studentjob.ge-ის ინიციატივით, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის თანამონაწილეობით და ორგანიზებით ჩატარდა ახალგაზრდობის დასაქმების ფესტივალი „Job Fest 2017“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 79 დამსაქმებელმა და 900-ზე მეტმა 18-დან 29 წლის ასაკის სამუშაოს მაძიებელმა. წარმოდგენილი იყო 903 ვაკანსია. მოძიებული ინფორმაციით, აღნიშნულ ფორუმში დასაქმებულია 132 სამუშაოს მაძიებელი. მიმდინარეობს უკუკავშირის მონიტორინგი.
- ❖ 2017 წლის 29 სექტემბერს, კახეთის რეგიონში, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის თანამონაწილეობით და ორგანიზებით, განათლებისა და დასაქმების გამოფენის სახელწოდებით, ჩატარდა დასაქმების ფორუმი/გამოფენა - „მომავალი შენია 2017“. ორგანიზატორი იყო ბიბერახი-თელავის პარტნიორული კომიტეტი. ფორუმის მონაწილეები იყვნენ 9-დან მე-12 კლასის ჩათვლით სკოლის მოსწავლეები, პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები და სამუშაოს მაძიებლები. ასევე პროფესიული სასწავლებლები, არაფორმალური განათლების ცენტრები (NGO), თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ადგილობრივი ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები.

- ❖ 2017 წლის 8 დეკემბერს, ქ. თბილისში, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის ორგანიზებით, ჩატარდა დასაქმების ფორუმი. მის ძირითად სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადამზადებული და შრომის ბაზრის საინფორმაციო მართვის სისტემაში, worknet.gov.ge.-ზე დარეგისტრირებული სამუშაოს მაძიებელი.
- ❖ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 62-მა დამსაქმებელმა და 1200-ზე მეტმა სამუშაოს მაძიებელმა. წარმოდგენილი იყო 1000-მდე ვაკანსია. მოძიებული ინფორმაციით, **აღნიშნულ ფორუმში დასაქმებულია 16 სამუშაოს მაძიებელი**. მიმდინარეობს უკუკავშირის მონიტორინგი.
- ❖ შედეგად, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა მიიღო 5947-მდე სამუშაოს მაძიებელმა. წარმოდგენილი იყო 2520-მდე ვაკანსია, დასაქმდა **731** სამუშაოს მაძიებელი.

**შრომის ბაზარზე მოთხოვნი პროფესიების, საჭირო ცოდნის და უნარ-ჩვევების
გამოვლენის მიზნით, თვისობრივი კვლევების განხორციელება და მონიტორინგი მინიმუმ
წელიწადში ერთხელ**

- ❖ აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა კონსულტაცია გაიარა ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის წარმომადგენლებთან. შედეგად, მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ პროექტი უზრუნველყოფს სააგენტოში დასაქმებული თანამშრომლების მომზადება/დატრენინგებას.
- ❖ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 01 ნოემბრის №04-801/ო ბრძანების საფუძველზე, მიმდინარეობს „შრომის ბაზარზე მოთხოვნი პროფესიების, საჭირო ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოვლენის მიზნით თვისობრივი კვლევა“. მეთოდოლოგიური ჩარჩოს მიხედვით, განხორციელდა სამაგიდო კვლევა, ექსპერტული ინტერვიუები რეგიონალურ აქტორებთან და ინტერვიუები დამსაქმებლებთან.
- ❖ გამოიკითხა 240 დამსაქმებელი, საიდანაც ვარგისად შეფასდა 220 ერთეული. ამჟამად, მიმდინარეობს კვლევის დარჩენილი სამუშაოები, რომელიც მოიცავს დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებული კითხვარების დამუშავება/შესწავლას, მიღებული მონაცემების შესაბამის ცხრილებში ასახვას და კოდირებას. აღნიშნული აქტივობა ემსახურება კვლევის საბოლოო ანგარიშისათვის საჭირო მონაცემთა ბაზის შექმნას. შესასრულებელი სამუშაო, მისი მოცულობიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე, გაგრძელდება 2018 წლის 12 იანვრამდე.
- ❖ ზემოაღნიშნული აქტივობის დასრულების შემდგომ, ცხრილებში ასახული და კოდირებული კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემები გადაეცემა შრომის ბაზრის კვლევის ექსპერტს, რომელიც მოამზადებს კვლევის საბოლოო ანგარიშს.

**ბეჭდვითი გამომცემლობების, ტელე-რადიო მაუწყებლობის ჟურნალისტებისა და
საზოგადოების დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების მიზნით, დასაქმების
თემებზე ტრენინგების/სემინარების ორგანიზება**

- ❖ 2017 წლის 7-8 ივლისსა და 6-7 ოქტომბერს, რეგიონული და ცენტრალური მედიისა და დაინტერესებული მხარეების (ადგილობრივი არასამთავრობო/საერთაშორისო ორგანიზაციები,

- სოციალური პარტნიორები, დამსაქმებლები) წარმომადგენელთათვის, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტმა ჩაატარა ტრენინგ/სემინარი.
- ❖ აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის, დამსაქმებელთა ასოციაციის, კერძო კოლეჯების, მედიისა და ადამიანურ-ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების ცენტრის 34 წარმომადგენელმა.
 - ❖ აღნიშნული აქტივობების შედეგად, დეპარტამენტმა რადიო „იმედთან“ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის დახმარებითაც, ყოველდღიურ რეჟიმში შუქდებოდა დასაქმების ხელშეწყობის სერვისების შესახებ ინფორმაცია.

**დასაქმების ხელშეწყობის საკითხებთან და არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით
სოციალურ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემაჯამებელი კონფერენციის
მოწყობა**

- ❖ 2017 წლის 22 დეკემბერს მოეწყო წლიური შემაჯამებელი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 120-მდე მოწვეულმა სტუმარმა (მათ შორის იყვნენ -ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, დამსაქმებელთა ასოციაციის, პროფკავშირების, საერთაშორისო ორგანიზაციების, კერძო კოლეჯების ასოციაციის, დამსაქმებელი კომპანიებისა და სხვა პარტნიორი უწყებების წარმომადგენლები). კონფერენციაზე წარდგენილი იქნა ანგარიში, დასაქმების ხელშეწყობის საკითხებთან დაკავშირებით. ასევე მოხდა განახლებული ანგარიშით დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის საქმიანობის ამსახველი ვიდეორგოლის წარმოდგენა. კონფერენციის ბოლოს გამოვლენილი იქნენ წლის საუკეთესო დამსაქმებლები და პარტნიორები, რომლებსაც გადაეცათ სპეციალური ჯილდოები. მადლობის სიგელები გადაეცათ სააგენტოს სამხარეო ცენტრებში დასაქმების კომპონენტზე მომუშავე თანამშრომლებს.

ანგარიში

**საქართველოს მთავრობის 2017 წლის 4 აპრილის N182 დადგენილებით დამტკიცებული
„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის
ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

- ❖ სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპი განხორციელდა ქალაქ თბილისში და 12 მუნიციპალურ ერთეულში: ქობულეთი, ოზურგეთი, ფოთი, წალენჯიხა, მესტია, ქუთაისი, ზესტაფონი, ახალციხე, მარნეული, გორი, საგარეჯო, თელავი. მეორე ეტაპზე დაემატა ბათუმი და გურჯაანი.
- ❖ პროგრამაში, პირველ ეტაპზე, მიმწოდებლად ჩართული იყო 31 პროფესიული სასწავლებელი, კერძოდ, თბილისში - 14 და რეგიონებში - 17. მათგან, სახელმწიფო კოლეჯია 13, ხოლო კერძო - 18. მეორე ეტაპზე, პროგრამაში ჩაერთო კიდევ დამატებით სამი კოლეჯი: „იკაროსი“ (თბილისი), „აისი“ (გურჯაანი) და ბათუმის სამედიცინო კოლეჯი.

- ❖ **პირველ ეტაპზე**, რეგისტრაციის პროცესი გაიარა 1047-მა სამუშაოს მაძიებელმა. სასწავლო პროცესში ჩაერთო 990 ბენეფიციარი (58 – იძულებით გადაადგილებული პირი, 266 – – სოციალურად დაუცველი პირი, 6 – პრობაციონერი და 28 – შშმ პირი.), აქედან, თბილისის მასშტაბით – 332, ხოლო დანარჩენ მუნიციპალურ ერთეულებში – 658. სწავლის პროცესი დაასრულა და სერტიფიკატი გადაეცა 920 კურსდამთავრებულს.
- ❖ **მეორე ეტაპზე**, რეგისტრაციის პროცესი გაიარა 1313 სამუშაოს მაძიებელმა. სასწავლო პროცესში ჩაერთო 1300 ბენეფიციარი (პირველადი ინფორმაციით, მეორე ეტაპზე პროგრამაში ჩართულია 101 იძულებით გადაადგილებული პირი, 332 – სოციალურად დაუცველი პირი, 3 – პრობაციონერი, 6 – ყოფილი პატიმარი და 46 – შშმ პირი.) აქედან, თბილისის მასშტაბით – 527, ხოლო დანარჩენ მუნიციპალურ ერთეულებში – 773. სწავლის პროცესი დაასრულა და სერტიფიკატი გადაეცა 1210 კურსდამთავრებულს.
- ❖ მიმდინარე მდგომარეობით, მონიტორინგის შედეგად, **დადასტურდა 395 ბენეფიციარის დასაქმება.**
- ❖ სამუშაოს მაძიებელთა მხრიდან მოთხოვნად პროფესიებად გამოვლინდა: ბუღალტერი, ექთნის თანაშემწე, ოფისის მენეჯერი, ფარმაცევტის თანაშემწე, ბაგა-ბაღის აღმზრდელი.
- ❖ რაც შეეხება კვალიფიკაციის ამაღლების (სტაჟირების) კომპონენტის მიმდინარეობას, მიმწოდებლად დარეგისტრირდა 27 ორგანიზაცია, მათ შორის, თბილისში-10, ხოლო რეგიონებში-17. მომსახურების მიწოდება განახორციელა 26 ორგანიზაციამ. სტაჟიორად დარეგისტრირდა 137 სამუშაოს მაძიებელი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი - 37, სსსმ პირი-1, იძულებით გადაადგილებული პირი-5. სტაჟირება გაიარა 129 ბენეფიციარმა. მიმდინარე მდგომარეობით, დადასტურებულად დასაქმებულია **28 სამუშაოს მაძიებელი**, მათ შორის, დევნილი -1, შშმ პირი - 4. კიდევ 6 (ექვსი) სტაჟიორის დასაქმების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იქნება დამატებით.
- ❖ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის დასაქმების კომპონენტზე პასუხისმგებელი თანამშრომლების მიერ პერმანენტულად (კვირაში მინიმუმ ერთხელ) ხორციელდება სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 27 აპრილის N04-256/ო ბრძანებით გათვალისწინებული მონიტორინგი პროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თავის მხრივ, დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის მიერ ყოველკვირეულად მიმდინარეობს ტერიტორიული ერთეულების მიერ მოწოდებული პროგრამის მეთვალყურეობის შედეგების ფორმების დამუშავება.
- ❖ 2017 წლის პირველ ნახევარში, 2016 წლის პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის კურსდამთავრებულთა განმეორებითი მონიტორინგის შედეგად, დადასტურდა დამატებით **126 ბენეფიციარის დასაქმება.** ასევე, 2016 წლის სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში, 2017 წელს შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდათ სტაჟირების პროგრამის ფარგლებში ჩართულ კიდევ **18 სტაჟიორს.**
- ❖ დასაქმების პროგრამების დეპარტამენტის, Action Against Hunger და კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის თანამშრომლობისა და ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, 24 აგვისტოს, პანკისში LINC პროექტის (საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს შორის ნდობის აღდგენის მხარდაჭერა დასაქმებისა და ურთიერთკავშირის ხელშეწყობით) ფარგლებში, ევროკავშირის მხარდაჭერითა და ადგილობრივი დასაქმების კონსულტანტის ხელშეწყობით, worknet.gov.ge-ზე რეგისტრირებულ **14 სამუშაოს მაძიებელს** გაუფორმდა გრძელვადიანი

შრომითი ხელშეკრულება. პროექტი განხორციელდა Action Against Hunger და კახეთის რეგიონული განვითარების ფონდის მიერ.

2017 წელს ზემოთ აღნიშნული აქტივობების შედეგად 12 თვის განმავლობაში, სულ დასაქმებულია	1775 სამუშაოს მაძიებელი (მათ შორის, 103 შშმ პირი)
საშუამავლო მომსახურების ფარგლებში დასაქმებულია	399 სამუშაოს მაძიებელი
დასაქმების ფორუმის ფარგლებში, დასაქმებულია	731 სამუშაოს მაძიებელი
მხარდაჭერითი დასაქმების ფარგლებში, დასაქმებულია	42 სამუშაოს მაძიებელი
სუბსიდირების კომპონენტით დასაქმდა	22 სამუშაოს მაძიებელი
სტაჟირების კომპონენტის ფარგლებში, დასაქმებულია	46 სამუშაოს მაძიებელი
პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის ფარგლებში	521 სამუშაოს მაძიებელი
პარტნიორი ორგანიზაციის პროექტის ფარგლებში	14 სამუშაოს მაძიებელი

❖ მიმდინარეობს მონიტორინგი დასაქმებულთა რაოდენობის დასადგენად. იხ. დანართი N6.

13.ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი

- ❖ ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტი ფუნქციონირებს 2015 წლის სექტემბრიდან. 4 სამმართველოსაგან შედგება.
- ❖ **დეპარტამენტის სტრუქტურა:**
 - სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველო;
 - ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო;
 - ტესტირებისა და ბიზნეს პროცესების მართვის სამმართველო;
 - პროგრამირების სამმართველო.
- ❖ **დეპარტამენტის ფუნქციები:**
 - საანგარიშო პერიოდში, დეპარტამენტი და მისი ქვესტრუქტურები (სამმართველოები) საქმიანობას ახორციელებდნენ „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული და ტერიტორიული ერთეულების დებულებების დამტკიცების თაობაზე“ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2009 წლის 31 დეკემბრის №01/474-ო ბრძანებით დამტკიცებული სააგენტოს ცენტრალური აპარატის დებულებისა (ცვ. 01.04.2011 წ. N04-39/ო, ცვ. 19.12.2013 წ. N04-487/ო, ცვ. 13.10.2015 წ. №04-331/ო) და სააგენტოს სხვა შიდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და ნორმატიული აქტების შესაბამისად.

სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველოს აქტივობები:

- სააგენტოში დაცული მონაცემთა ბაზების მომზადება სტატისტიკური დამუშავებისათვის;
- სააგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზების დამუშავება, პირველადი სიხშირული მონაცემების გენერირება, სტატისტიკური ინფორმაციის მომზადება და მისი ანალიზი;
- სააგენტოს მონაცემთა ბაზებში დაცული ინფორმაციის რეგულარული სტატისტიკური დამუშავება და ამ ინფორმაციის შემდგომი გამოყენება სააგენტოს კომპეტენციაში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით;
- სააგენტოში დაცული მონაცემთა ბაზების თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობის მიღება;
